

"ამ ყოფაში არ მენახე ნეტა" A5



„სოლარისის" ავტორი გარდაიცვალა A8



ბულგარული ღვინო - ქართულისა და მოლდავურის ნაცვლად B4


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 30 მარტი, 2006 წელი. №68 (1220) | ფასი 50 თეთრი


## ამბები

### ვანო მერაბიშვილმა „ბუნტის ქრონიკა" გამოაქვეყნა

*არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციისა და პრეზიდენტთან არსებული მონიტორინგის საბჭოს წევრების შეკითხვებს, რომლითაც მათ ხელისუფლებას მიმართეს, შს მინისტრმა, ფაქტობრივად, პასუხი გასცა. "გამოცხადებული გაქცევის ქრონიკა", - ასე უწოდა ვანო მერაბიშვილმა მის მიერ გუშინ ჩატარებულ ბრიფინგზე გამოქვეყნებულ ოპერატიულ ჩანაწერს.*

A2

## პოლიტიკა

### გაერო „გაუმჭვირვალე" რეზოლუციას მიიღებს

გაეროს უშიშროების საბჭო აფხაზეთის საკითხს დღეს განიხილავს. რეზოლუციამ აფხაზეთში გაერო-ს დამკვირვებელთა მანდატის გაგრძელების საკითხიც უნდა გაითვალისწინოს. პარალელურად, გუშინ სოხუმში ქართულ-აფხაზური მოლაპარაკება განახლდა.

A3

## სამართალი

### სოზარ სუბარი მკაცრ ანგარიშს ამზადებს

სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა თბილისის მე-7 საპყრობილეში 27 მარტის ამბოხის შემდეგ, ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან გადაყვანილი პატიმრები, კერძოდ, ცინდელიანი, ვიბლიანი, ავალიანი, მამარდაშვილი, ზედელაშვილი და მახარაძე მოინახულა.

A4


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 30/03 | 31 /03 |
|---|---|---|
| თბილისი | 22 | 18 |
| ყვარელი | 20 | 12 |
| სოხუმი | 21 | 11 |
| დმანისი | 15 | 10 |
| გორი | 18 | 13 |
| ონი | 15 | 5 |
| ზუგდიდი | 22 | 12 |
| ახმეტა | 22 | 17 |
| გაგრა | 18 | 11 |
| სამტრედია | 22 | 13 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8270 |
| ევრო | 2.2061 |
| ბირჟანქა სტერლ. | 3.1859 |
| რუბლი | 0.0658 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| საზოგადოება | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# პატარკაციშვილმა დუმილი დაარღვია

B

ბიზნესმენთა ფედერაციის სხვა წევრებმა, მიუხედავად ფედერაციის პრეზიდენტის მწვავე გამოსვლისა, ზომიერება შეინარჩუნეს და მკვეთრი განცხადებებისგან თავი შეიკავეს. მათ ხელისუფლებასა და ბიზნესს შორის ურთიერთობებში პრობლემები არ უარუყვიათ და დიალოგის გზით საკითხების გარკვევის სურვილი გამოთქვეს.



# ვალერი გელაშვილი პარლამენტს მალე გამოეთხოვება

გიორგი ასანიშვილი

ყველაფერი იქით მიდის, რომ დეპუტატ ვალერი გელაშვილს უახლოეს ხანში პარლამენტს დაატოვებინებენ. ასეთი ვარაუდის გამოთქმის საფუძველს იძლევა საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის დასკვნა, რომლის თანახმადაც, ოპოზიციონერი პარლამენტარი სამეწარმეო საქმიანობას ეწევა, რაც დეპუტატის სტატუსთან შეუთავსებელია და, აქედან გამომდინარე, უფლებამოსილება მას ვადამდე უნდა შეუწყდეს. რეგლამენტის მიხედვით, აღნიშნული დასკვნა ჯერ ბიუროს (მისი სხდომები, როგორც წესი, ორშაბათობით ტარდება) უნდა წარედგინოს, შემდეგ კი - პლენარულ სხდომას. თუმცა, სავარაუდოა, რომ მოვლენების განვითარება კიდევ უფრო დაჩქარდეს და ყველაფერი ამ კვირაშივე დამთავრდეს. გუშინდელ საკომიტეტო მოსმენაზე სახელისუფლებო ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილემ რატი სამყურაშვილმა არ გამორიცხა, რომ გელაშვილის საკითხი დღევანდელ ან ხვალინდელ სხდომაზევე დაისვას.

საკანონმდებლო ორგანოდან კოლეგის გასაძევებლად 118 დეპუტატის თანხმობაა საჭირო. ამდენად, პარლამენტში დღეს არსებული პოლიტიკურ ძალთა ბალანსის გათვალისწინებით, უმრავლესობას ვალერი გელაშვილის დასჯა არ უნდა გაუჭირდეს.

რა არის სავარაუდო ვერდიქტის ოფიციალური საფუძველი? საპროცედურო საკითხთა კომიტეტის დასკვნაში ნათქვამია, რომ **"საქართველოს პარლამენტის წევრი ვალერი გელაშვილი 2004 წლის 26 სექტემბრიდან დღემდე უშუალოდ მართავს შპს "ევრასა" და შპს "ქართლის" წილს, რითაც ეწევა სამეწარმეო საქმინობას და არღვევს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს"**.

კომიტეტის თავმჯდომარე ხათუნა გოგორიშვილი განმარტავს, რომ აღნიშნული დასკვნა ვალერი გელაშვილის ფინანსური დეკლარაციის შესწავლის საფუძველზე მომზადდა, საიდანაც ირკვევა, რომ 2000 წლის 26 სექტემბერს გელაშვილმა შპს "ევრასა" და შპს "ქართლის" წილების მართვის უფლება თავის დედას 4-წლიანი ვადით გადასცა, მაგრამ ვინაიდან ეს ხელშეკრულება უკვე ვადაგასულია, გამოდის, რომ წილების მართვის უფლება ისევ ოპოზიციონერი დეპუტატის ხელშია.

გუშინდელ საკომიტეტო მოსმენაზე ოპოზიციონერი დეპუტატები ამაოდ ითხოვდნენ გელაშვილის მიერ წილების მართვის უფლების გადაცემის ხელშეკრულებას. მათ "აუხსნეს", რომ მისი არსებობა, სატელეფონო საუბრის დროს, ნოტარიუსმა დაადასტურა (?!). ამით განაწყენებული კახა კუკავა ხათუნა გოგორიშვილს დაემუქრა, რომ სათანადო დოკუმენტის გამოთხოვის გარეშე საკომიტეტო დასკვნის მომზადება სისხლის სამართლის დანაშაულია და ოთხი წლის თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ხუთ წუთში გამოტანილი განაჩენი

თამარ კაციტაძე

*ტელეკომპანია "202"-ის დამფუძნებლის შალვა რამიშვილის წინასწარმეტყველება გამართლდა - სასამართლო განხილვის დაწყებისთანავე რამიშვილმა განაცხადა, რომ მას მოსამართლე ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთას მიუსჯიდა.*

ერთკვირიანი ფიქრის შემდეგ, გუშინ, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნინო სანდოძემ გამოტანილი განაჩენი ხუთ წუთში წაიკითხა.

გაგრძელება A4 გვერდზე



*"ჩვენ გავიმარჯვებთ" - ამ ფრაზით დატოვა სასამართლო დარბაზი შალვა რამიშვილმა.*

## ბიზნესის დაცვა თუ ხელისუფლებაზე შეტევის ახალი ტალღა?

### ხელისუფლება, ოპოზიცია და ექსპერტები ბადრი პატარკაციშვილის განცხადებების შესახებ

**დავით ნარმანია: პატარკაციშვილის განცხადებაში ქართული ბიზნესის რეალური პრობლემები აისახა.**

ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე დავით ნარმანია მიიჩნევს, რომ ბადრი პატარკაციშვილის განცხადება მხოლოდ პოლიტიკური შინაარსის არ იყო და მასში ქართული ბიზნესის რეალური პრობლემებიც აისახა. "პატარკაციშვილს ამგვარი გამოსვლის რეალური საფუძველი ჰქონდა. მას ეს განცხადება არ გაუკეთებია, როგორც ცალკე აღებულ ბიზნესმენს, არამედ ზოგადად ბიზნესმენთა ფედერაციის სახელით ისაუბრა," – აღნიშნა ნარმანიამ "24 საათთან" საუბარში.

"კონკრეტულად რა საფრთხეები აქვს ბიზნესს ხელისუფლების მხრიდან, ეს ალბათ ბიზნესმენებს უნდა ვკითხოთ, მაგრამ ბიზნესმენები ამ თემაზე ღიად საუბარს ერიდებიან. ის, რომ ამ ქვეყანაში ბიზნესის ინტერესების რეალური დამცველი არავინაა, ცხადია. ხელისუფლებას ამ ეტაპზე ბიზნესის დაბეგვრა და ბიზნესიდან მაქსიმალური რესურსების ამოღება უფრო აინტერესებს, ვიდრე ბიზნესის რეალური განვითარება," – დასძინა მან.

ნარმანია არ გამორიცხავს იმას, რომ პატარკაციშვილის განცხადების შემდეგ ხელისუფლება მისი საქმიანობით საფუძვლიანად დაინტერესდება.

"ჩვენი კანონმდებლობა ისეთია, რომ თუ ხელისუფლება მოინდომებს აუცილებლად შეძლებს პატარკაციშვილისთვის სამართლებრივი ბრალდებების წაყენებას. ვფიქრობ, ხელისუფლება ამას მოინდომებს კიდეც. რაც შეეხება პატარკაციშვილის გამოსვლაზე გიგა ბოკერიას საპასუხო განცხადებას, ნარმანია აღნიშნავს, რომ "თავის გამოსვლაში ბადრი პატარკაციშვილი უფრო კონკრეტული იყო, ვიდრე ხელისუფლების წარმომადგენელი".

***24 საათი***

გაგრძელება A2 გვერდზე

## "პროგნოზირებადი" არჩევნების სიურპრიზები

### გამარჯვებული "კადიმას" რთული არჩევანი

*მიუხედავად იმისა, რომ ისრაელის მოსახლეობა ერთ-ერთი ყველაზე პოლიტიზებულია მსოფლიოში, 28 მარტს საარჩევნო ურნებთან ებრაული სახელმწიფოს არსებობის ისტორიაში ყველაზე ცოტა ამომრჩეველი მივიდა.*

*ქნესეთის რიგგარეშე არჩევნებს მიმომხილველთა უმრავლესობა ადვილად პროგნოზირებადად მიიჩნევდა. თუმცა, როგორც გაირკვა, იგი სერიოზული სიურპრიზებით დასრულდა. მთავარი სიურპრიზი კი ის გახლავთ, რომ გადამწყვეტი ნაბიჯების გადასადგმელად შექმნილი "კადიმა" უმოქმედო კოალიციის პერსპექტივის წინაშე აღმოჩნდა.*

ნიკა თარაშვილი
*თელ-ავივიდან*

**"ერთი თაღლითია, მეორე ქურდი, მესამე კი საერთოდ არაფრის მაქნისი"** - ამბობდა 28 მარტს თელ-ავივის ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე მისული ხანდაზმული ამომრჩეველი ისრაელის ძირითადი პოლიტიკური პარტიების ლიდერების შესახებ. ეს სიტყვები ნათლად ასახავს ისრაელის ამჟამინდელი საპარლამენტო არჩევნებისას შექმნილ მასობრივ განწყობას. ალბათ, სწორედ ეს გახდა მიზეზი, რომ სამშაბათს თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობის მოსახდელად (რომლის შეგრძნება ისრაელის მოქალაქეებს, სხვათა შორის, საკმაოდ მკვეთრად აქვთ გამოხატული) მხოლოდ ამომრჩეველთა 63,4 პროცენტი მივიდა საარჩევნო უბნებზე.

არჩევნების ოფიციალური შედეგები ჯერჯერობით უცნობია. თუმცა, რასაკვირველია, დღეს უკვე თავისუფლად შეიძლება საუბარი სერიოზულ სიურპრიზებზე, რომელიც, ერთი შეხედვით, "პროგნოზირებად" საარჩევნო პროცესს თან ახლდა.

პარტია, რომლის დამფუძნებელი არიელ შარონი კომაში იმყოფება, სავარაუდოდ, ყველა სხვა პარტიაზე მეტ ხმას (ალბათ, 28 მანდატს) მოიპოვებს ქნესეთში, რაც უახლოეს მომავალში საშუალებას მისცემს მთავრობის მეთაურის მოვალეობის ამჟამინდელ შემსრულებელს ეჰუდ ოლმერტს, აღმასრულებელი ხელისუფლება დააკომპლექტოს. თუმცა, ამის შესახებ წინასწარვე იყო ცნობილი. ერთადერთი ის იყო გასარკვევი, თუ რა სახეს მიიღებდა სამთავრობო კოალიცია - მემარჯვენე ცენტრისტულს თუ მემარცხენე ცენტრისტულს.

გაგრძელება A3 გვერდზე

## კოალიცია თუ კვლავ არჩევნები?

### იანუკოვიჩის მომხრეები უკრაინაში განმეორებით საპარლამენტო არჩევნებს წინასწარმეტყველებენ

*უკრაინის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 29 მარტის ბოლოს დაასრულა ტერიტორიული საარჩევნო ოლქებიდან შემოსული ხმების გადათვლა. ბოლო მონაცემებში არსებითი ცვლილება არ მომხდარა. 31 პროცენტით პირველი ადგილი მყარად დაიმკვიდრა უკრაინის "რეგიონების პარტიამ", მეორე მესამე ადგილებს კი იულია ტიმოშენკოს ბლოკი და "ნაშა უკრაინა" იყოფენ. მაგრამ ეს მხოლოდ "ჟურნალია" ფილმის წინ, რომლის ჰეფი-ენდით დასრულება ჯერ არ ჩანს.*

კობა ლიკლიკაძე
*სპეციალურად "24 საათისათვის" კიევიდან*

#### კოალიცია კითხვის ნიშნის ქვეშ

საპარლამენტო კოალიციის შესახებ მიმდინარე მოლაპარაკებები 29 მარტს ჩიხში შევიდა. პარტია "ნაშა უკრაინის" პრეზიდიუმმა, რომელიც არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებისთანავე მზად იყო, ხელი მოეწერა მემორანდუმზე კოალიციის შექმნის შესახებ, საკითხის განხილვა 7 აპრილისათვის გადადო. ამან საკმაოდ გააღიზიანა კოალიციის პოტენციური წევრი "სოციალისტური პარტია", რომელმაც სეპარატული გარიგება იყნოსა და მოქმედი პრეზიდენტის მომხრეებს ულტიმატუმი წაუყენა. **"თუ "ნაშა უკრაინას" სურს "რეგიონებთან" თანამშრომლობა, ეს მათი პრობლემაა, მაგრამ ასეთი კოალიციური შეთანხმების შემთხვევაში, ჩვენ ოპოზიციაში გადავალთ,"** - განაცხადა უკრაინელ სოციალისტთა ერთ-ერთმა ლიდერმა იოსეფ ვინსკიმ.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ვანო მერაბიშვილმა „ბუნტის ქრონიკა" გამოაქვეყნა

*არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციისა და პრეზიდენტთან არსებული მონიტორინგის საბჭოს წევრების შეკითხვებს, რომლითაც მათ ხელისუფლებას მიმართეს, შს მინისტრმა ფაქტობრივად, პასუხი გასცა. "გამოცხადებული გაქცევის ქრონიკა", - ასე უწოდა ვანო მერაბიშვილმა მის მიერ გუშინ ჩატარებულ ბრიფინგზე გამოქვეყნებულ ოპერატიული ჩანაწერს.*

**"27 იანვრის მოვლენა კარგად ორგანიზებული და დაგეგმილი იყო "კანონიერი ქურდების" მიერ და კონკრეტული თანამდებობის პირების გადადგომის მოთხოვნით, ბუნტსა და გაქცევას ისახავდა მიზნად,"** – განაცხადა ვანო მერაბიშვილმა, რომლის თქმითაც, შსს-ს მიერ გაკეთებული ოპერატიული ჩანაწერებით კიდევ ერთხელ დასტურდება იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ოპერატიული მასალა, სადაც ნათლად ჩანს, რომ ციხის ბუნტის ორგანიზებას "კანონიერი ქურდები" - მალხაზ ზედელაშვილი, პაატა მამარდაშვილი და ავტორიტეტული კრიმინალი ზურაბ ვიბლიანი ახორციელებდნენ.

შს მინისტრის მიერ ჟურნალისტებისთვის წარმოდგენილი ოპერატიული მასალის თანახმად, რომელიც ჩაწერილია 27 მარტის ღამეს, უკრაინაში მყოფ ე.წ. კანონიერ ქურდს, ტარიელ ფოცხვერიას, ზედმეტსახელად "ტარასას" უკავშირდებიან საქართველოს სხვადასხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი "კანონიერი ქურდები" და ე.წ. მაყურებლები და მისგან იღებენ დირექტივას, თუ როგორ მოიქცნენ.

ტარიელ ფოცხვერიას მითითებების შესაბამისად, ორთაჭალის ციხისა და "რესპალნიცის" პატიმრების მხარდასაჭერად, ყველა საპატიმრო დაწესებულებაში ხმაური, ე.წ. "შუმოკი" უნდა ამტყდარიყო. ტარიელ ფოცხვერია "კანონიერ ქურდებს" და ციხის "მაყურებლებს" აფრთხილებს, რომ უკან აღარ დაიხიონ.

**"მაინც და მაინც ქურდებმა უნდა ვიხმაუროთ; ლალი აფციაურის ნომერი ჩაიწერე. ციხის გარეთ დგას და მიაწოდეთ ყველა ინფორმაცია. ყველას მიეცით მაგის ნომერი. ხმაური ატეხეთ, "მისკები" ურტყით ერთმანეთს, მიეცით ერთმანეთს "პადერჟკა", იხმაურეთ, ახლა უკვე ულტიმატუმით უნდა ველაპარაკოთ მაგათ, არ უნდა გავჩერდეთ შუა გზაზე",** – ასეთი შინაარსისაა ფოცხვერიას მითითებები.

გამოქვეყნებული მასალის მიხედვით, "კანონიერი ქურდებისა" და "მაყურებლების" სატელეფონო ზარები ტარიელ ფოცხვერიასთან განხორციელებულია შუაღამის სამი საათიდან, ბოლო სატელეფონო ზარი კი გამთენიისას დაფიქსირდა.

აუდიოჩანაწერის გამოქვეყნების შემდეგ, საქართველოს შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა დარბაზი უკომენტაროდ დატოვა, მას ჟურნალისტების შეკითხვებზე პასუხის გაცემა არც უცდია.

აუდიოჩანაწერში მოხსენიებულმა არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს პატიმართა თანამეგობრობის" თავმჯდომარემ ლალი აფციაურმა გამოქვეყნებულ მასალასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა.

**"შს სამინისტროს მიერ გავრცელებულ ფარულ სატელეფონო ჩანაწერში ჩანს პატიმრების მიერ ერთმანეთთან დაკავშირების დრო. ისინი ერთმანეთს უკავშირდებიან მას შემდეგ, რაც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ჯარი შევარდა. გარდა ამისა, პატიმრებს მათი უფლებების დასაცავად ჩემთვის უნდა დაერეკათ, აბა, ვისთვის, ბაჩო ახალაიასთვის?!"** - განაცხადა ლალი აფციაურმა.

შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის მიერ გამოქვეყნებულ აუდიოჩანაწერს ოპოზიციური პარტიის ლიდერებიც გამოეხმაურნენ:

**"ჩანაწერებმა კიდევ ერთხელ გამოავლინა, რომ არც ბუნტი, არც ციხიდან გაქცევა და არც მასობრივი გაუპატიურებები, როგორც ეს პრეზიდენტმა განაცხადა, არ იგეგმებოდა. ჩანაწერში ჩანს, რომ პატიმრები მხოლოდ ხმაურის ატეხვას აპირებდნენ ჯამებისა და კოვზების ერთმანეთზე დარტყმით და ხელისუფლებამ ამისთვის დახოცა ხალხი",** - განაცხადა "კონსერვატორების" ლიდერმა კობა დავითაშვილმა.

*24 საათი*

# ოპოზიციური პარტიების ლიდერები შსს-ს მიერ ახალი ვიდეომასალის გავრცელებას გამოეხმაურნენ

ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების საკოორდინაციო საბჭოს ლიდერები გამოეხმაურნენ შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილის მიერ წარმოდგენილ ახალ ვიდეოჩანაწერს, რომელიც 27 მარტს ციხის ბუნტის ორგანიზებას შეეხება.

"კონსერვატორების" ლიდერ კობა დავითაშვილის განცხადებით, ჩანაწერებმა კიდევ ერთხელ გამოავლინა, რომ არც ბუნტი, არც ციხიდან გაქცევა და არც მასობრივი გაუპატიურებები, როგორც ეს პრეზიდენტმა განაცხადა, არ იგეგმებოდა.

"ჩანაწერში ჩანს, რომ პატიმრები მხოლოდ ხმაურის ატეხვას აპირებდნენ ჯამებისა და კოვზების ერთმანეთზე დარტყმით და ხელისუფლებამ ამისთვის დახოცა ხალხი", - აღნიშნა კობა დავითაშვილმა. მისივე თქმით, ეს იყო "თითიდან გამოწოვილი ბუნტი".

"ლეიბორისტების" ლიდერ შალვა ნათელაშვილის განცხადებით, მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ოპოზიციურმა პარტიებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებიც 27 მარტს მეხუთე საპყრობილესთან მივიდნენ, ციხესთან შეკრებილი საზოგადოება სპეცრაზმისგან დაიცვეს. "ოპოზიციის დადანაშაულება ბუნტის ორგანიზებაში, ხელისუფლების შერყეული ფსიქიკის შედეგია და შესაძლოა, მალე ბაღდადში მომხდარი ტერაქტიც ქართულ ოპოზიციას დააბრალონ", - განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

მთავარმა "ლეიბორისტმა" შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილის მომავალი განჭვრიტა და აღნიშნა, რომ საბოლოოდ იგი სწორედ N5 საპყრობილეში მოხვდება და მაშინ მისი სიცოცხლე საფრთხის წინაშე რეალურად დადგება. **ინტერპრესნიუსი**

# „ადგილიდან დაძვრა" - შსკ-ს მთავარი მიღწევა

27-28 მარტს ვლადიკავკაზში, შერეული საკონტროლო კომისიის სხდომაზე მხარეებმა მთელ რიგ საკითხებზე კონკრეტულ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს.

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის გიორგი ხაინდრავას თქმით, დადგინდა, რომ შერეული საკონტროლო კომისიის მომდევნო სხდომა ცხინვალში, აპრილის მეორე ნახევარში გაიმართება.

სახელმწიფო მინისტრი აცხადებს, რომ ვერ მოხერხდა საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით შემუშავებული "სამხრეთ ოსეთის" კონფლიქტის მოგვარების სამშვიდობო გეგმის განხილვა. "ასეთი საკითხები, სამწუხაროდ, ძალიან ბევრია...თუმცა მთავარი შედეგი ის არის, რომ მხარეებმა პროცესის ადგილიდან დაძვრა შეძლეს," - აღნიშნა გიორგი ხაინდრავამ.

სახელმწიფო მინისტრმა სხდომაზე კვლავ დასვა კონფლიქტის ზონაში მყოფი რუსი სამშვიდობოების გაყვანის საკითხი, რასაც კომისიის "სამხრეთოსური" მხარის თანათავმჯდომარე ბორის ჩოჩიევი არ დაეთანხმა. "ეს ერთადერთი საშუალებაა მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად," - აცხადებს ჩოჩიევი. **მედიანიუსი**

# ვალერი გელაშვილი პარლამენტს მალე გამოეთხოვება

პირველი გვერდიდან

გოგორიშვილ-კუკავას შეტაკება კომიტეტის სხდომაზე არაერთხელ მოხდა პარტიულ ნიადაგზეც. როდესაც გოგორიშვილმა დაიჩივლა, რომ ვალერი გელაშვილის ფირმების დასახელებები სისტემატურად იცვლებოდა, კუკავამ შენიშნა, რომ ასევე სისტემატურად იცვლებოდა იმ პარტიების სახელებიც, რომელშიც საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე მოღვაწეობდა. ბოლო სიტყვა მაინც გოგორიშვილს დარჩა.

**"ამაზე ლაპარაკი ცოტა უხერხულია, როდესაც გვერდით ბეჟან გუნავა გიზით. ბოლო დრომდე ჩვენ ზუსტად ერთი და იგივე პოლიტიკური წარსული გვქონდა,"** - დააწყნარა ოპონენტი გოგორიშვილმა.

კიდევ ერთი ბრალდება, რომლითაც გელაშვილს "განკვეთას" უპირებენ, ის არის, რომ მას ბიზნესდაინტერესება სასწავლო დაწესებულების (თბილისის 84-ე საშუალო სკოლა) მიმართაც გააჩნდა. კახა კუკავას კითხვაზე, როგორ შეეძლო ოპოზიციონერ დეპუტატს მთავრობაში, კერძოდ კი კახა ლომაიასთან რამის ლობირება მოეხდინა, რატი სამყურაშვილი პასუხობს, რომ, მართალია, გელაშვილს ლობირება არ შეეძლო, მაგრამ ჰქონდა იმის რწმენა, რომ ამას მოახერხებდა.

**"მერე, რწმენის გულისთვის აძევებთ დეპუტატს პარლამენტიდან?"** - ამ რეპლიკაზე ოპოზიციამ პასუხი ვეღარ მიიღო.

გელაშვილთან დაკავშირებით ოპოზიციის შეფასებები ერთმნიშვნელოვანია. რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი თინა ხიდაშელი აცხადებს, რომ მიმდინარეობს ხელისუფლებასთან დაპირისპირებული დეპუტატის დევნა. **"თუ ვალერი გელაშვილი, როგორც პოლიტიკოს-ბიზნესმენი, მათთვის მიუღებელი იყო, რატომ ამაზე ადრე არ გამოითქვა პროტესტი?",** - კითხულობს ხიდაშელი. ვალერი გელაშვილის "ცნობადობის" დამადასტურებლად კი იგი ასახელებს ყოფილი პრემიერ-მინისტრის მიერ გამოცემულ აქტს, რომელშიც აღნიშნულია, რომ ზურაბ ჟვანია მადლობას უხდის გელაშვილს და იმედს გამოთქვამს, რომ იგი მონაწილეობას მიიღებს პრეზიდენტის რეზიდენციის მშენებლობაში და ვიდრე სახელმწიფო შესაბამის სახსრებს გამონახავს, პარლამენტარი რეზიდენციის მშენებლობას 4 მილიონით დაეხმარება.

**"თუ კანონს ბოლომდე დაიცავენ, მაშინ საქართველოს პარლამენტმა თავისი შემადგენლობის ნახევრით უნდა დაასაროს საქმიანობა, ვინაიდან, მინიმუმ, დეპუტატების ნახევარი, ვიცე-სპიკერების ჩათვლით, ბიზნესს ეწევა,"** - აცხადებს რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი.

ამასთან, თინა ხიდაშელი საუბრობს გარიგებაზე, რომელიც, მისი თქმით, მაჟორიტარებსა და ხელისუფლებას შორის ვარდების რევოლუციის შემდეგ დაიდო. **"ამ გარიგების მიხედვით, მაჟორიტარები უნდა ყოფილიყვნენ მმართველი ძალის ყურმოჭრილი მონები, გაენაღდებინათ ყველა ქვითარი, რომელსაც მათ ხელისუფლება, კანონიერად თუ უკანონოდ, წარუდგენდა და სამაგიეროდ, არანაირი პრობლემა არ შეექმნებოდათ. დღეს პრობლემები მართლაც არავის არა აქვს, გარდა ვალერი გელაშვილისა, რომელიც ხელისუფლების ნებას არ დაემორჩილა,"** - დასძენს თინა ხიდაშელი.

# ბიზნესის დაცვა თუ ხელისუფლებაზე შეტევის ახალი ტალღა?

პირველი გვერდიდან

**გიგა ბოკერია: პატარკაციშვილი თავისი ტელევიზიით ხელისუფლების დაშანტაჟებას ვერ შეძლებს.**

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის გიგა ბოკერიას თქმით, ბადრი პატარკაციშვილის განცხადების შემდეგ, მათ იხილეს "ოპოზიციის რეალური ლიდერი და შესაძლო სპონსორი".

გიგა ბოკერიამ ბრიფინგზე აღნიშნა, რომ პატარკაციშვილი ჩრდილიდან გამოვიდა და ის განაწყენებული კაცის პოზიციიდან საუბრობს. "ბადრი პატარკაციშვილის განაწყენების მიზეზი არის ის, რომ მან ვერ მიიღო პრივილეგიები ხელისუფლების მხრიდან, ვერ დაჩაგრა კონკურენტები და ვერ გამოცხადდა დონ კორლეონედ. თავად პატარკაციშვილმა განაცხადა, რომ რამდენიმე ტენდერი ვერ მოიგო. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო მისმა ტელევიზიამ თავდასხმები ხელისუფლებაზე", - აღნიშნა ბოკერიამ.

მან მოუწოდა პატარკაციშვილს, რომ თავის საკუთარ წარსულს გადახედოს. ბოკერიას განმარტებით ბიზნესმენს ელცინის რუსეთის ნოსტალგია აქვს. "დღეს საქართველო არ არის არც ელცინის რუსეთი და არც პუტინის რუსეთი, სადაც ტელევიზიებს ხურავენ და ხალხს იჭერენ. პატარკაციშვილს შეუძლია იყოს ბიზნესში, პოლიტიკაში, მაგრამ ის ვერ შეძლებს ხელისუფლების დაშანტაჟებას ტელევიზიის საშუალებით", - აღნიშნა ბოკერიამ.

მისივე თქმით, საქართველოს ხელისუფლებას უტევენ მოსკოვი, ოლიგარქები და კანონიერი ქურდები, რაც შეეხება პროკურატურის ფონდში ბიზნესმენთა მიერ თანხების გადარიცხვას, ფული სამართალდამცავი სტრუქტურების მშენებლობას მოხმარდა. "ფონდი არის გამჭვირვალე და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს, თუ რაში დაიხარჯა თანხები. რაც შეეხება "ტელეიმედის" მიერ გირგვლიანზე გაკეთებულ სიუჟეტს, ეს მოხდა მაშინ, როდესაც პატარკაციშვილმა ზემოხსენებული პრივილეგიები ვერ მიიღო ხელისუფლებისგან. მიუხედავად ამ ბიზნესმენის ტელევიზიის ხელისუფლებაზე თავდასხმებისა, კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ სიტყვის თავისუფლება ხელშეუხებელია, თუმცა კრიტიკა და შანტაჟი ერთმანეთისაგან ნამდვილად განსხვავდება", - ამბობს ბოკერია. **მედიანიუსი**

**სოსო ცისკარიშვილი: დახურული საზოგადოების დრო წარსულს ჩაბარდა.**

"ბადრი პატარკაციშვილისთვის არ დავიშურებდი კომპლიმენტებს იმ გულწრფელი, თამამი და სამართლიანი განცხადებებისათვის, რომელიც მან ხელისუფლების მისამართით გააკეთა", - ამბობს ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში სოსო ცისკარიშვილი.

როგორც სოსო ცისკარიშვილმა განაცხადა, საზოგადოებაში ასეთი სიტყვა უნდა ჟღერდეს, რადგან მასზე "საზოგადოებრივი მოთხოვნა არსებობს" და ის "ადამიანთა სმენამდე და შეგნებამდე აღწევს". "ხელისუფლება უნდა შეეჩვიოს იმ აზრს, რომ გარკვეულ მოვლენებზე შეიძლება სხვადასხვა აზრი არსებობდეს; რომ სიმართლე არა მხოლოდ ის არის, რაც მას ხელს აძლევს, არამედ ისიც, რაც ხელისუფლებაში იციან, მაგრამ მხოლოდ სათავისო ინფორმაციად ეგულებათ. დახურული საზოგადოების დრო წარსულს ჩაბარდა. საზოგადოებას აქვს სურვილიც, უნარიც და შესაძლებლობაც, მოისმინოს საზოგადოებაში არსებული აზრი, მოსწონს თუ არა ეს დღევანდელი რეალობის რომელიმე ცენზორს", - აღნიშნა სოსო ცისკარიშვილმა.

ამასთან, ექსპერტი დამაკნინებელ ეპითეტად არ მიიჩნევს ტერმინს – "ოპოზიციის ლიდერი", რომლითაც ბადრი პატარკაციშვილი საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გიგა ბოკერიამ მოიხსენია. **მედიანიუსი.**

**"მრეწველები": ბადრი პატარკაციშვილის განცხადება დროული და მიზანმიმართული იყო.**

საპარლამენტო ფრაქცია "მრეწველების" წარმომადგენელი გიორგი ცაგარეიშვილი ბიზნესმენთა ფედერაციის პრეზიდენტ ბადრი პატარკაციშვილის განცხადებას დროულსა და მიზანმიმართულს უწოდებს. როგორც გიორგი ცაგარეიშვილმა საუბრისას აღნიშნა, ბადრი პატრაკაციშვილის განცხადებები რომ დროული და მიზანმიმართული იყო, ეს ხელისუფლების წარმომადგენლების რეაქციიდანაც კარგად ჩანდა.

"საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს და მმართველ ძალას ძალიან მოხვდა გულზე ბადრი პატრაკაციშვილის განცხადებები პროკურატურის ფონდში ჩარიცხულ თანხებთან დაკავშირებით. ფონდები 2006 წლიდან კანონის თანახმად დაიხურა და საზოგადოებამ აუცილებლად უნდა იცოდეს სად წავიდა ფონდში ჩარიცხული თანხები, ან ვინ ჩარიცხა ეს თანხები", -განაცხადა ცაგარეიშვილმა.

მისი თქმით, ხელისუფლების მიერ ბიზნესზე და ბიზნესმენებზე ზეწოლა აქამდეც ხორციელდებოდა, თუმცა, როგორც ბადრი პატარკაციშვილის გამოსვლიდან ჩანს, დღევანდელი ხელისუფლების ზეწოლამ ზღვარს გადააჭარბა.

"ამიტომაც ბიზნესის წარმომადგენლებმა მამაცად და თამამად უნდა თქვან სათქმელი და საკითხს ამით უფრო ეშველება", -აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

თუმცა, მისი თქმით, ბადრი პატარკაციშვილის გამოსვლის შემდეგ ბიზნესმენთა ფედერაციაში იყო ისეთი ბიზნესმენების გამოსვლაც, რომლებიც ნომენკლატურულ ბიზნესს წარმოადგენენ და მათი განცხადებები არცთუ ისე მწვავე იყო. **ინტერპრესნიუსი**

**დავით ზურაბიშვილი: ბადრი პატარკაციშვილის განცხადება ხელისუფლების მიერ ბიზნესის შევიწროების პასუხია.**

საპარლამენტო ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" ლიდერი დავით ზურაბიშვილი ბიზნესმენთა ფედერაციის პრეზიდენტ ბადრი პატარაკაციშვილის გუშინდელ განცხადებებს ხელისუფლების მიერ ბიზნესის შევიწროებაზე პასუხად მიიჩნევს.

როგორც ზურაბიშვილმა აღნიშნა, ბადრი პატარკაციშვილი დიდი ხანია საქართველოშია ჩამოსული, თუმცა იგი ანტისახელისუფლებო გამოსვლებით არასდროს გამოირჩეოდა. "როდესაც ასეთი წონიანი ბიზნესმენი ხელისუფლების საწინააღმდეგო და მკვეთრი განცხადებებით გამოდის, ე.ი. ბიზნესში ძალიან ცუდი მდგომარეობაა. ხელისუფლება ავიწროებს და ჩაგრავს ბიზნესს. ხელისუფლებას ბიზნესი მეწველი ძროხა ჰგონია", - აღნიშნა ზურაბიშვილმა.

მისივე განცხადებით, რამდენიმე თვის წინ, როდესაც "კონსერვატორული პარტიის" ლიდერმა კობა დავითაშვილმა ფინანსური პოლიციის ხელძღვანელ დავით კეზერაშვილის საწინააღმდეგო კამპანია წამოიწყო და ფარული ჩანაწერები გაახმაურა, ბიზნესმენთა ფედერაციის პრეზიდენტმა ბადრი პატარკაციშვილმა აღნიშნა, რომ ფინანსურ პოლიციასთან პრობლემები არ ჰქონდა. ზურაბიშვილის თქმით, როგორც ჩანს, იმ დროიდან დღემდე ძალიან ბევრი რამ შეიცვალა ხელისუფლებისა და ბიზნესის ურთიერთობაში და მათი ურთიერთობა ძალიან გაუარესდა.

რაც შეეხება გიგა ბოკერიას კომენტარებს, რომელიც მან ბადრი პატარკაციშვილის განცხადების საპასუხოდ გააკეთა, დავით ზურაბიშვილი მიიჩნევს, რომ გიგა ბოკერიასთვის ხელისუფლებას მხოლოდ სამი მტერი ჰყავს - რუსეთი, კრიმინალური სამყარო და ოლიგარქები. თუმცა, ზურაბიშვილი ოლიგარქებს თავად ბოკერიასა და მის გუნდს უწოდებს, რადგანაც სიტყვა ოლიგარქის დაბოლოება - არქი, მმართველს ნიშნავს და მმართველ ძალას კი თავად ბოკერიას გუნდი და ხელისუფლება წარმოადგენს.

"საქართველოს დღევანდელ ხელისუფლება იმიტომ კი არ ებრძვის ქურდულ სამყაროს, რომ მათი ხალხისგან მოშორება სურთ, არამედ იმიტომ, რომ თავად ჩაანაცვლონ ისინი", -აღნიშნა ზურაბიშვილმა. **ინტერპრესნიუსი**

**ოპოზიცია: ხელისუფლება ტოტალიტარული რეჟიმის დამყარებას ცდილობს.**

ხელისუფლება, თავისუფალ მასმედიასა და თავისუფალ ბიზნესს დაუპირისპირდა, რითაც უკიდურესად გაამძაფრა დამოკიდებულება საკუთარ საზოგადოებასთან. ამის შესახებ, გუშინ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების საკოორდინაციო საბჭოს ლიდერებმა "კონსერვატორების" ოფისში გამართული დახურული შეხვედრის შემდეგ განაცხადეს.

როგორც კობა დავითაშვილმა აღნიშნა, საკოორდინაციო საბჭო ყველანაირად აღუდგება წინ ხელისუფლების მიერ ტოტალიტარული რეჟიმის დამყარებას.

ოპოზიცია საზოგადოებას გაერთიანებისაკენ მოუწოდებს. საბჭოს ლიდერების განცხადებით, დღეს, პარლამენტთან გაიმართება ყველა სფეროს წარმომადგენლის ერთიანი საპროტესტო მიტინგი, რომელზეც ოპოზიციის შემდგომი სტრატეგია გამოცხადდება. **ინტერპრესნიუსი**

# საფრანგეთში მასობრივი დემონსტრაციები გრძელდება

საფრანგეთში სოციალური მღელვარებები გრძელდება. სტუდენტთა ჯგუფებმა ბრეტანის ადმინისტრაციული ცენტრის - ქალაქ რენისკენ მიმავალი ყველა ძირითადი ავტომაგისტრალი გადაკეტეს, რის შედეგად ქალაქი ფაქტობრივად გარე სამყაროს მოსწყდა.

ორი დღის წინ გამოცხადებული საერთოეროვნული პროტესტის დღე საფრანგეთში ასევე უწესრიგობით დასრულდა. აქციის შედეგად პარიზში დაახლოებით 500 მანიფესტანტი დააკავეს.

შრომის ახალი კანონმდებლობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, საფრანგეთის ქალაქების ქუჩებში დაახლოებით 3 მილიონი ადამიანი გამოვიდა. მარტო პარიზში დემონსტრანტთა რიცხვი 700 ათასს აღწევდა. საპროტესტო აქცია რესპუბლიკის მოედანზე პოლიციასთან ღია შეტაკებაში გადაიზარდა. 50 ადამიანი, მათ შორის ხუთი პოლიციელი დაშავებულია.

ვითარების კიდევ უფრო გამწვავების თავიდან არიდების მიზნით, საფრანგეთის ხუთმა წამყვანმა პროფკავშირმა პრეზიდენტ ჟაკ შირაკს გუშინ ერთობლივი წერილით მიმართა და შრომის შესახებ კანონის პარლამენტში დაბრუნება და მისი ხელახლა განხილვა მოითხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, 4 აპრილს საყოველთაო გაფიცვით იმუქრებიან, რადგან სხვა გამოსავალს მთავრობა მათ უბრალოდ არ უტოვებს.

*24 საათი*

## მოკლედ

### პარტია "სამართლიანობის" საპროტესტო აქცია

სახელმწიფო კანცელარიასთან პარტია "სამართლიანობის" საპროტესტო აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეები პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადადგომას და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას მოითხოვდნენ.

როგორც "სამართლიანობის" ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე აცხადებს, მოძრაობა "ანტისოროსმა" გამოკითხვა ჩაატარა, რომლის მიხედვითაც თბილისის მასშტაბით პრეზიდენტის გადადგომას მხარი 15 ათასმა ადამიანმა დაუჭირა.

აქციის მონაწილეთა ძირითადი ლოზუნგებია "შეწყდეს პოლიტიკური ტერორი", "საქართველოში მკვლელები თარეშობენ". პარტია "სამართლიანობა" აქციების გამართვას პერმანენტულად გეგმავს. ისინი ამავე მოთხოვნებით კანცელარიის წინ დღესაც შეიკრიბებიან. **ინტერპრესნიუსი**

### დავით გამყრელიძე და მიხეილ სააკაშვილი შესაძლოა ერთმანეთს ევროპის სახალხო პარტიის კონგრესზე შეხვდნენ

"ახალი მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძე და საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შესაძლოა ევროპის სახალხო პარტიის კონგრესზე ერთმანეთს შეხვდნენ. "ახალი მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძე, ევროპის სახალხო პარტიის კონგრესის მიწვევით, 30-31 მარტს, რომში აღნიშნული პარტიის საერთაშორისო შეკრებას დაესწრება. როგორც "მემარჯვენე ოპოზიციის" პრეს-სამსახურში განაცხადეს, ევროპის სახალხო პარტიის კონგრესზე "ახალი მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძე და პარტიის საერთაშორისო მდივანი გიორგი მოსიძე გაემგზავრებიან.

ევროპის სახალხო პარტიის კონგრესს მსოფლიოს შვიდი სხვადასხვა ქვეყნის პრეზიდენტი, 15 პრემიერ-მინისტრი და ევროკომისიის თავმჯდომარე დურაო ბაროზო დაესწრებიან. ევროპის სახალხო პარტიის კონგრესზე საქართველოდან მხოლოდ და მხოლოდ ორი პარტიაა მიწვეული - "ნაციონალური მოძრაობა" და "ახალი მემარჯვენეები". **ინტერპრესნიუსი**

### მიხეილ სააკაშვილი ჩინეთს ეწვევა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჩინეთს ეწვევა. პრეზიდენტი სააკაშვილი აღმოსავლეთ უკრაინიდან დაბრუნების შემდეგ ეწვევა. ვიზიტი ოფიციალურია და იგი 10-დან 15 აპრილამდე გაგრძელდება. მიხეილ სააკაშვილი გუშინ, ხორვატიაში გაფრინდა, საიდანაც დღეს იტალიას ესტუმრება და ევროპის სახალხო პარტიის ყრილობას დაესწრება. 3 აპრილს კი დაგეგმილია ქვეყნის მეთაურის ორდღიანი ვიზიტი უკრაინაში. **ინტერპრესნიუსი**

### საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სახმელეთო ჯარების სარდლობა შეიქმნა

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე რეორგანიზაციასთან დაკავშირებით და ჯარების მართვის სტრუქტურის დახვეწის მიზნით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 17 თებერვლის ბრძანებით ჩამოყალიბდა სახმელეთო ჯარების სარდლობა და გენერალური შტაბის უფროსს დაექვემდებარა. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 13 მარტის ბრძანებით სახმელეთო ძალების შტაბის უფროსად დაინიშნა ვიცე-პოლკოვნიკი ვლადიმერ ჩაჩიბაია და დაევალა სარდლის მოვალეობის შესრულება. თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში სახმელეთო ჯარების შტაბის ოფიცრების საშტაბო მომზადება დაიწყო. სწავლების კურსი 8 კვირიანია და ამერიკელი ინსტრუქტორების დახმარებით ტარდება. სახმელეთო ჯარების შტაბის ოფიცრების მომზადება სტაბილურობის შენარჩუნების პროგრამით (SSOP) ხორციელდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ოპოზიცია დღევანდელ აქციაზე ათასობით მოქალაქის მისვლას მოელის

30 მარტს გაერთიანებული ოპოზიციის საკოორდინაციო შტაბი, რომელშიც ლეიბორისტები, მემარჯვენეები, კონსერვატორები და რესპუბლიკელები არიან გაწევრიანებული, პარლამენტის შენობის წინ მორიგ საპროტესტო აქციას გამართავს. როგორც კონსერვატორების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ზვიად ძიძიგურმა განაცხადა, აქცია ხელისუფლების მიუღებელ ქმედებებს მიეძღვნება და ერთი რომელიმე კონკრეტული საკითხით არ შემოიფარგლება. "ხელისუფლების ბოლოდროინდელმა ქმედებებმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. ხელისუფლება არაადეკვატურად მოქმედებს და ამით საფრთხეს უქმნის საზოგადოებას, ამიტომაც საზოგადოებამ საპასუხო პროტესტი უნდა დააფიქსიროს. იმედი მაქვს, რომ ხვალს აქციაზე ათეულ-ათასობით კაცი მოვა და საკუთარ პოზიციას გამოხატავს", - აღნიშნა ძიძიგურმა.

საპარლამენტო უმრავლესობის ხელმძღვანელები კი აცხადებენ, რომ მიუხედავად გაერთიანებული ოპოზიციის აქციებისა, ხელისუფლება დასახული კურსიდან გადახვევას არ აპირებს. "საპროტესტო აქციის ჩატარების უფლება ნებისმიერ ადამიანს და პარტიას აქვს და ამაში არაფერი საკვირველი არ არის, თუმცა რას ითხოვენ ამ საპროტესტო აქციებით, ამაში, მე მგონი, ჩვენი ოპონენტებიც არ არიან ბოლომდე გარკვეულნი. რაც შეეხება მუქარას, რომ აქციაზე ათეულათასობით კაცი მივა, მე მგონი, ჩვენს ოპონენტებს საკმაოდ გადაჭარბებული წარმოდგენა აქვთ საკუთარ შესაძლებლობებსა და რეიტინგზე", - თქვა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# "პროგნოზირებადი" არჩევნების სიურპრიზები





პირველი გვერდიდან

### ყველაზე "მოსაწყენი" საარჩევნო პროცესი

ახლო აღმოსავლეთის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ რეალობაში რომელსაც ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი ჰქვია, სავარაუდოდ დიდი ცვლილებების მომტანი არჩევნები, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, უაღრესად დუნედ მიმდინარეობდა.

წინასაარჩევნო კამპანიის აგრესიულობით არც ერთი წამყვანი პოლიტიკური ძალა არ გამოირჩეოდა. უფრო მეტიც, "კადიმას" ამჟამინდელი ლიდერი და პრემიერ-მინისტრის მოვალეობის ამჟამინდელი შემსრულებელი ეჰუდ ოლმერტი აშკარად ცდილობდა ზედმეტად არ გამოჩენილიყო ტელეეკრანზე. ცხადია, შარონის შარავანდედით მავალი კადიმა, უფრო მეტ მხარდაჭერას მიიღებდა, ვიდრე არცთუ სუფთა რეპუტაციის მქონე ეჰუდ ოლმერტის გარშემო შეკრებილი პოლიტიკური გუნდი. პრემიერის მოვალეობის შემსრულებლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ასეთი სწორედ შერჩეული ტაქტიკას წყალობით შეძლებს კადიმა კონკურენტებზე გამარჯვების მოპოვებას.

საინტერესოა, რომ დანარჩენი ორი წამყვანი პარტიის, "ლიკუდისა" და "ავოდას" ლიდერები არა მმართველი პარტიის წინააღმდეგ წარმართავდნენ ბრძოლას, არამედ ერთმანეთის.

სხვათა შორის, უმთავრეს კონკურენტებთან აქტიურ დაპირისპირებას ერიდებოდა "კადიმაც". ოლმერტმა თავისი კამპანია რუსულენოვანი მოსახლეობის ინტერესების დამცველი პარტიის ("ჩვენი სახლი ისრაელია") და მისი ლიდერის ავიგდორ ლიბერმანის წინააღმდეგ მიმართა. რითაც სავარაუდოდ, კიდევ უფრო შეუწყო ამ პარტიის წარმატებას ხელი.

მაგალითად, სიურპრიზი იყო ის, რომ ყოფილმა მმართველმა პარტია ლიკუდმა მხოლოდ მეხუთე ადგილი დაიკავა. ისევე როგორც მოულოდნელი იყო რუსულენოვანი მოსახლეობის ხმების (და სავარაუდოდ, კრემლთან დაპირისპირებული ოლიგარქების) წყალობით ავიგდორ ლიბერმანის ("ჩვენი სახლი ისრაელია") უდავო გამარჯვება.

საინტერესოა, რომ პროგნოზირებადობა - ფაქტორი, რომელმაც არჩევნების "მოსაწყენობა" განაპირობა, საბოლოო ჯამში მთავარი სიურპრიზების წყარო გახდა.

ამომრჩეველთა დაბალმა აქტივობამ რელიგიური პარტიების აღმავლობა გამოიწვია და, ამავდროულად, ხელი შეუწყო ლიბერალური ძალების (მაგალითად "მერეცის") სრული კრახს.

თუმცა, არც ისაა დასამალი, რომ ისრაელის ახალგაზრდობას არ აინტერესებს არც პროგნოზირებადი და არც "სიურპრიზებით სავსე" საარჩევნო პროცესი. წინასწარვე ცნობილი იყო, რომ 30 წლამდე მოქალაქეთა 65-75 პროცენტი არ აპირებდა 28 მარტს საარჩევნო ურნასთან მისვლას.

### ვინ არის გამარჯვებული?

რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებში 30 პარტია იღებდა მონაწილეობას. მათგან 2-პროცენტიანი საარჩევნო ბარიერის გადალახვა, დღევანდელი მონაცემებით მხოლოდ თორმეტმა გაერთიანებამ მოახერხა.

თავიდანვე აშკარა იყო, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ცენტრისტებს დარჩებოდათ გამარჯვება, მხოლოდ ერთია საინტერესო, რომელ მხარეს გადაიხრება ეს ცენტრი - მარჯვნივ თუ მარცხნივ.

პირველი ადგილი, როგორც მოსალოდნელი იყო, "კადიმამ" დაიკავა - მას მომავალ ქნესეთში 27-28 დეპუტატი ეყოლება. მის პირველობაში არც არავის შეჰპარვია ეჭვი. არჩევნების ერთ-ერთი მთავარი სიურპრიზი ის იყო, რომ პარტიამ, რომელსაც სულ რაღაც ორი თვის წინ 44 მანდატს უწინასწარმეტყველებდნენ, ასე მცირე მხარდაჭერა მიიღო.

მეორე ადგილზე, 20 მანდატით, გავიდა დიდი ტრადიციების მქონე სოციალ-დემოკრატიული შეხედულებების პარტია "ავოდა", პროფკავშირების ლიდერის ამირ პერეცის მეთაურობით. სხვათა შორის, მათ რომ თავიანთი შესაძლებლობები სრულად გამოეყენებინათ, შესაძლოა, მთავრობის დაკომპლექტებაც მოეხერხებინათ.

მესამე ადგილი დაიკავა რელიგიური სეფარდების პარტია "შას"-მა. მის გარდა, გამარჯვებულთა ათეულში მოხვდნენ აშკენაზი იუდეველების პარტია "იადოტ ა თორა" (6 მანდატი) და ნაციონალურ-რელიგიური "იუჰუმ ლემუი-მაფდალი" (9 მანდატი) თუმცა, რელიგიური პარტიების წარმატება მოულოდნელი სულაც არ ყოფილა. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ისრაელის მოსახლეობის დაახლოებით 19 პროცენტი მკაცრად იცავს რელიგიურ დოგმებს. თანაც, ისრაელში ახალი თაობის გამოჩენასთან ერთად ასეთი ელექტორატის რაოდენობა განუხრელად იზრდება.

არჩევნების მთავარი სიურპრიზი, ბუნებრივია, ყოფილი მმართველი პარტია "ლიკუდის" სრული კრახი იყო. პარტია, რომელსაც წინა მოწვევის პარლამენტში 38 ადგილი ეკავა, ამჯერად მხოლოდ 11 მანდატს უნდა დასჯერდეს. რაც ერთი შეხედვით მომავალ სამთავრობო კოალიციაში მათ მონაწილეობას გამორიცხავს.

ერთ-ერთი მთავარი "აღმოჩენა" იყო ავიგდორ ლიბერმანის პარტია "ჩვენი სახლი ისრაელია". ეს ახლად შექმნილი პარტია ძირითადად რუსულენოვანი მოსახლეობის ხარჯზე 12 მანდატით მეოთხე ადგილზე გავიდა. სხვათა შორის, ლიბერმანს "ლიკუდის" ჩაყლაპვასა და მომავალ არჩევნებში წარმატებასაც უწინასწარმეტყველებენ. მით უმეტეს, რომ აშკარაა, ლიბერმანს სეიოზული ფინანსური მხარდაჭერა აქვს პუტინის მიერ განაწყენებული ოლიგარქების მხრიდან. ასე რომ, კოალიციაში, სავარაუდოდ, არც ისინი იქნებიან წარმოდგენილნი.

დღევანდელი შეფასებებით, სხვა მემარჯვენე შეხედულებების ძალების მონაწილეობაც გამორიცხულია მთავრობის ფორმირებაში.

მიმომხილველთა უმრავლესობის აზრით, ახალ მთავრობაში, "კადიმას" გარდა, მემარცხენე პარტიები იქნებიან წარმოდგენილნი. "ავოდას" გარდა, "კადიმასთან" ალიანსს გააფორმებენ "პენსიონერები" და ლიბერალური "მერეცი". თუმცა, მათი ხმებიც არ არის საკმარისი ქნესეთსში უმრავლესობის მოსაპოვებლად. ოლმერტს, ალბათ, არაბული პარტიების გადმობირებაც მოუწევს, რომელთაც, საერთო ჯამში, 10 მანდატი მოიპოვეს.

თუმცა, დღესვე შეიძლება ითქვას, რომ თუ "კადიმა" დეკლარირებული პროგრამის განხორციელებას დააპირებს, მის კოალიციას დიდხანს არ უწერია არსებობა.

## გაერო „გაუმჭვირვალე" რეზოლუციას მიიღებს

*გაერო-ს უშიშროების საბჭო აფხაზეთის საკითხს დღეს განიხილავს. რეზოლუციამ აფხაზეთში გაერო-ს დამკვირვებელთა მანდატის გაგრძელების საკითხიც უნდა გაითვალისწინოს. პარალელურად, გუშინ სოხუმში ქართულ-აფხაზური მოლაპარაკება განახლდა.*

გაეროში საქართველოს ელჩმა რევაზ ადამიამ გაეროს უშიშროების საბჭოს წერილით მიმართა და მოუწოდა, აფხაზეთის შესახებ რეზოლუციაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი გაითვალისწინოს.

**"იანვარში შეუძლებელი გახდა რეზოლუციის პროექტის შეთანხმებული ტექსტის შემუშავება და, შესაბამისად, მიღებულ იქნა ტექნიკური რეზოლუცია. ჟენევაში შემდგარი გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის ინტენსიური მოლაპარაკებების შემდეგ, ახალი პროექტის ტექსტი თითქმის შეთანხმებულია. რამდენადაც საბოლოო ტექსტზე კვლავაც არ არის მიღწეული შეთანხმება, რჩება იმედი, რომ უშიშროების საბჭოს მიერ ადრე მიღებულ რეზოლუციებში არსებული ძირითადი პრინციპები შენარჩუნებული იქნება. ეს პრინციპები საყოველთაოდ ცნობილია – საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა, აფხაზეთის სტატუსის საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში განსაზღვრა, ძალადობრივი ან სამხედრო გზით გადაწყვეტის მიუღებლობა და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნება. ჩვენ მივმართავთ გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობრებს, გამოიჩინონ ფუნდამენტური პრინციპებისადმი ერთგულება. თუმცა, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, არცთუ ყველა მათგანს აქვს ამ პრინციპების რეზოლუციაში ასახვის სურვილი,"** - წერს რევაზ ადამია გაერო-ს უშიშროების საბჭოსადმი გაგზავნილ წერილში.

წელს, 31 იანვარს გაერო-ს უშიშროების საბჭომ მიიღო დადგენილების მოკლე ტექსტი, რომელშიც საქართველოში გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის მანდატი ორი თვით, 31 მარტამდე გაგრძელდა. რევაზ ადამია, ასევე, აცხადებს, რომ დროა, დაიწყოს გაერო-ს რეალური სამშვიდობო ოპერაციის განხორციელების პროცესი, რაც კონფლიქტის საბოლოო მოწესრიგებას გზას გაუხსნის.

რევაზ ადამიამ რუსეთი დაადანაშაულა უშიშროების საბჭოს კონსულტაციებზე საქართველოს წარმომადგენლის სიტყვით გამოსვლის ხელისშეშლაში. ადამიამ პრეტენზიები არგენტინის წარმომადგენლის მიმართაც გამოთქვა, რომელიც ამჟამად უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეობს.

**"კონფლიქტის მოგვარებაში სწორედ იმიტომ არ არის პროგრესი, რომ პროცესში არ არსებობს გამჭვირვალობა,"** - აცხადებს რევაზ ადამია. მისივე თქმით, ამგვარი ტენდენციის უკან რუსეთის პოზიცია დგას. **"ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც რუსეთის ფედერაცია საბჭოს სხდომაზე საქართველოს წარმომადგენლის გამოსვლას ბლოკავს... სიმართლე იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი ოფიციალურად გაცხადებული მხარდაჭერის მიუხედავად, რუსეთი კვლავ მხარს უჭერს სეპარატისტულ რეჟიმებს... სიმართლე ისაა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა რუსეთის ხელისუფლებისთვის მხოლოდ არასასურველი ვალდებულება გახდა,"** - აცხადებს რევაზ ადამია.

რევაზ ადამიამ ასევე განაცხადა, რომ საქართველო აფხაზეთის გაერო-ს დროებითი მმართველობის ქვეშ გადასვლას არ გამორიცხავს. მისი თქმით, საქართველო არასდროს დათანხმდება აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების კოსოვოს მოდელს, რომლის გატარებასაც, მისი აზრით, რუსეთი ცდილობს. **"კოსოვოს მოდელი არის გზა დამოუკიდებლობისაკენ. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას არასოდეს დავთანხმდებით"**, - აცხადებს რევაზ ადამია.

თავის მხრივ, კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ვოლსკი აცხადებს, რომ იმედი აქვს, გაერო-ს უშიშროების საბჭო "გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის" მიერ შემუშავებულ რეზოლუციის პროექტს დაუჭერს მხარს. მისი თქმით, რეზოლუციის მიღების შემდეგ "მეგობარი ქვეყნების" წარმომადგენლები თბილისში და სოხუმში მოლაპარაკებების გამართვას გეგმავენ.

გუშინ სოხუმში საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი აფხაზეთის საკითხებში ირაკლი ალასანია და აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა ორმხრივი საკოორდინაციო საბჭოს აღდგენაზე შეთანხმდნენ, რომელმაც საქმიანობა რამდენიმე წლის წინ შეწყვიტა.

**"ბოლო დროს ხშირად ვსაუბრობდით ამ მექანიზმის აღდგენის აუცილებლობის შესახებ. ჩვენ შევთანხმდით, რომ შემდეგი ჩვენი შეხვედრა იქნება ასეთი შემადგენლობით – საკოორდინაციო საბჭოს სრული შემადგენლობა, სადაც იქნება სამუშაო ჯგუფები სამი მიმართულებით. ეს არის უსაფრთხოება, დევნილები და ეკონომიკური საკითხები"**, - განაცხადა სერგეი შამბამ.

ირაკლი ალასანიას მიაჩნია, რომ საბჭოს აღდგენა ხელს შეუწყობს პოზიციების დაახლოებას იმ საკითხებში, რომლებზეც მხარეებს "შეხების წერტილები" აქვთ. მისი თქმით, **"როდესაც კონკრეტული ადამიანები ამ პრობლემებზე მუშაობას დაიწყებენ, ჩვენ შეგვეძლება წინ წავიწიოთ"**.

ალასანიამ განაცხადა, რომ ქართული მხარე მზადაა მიხეილ სააკაშვილისა და სერგეი ბაგაფშის შეხვედრის ჩასატარებლად. **"პრინციპულად ყველა მხარე ამისთვის მზადაა, მაგრამ ჩვენ კონკრეტულად უნდა განვიხილოთ, რა საკითხები უნდა გადავწყვიტოთ ამ შეხვედრაზე"**, - აცხადებს ალასანია.

სერგეი ბაგაფშმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილს იმ შემთხვევაში შეხვდება, თუ ხელი მოეწერება ხელშეკრულებას საბრძოლო მოქმედებების განუახლებლობის შესახებ.

*24 საათი*

# კოალიცია თუ კვლავ არჩევნები?

პირველი გვერდიდან

უკმაყოფილებას ვერ მალავს იულია ტიმოშენკოც, რომელსაც ახალი თავსატეხი გაუჩნდა დასავლეთის მედიაში მის შესახებ გამოქვეყნებული ინფომაციების გამო. **"უკრაინის ოლიგარქიული კლანები გამალებით უკვეთავენ დასავლეთის საინფორმაციო საშუალებებში სხვადასხვა "ანალიტიკურ მასალებს", რომელთა მიზანია, ეჭვი შეიტანონ იულია ტიმოშენკოს პრემიერ-მინისტრად დანიშვნის მიზანშეწონილობაში",** - იტყობინება ტიმოშენკოს ბლოკის პრესცენტრი.

ამ ფონზე მომგებიან სიტუაციაშია უკრაინის "რეგიონების პარტია", რომელმაც ნარინჯისფერი რევოლუციის შემდეგ სრული რევანში აიღო მეტოქეებზე და დაახლოებით იმდენივე ხმა დააგროვა, რაც იულია ტიმოშენკოს და ვიქტორ იუშენკოს ბლოკებმა. მაგრამ ვიქტორ იანუკოვიჩის მომხრეები, პოლიტკორექტულობის ხათრით, "რევანშზე" არ ლაპარაკობენ. თუმცა, მეტოქეების მცდელობას, ნაჩქარევად გააფორმონ კოალიცია, უპერსპექტივოდ მიიჩნევენ. პარტია "უკრაინის რეგიონების" ერთ-ერთმა ლიდერმა ტარას ჩორნოვოლმა ჩვენთან ინტერვიუში განაცხადა, რომ არ გამორიცხავს განმეორებით საპარლამენტო არჩევნებს.

**"კოალიცია, ჩვენი აზრით, უნდა შეიქმნას მხოლოდ მას შემდეგ, რაც ახალი უმაღლესი რადა მუშაობას დაიწყებს. ეს კი მხოლოდ 10 მაისს მოხდება. წინააღმდეგობა "ნარინჯისფერი" გუნდის შიგნით არანაკლებია, ვიდრე ჩვენს პარტიასა და მათ შორის. ამიტომ მგონია, რომ მემორანდუმებზე ხელმოწერების უკან წაღება მომავლაშიც გაგრძელდება. თუმცა, მაინც მგონია, რომ კოალიცია ნარინჯისფერი იქნება და იგი სამ სუბიექტს – იულია ტიმოშენკოს "ბიუტს", ვიქტორ იუშენკოს "ნაშა უკრაინასა" და მოროზის სოციალისტურ პარტიას შორის გაფორმდება. მაგრამ არც იმას გამოვრიცხავ, რომ 10 მაისამდე განხეთქილება მოხდება გარკვეულ ფრაქციებში. ასე რომ, ნებისმიერი კონფიგურაციით ფართო კოალიცია არაეფექტური იქნება. და ვფიქრობ, რომ სულ მალე ჩვენ განმეორებითი არჩევნები მოგველის,"** – წინასწარმეტყველებს "რეგიონების" მეოთხე ნომერი ვიქტორ ჩერნოვოლი.

### "ქართველი კრიმინალები უკრაინას რუსეთის თხოვნით იყოფენ?"

უკრაინის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საქართველოს პარლამენტის ოთხკაციანმა ჯგუფმა, რომესლაც უმრავლესობის წევრი ბიძინა ბრეგაძე ედგა სათავეში, ისე დატოვა უკრაინა, რომ მათი წასვლა არავის გაუგია. მოდაში აღარ არის ქართულ "ვარდების რევოლუციაზე" და მათ ლიდერებზე წერა. თუმცა, ქართული თემა სულ მალე კვლავ აქტუალური იქნება უკრაინის პრესაში, რადგან კიევში 3 აპრილს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ელიან, რომელმაც უკრინაში საქართველოს წელი საზეიმოდ უნდა დახუროს.

თუმცა, უკრაინაში ქართულ-უკრაინული კულტურული ურთიერთობების თემა დაჩრდილა ქართველი კრიმინალური ავტორიტეტების აქტიურობამ, რომლებიც უკრაინის "ათვისებას" იწყებენ. უკრაინაში საპარლამენტო არჩევნებამდე 8 დღით ადრე პოპულარულ ჟურნალ "პროფილ-უკრაინაში" პირველ გვერდზე გამოქვეყნდა ჟურნალისტური გამოძიება სათაურით: **"ქართველი ქურდები უკრაინას რუსეთის თხოვნით იყოფენ?"** სტატიაში ნათქვამია, რომ მოსკოვსა და რუსეთში მიმოფანტულმა ქართველმა "კანონიერმა ქურდებმა" ერთ-ერთ ბოლო შეხევდრაზე მოილაპარაკეს, მოკლან საქართველოს პერზიდენტი და ხელი შეუწყონ პრორუსული ძალების გამარჯვებას უკრაინის საპარლამენტო არჩევნებში.

ჟურნალისტ ალექსანდრე ემელიანოვს მოსკოვში გამართული კანონიერი ქურდების საერთაშორისო თავყრილობის შესახებ უამბო ორმა წყარომ, რომელთა ვინაობას, სტატიის ავტორი, მათივე თხოვნით, საიდუმლოდ ინახავს. დაახლოებით 15-20 იანვარს, მოსკოვში 100-მდე ე.წ. კანონიერი ქურდი შეიკრიბა, მათ უნდა განეხილათ კრიმინალური სამყაროს უმძიმესი მდგომარეობა საქართველოში. იგულისხმება კრიმინალური ავტორიტეტების წინააღმდეგ საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული ქმედება – ქურდების იზოლირება და მათი ქონების კონფისკაცია. როგორც ჟურნალ "პროფილის" ავტორი წერს, **"კანონიერმა ქურდებმა საქართველოს პრეზიდენტის მოშორება გადაწყვიტეს."**

თუმცა სააკაშვილის გარდა, ქართული წარმოშობის კანონიერ ქურდებს სხვა სამიზნეც ჰყოლიათ. აი, კიდევ რამდენიმე საყურადღებო პასაჟი ზემოხსენებული სტატიიდან:

მოსკოვში გამართული თავყრილობის შემდეგ კანონიერმა ქურდებმა დაადგინეს, რომ კიევში გამოეგზავნათ ქურდული სამყაროს პატრიარქი, თბილისური წარმოშობის ქურდი ასლან ჰუსოიანი, მეტსახელად ბაბუა ხასანი. ასლან ჰუსოიანის მისია ორ მიზანს ისახავდა: **"საპარლამენტო არჩევნებში პრორუსული ძალების მხარდაჭერას, ზონების დარაზმვისა და მეწარმეების ზეწოლის გზით, და უკრაინაში კრიმინალური გავლენის სფეროების განაწილებას,"** - ნათქვამია უკრაინაში გამომავალ ჟურნალ "პროფილში", რომლის მთავარი რედაქტორის მოადგილეს კონსტანტინ დოროშენკოს დასაშვებად მიაჩნია უკრაინის პოლიტიკურ პროცესებზე კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტული წევრების ზეგავლენა.

თებერვლის დასაწყისში უკრაინის სპეცსამსახურებმა დააფიქსირეს ასლან ჰუსოიანის ჩასვლა კიევში. თანაც, ბაბუა ხასანი, თურმე, ხუთვარსკვლავიან სასტუმროში ცხოვრობდა და თავისუფლად მოძრაობდა უკრაინის დედაქალაქის ქუჩებში. 75 წლის თბილისელი "კანონიერი ქურდი" კრასნოდარის მხარიდან დაწყებული, რუსეთის მთელ სამხრეთში აგროვებულ ე.წ. "ობშიაკს" - ქურდულ სალაროს - განკარგავს. მან თურმე ისე დატოვა კიევი, რომ არც საბაჟო და არც სასაზღვრო საგუშაგოებზე პრობლემა არ შექმნია.

### იანუკოვიჩს არ მოსწონს საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტების "პოლიტიკური ტურიზმი"

თუ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ "ნარინჯისფერებმა" კვლავ შეძლეს გაერთიანება, ამას საქართველოს ხელისუფლებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან ავტომატურად გაგრძელდება ყველა პროექტი, რომელსაც მიხეილ სააკაშვილმა და ვიქტორ იუშენკომ ჩაუყარეს საფუძველი. მაგრამ დღეისათვის, როდესაც კოალიციის კონფიგურაცია უცნობია, ხოლო ვიქტორ იანუკოვიჩი ინარჩუნებს სერიოზულ შანსს, გახდეს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი და მაშასადამე უკრაინის პირველი პირიც, მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ როგორ უყურებს "რეგიონების პარტია" მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებასთან თანამშრომლობას? აქვს თუ არა ვიქტორ იანუკოვიჩს წყენა იმის გამო, რომ საქართველოს პრეზიდენტი ღიად უჭერდა მხარს "ნარინჯისფერ რევოლუციას", რომელმაც ვიქტორ იანუკოვიჩს პრეზიდენტის სავარძელი დააკარგვინა?

**"ისეთი ცნება, როგორიცაა "წყენა", პოლიტიკაში არ არსებობს. ჩვენ გვსურს, რომ საქართველო-უკრაინის ურთიერთობა დაბრუნდეს ნორმალური პრაგმატიზმის ჩარჩოში,** - ამბობს "პარტია რეგიონების" პოლიტსაბჭოს წევრი ტარას ჩერნოვილი, - **დღესდღეობით, სამწუხაროდ, უკრაინა-საქართველოს პოლიტიკური ლიდერების ურთიერთვიზიტები უფრო ხშირად ატარებენ ერთგვარი პოლიტიკური ტურიზმის სახეს. არც საქართველოს და არც უკრაინას ამ ვიზიტებისაგან არავითარი პოზიტიური პოლიტიკური რეზულტატი არ მიუღიათ. სამწუხაროდ, არც ერთ პრეზიდენტს ეს არ უცდია."**

კიევში ამბობენ, რომ ერთ-ერთი ბოლო ვიზიტის დროს, საქართველოს პრეზიდენტი არაფორმალურ ვითარებაში მაშინდელი ოპოზიციის ლიდერს ვიქტრო იანუკოვიჩს პირისპირ შეხვედრია. საუბარი მათ შორის ნახევარი საათი გრძელდებოდა. იანუკოვიჩის შტაბში არ ფლობენ ინფორმაციას, შეხვდება თუ არა ამჯერად საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ლიდერს მიხეილ სააკაშვილი.

## უცნობი თავისუფლება

უცნობი FM 98.0

### გადაცემის სტუმარია პარლამენტის წევრი დავით ბერძენიშვილი

**ალექსანდრე ელისაშვილი:** როგორც უკვე ცნობილია, ბადრი პატარკაციშვილმა განაცხადა, რომ ბიზნესმენებს ხელისუფლება ავიწროებსო...

**დავით ბერძენიშვილი:** ჩვენ ვცდილობთ, რომ ქვეყანა ძალიან მშვიდად მივიყვანოთ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე და დავუბრუნდეთ ნორმალურ პოლიტიკურ კალაპოტს. დღეს ოპოზიცია გაცილებით ძლიერი და კონსტრუქციულია, ვიდრე ყოფილა ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში. პერსონიფიცირებული ნაკლებად არის. ჩვენი ამოცანაა, რომ მივიდეთ აღნიშნულ არჩევნებამდე და საარჩევნო პროცესმა განსაზღვროს, ქვეყანაში პოლიტიკური ხელისუფლების საკითხი. ხელისუფლება ძალიან შეშინებულია ამ არჩევნებით. აქამდე აცხადებდნენ, რომ ოპოზიცია არ არსებობს... როდესაც რეალურად ოპოზიცია გაჩნდა და გაძლიერდა, თქვეს, რომ ოპოზიცია გარდაიცვალაო. შემდეგ, მათი აზრით, გარდაცვლილი ოპოზიცია საკმაოდ სოლიდური გამოჩნდა ერთმანეთთან მიმართებაში.

მათ ვერ ჩაკეტეს საინფორმაციო სივრცე. ბადრი პატაკაციშვილის გამოსვლა იმას ადასტურებს, რომ არა მხოლოდ ბეჭვდური მედია, არამედ ელექტრონული მედიაც, არ არის მთლიანად კონტროლირებადი ხელისუფლების მიერ. ხელისუფლებამ მიიღო ისეთი საარჩევნო კანონი, რომ პირველ ადგილზე გასულს მიაქვს ყველა მანდატი. მათ მშვენივრად იციან, რომ სახელისუფლებო პარტიას თბილისში 50 პროცენტზე აღების თეორიული შანსიც არ აქვს. ამის გამოცდილება არსებობს, 1998 წელს მოქალაქეთა კავშირმა 29 პროცენტი აიღო, ხოლო 2002 წელს პირველ და მეორე ადგილზე გასულმა პარტიებმა 25 პროცენტი. ხელისუფლებამ მიიღო კანონი, რომლის ძალითაც მათ წინააღმდეგ მიცემული ხმები უნდა ქცეულიყო მანდატად, მაგრამ ოპოზიციამ მათთვის ძალიან უცნაური ურთიერთობები წამოიწყო. ხელისუფლებისთვის წარმოუდგენელი იყო, ბერძენიშვილებისა და კონსტანტინე გამსახურდიას საკონსულტაციოდ მაგიდასთან დაჯდომა. ამიტომ, ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველოში არ იყოს ჩვეულებრივი საარჩევნო პროცესი.

თუ სააკაშვილის ხელისუფლება ხუხულასავით დასაშლელია და ადვილად იშლება, აქედან ის დასკვნა კი არ უნდა გააკეთონ, რომ გასამყარებლად პარლამენტიდან დეპუტატები გაუშვან, ციხეებში ხალხი ჩახოცონ, შალვა რამიშვილი და დავით კოხრეიძე დაიჭირონ და ა.შ. არამედ პირიქით უნდა შეიქმნას ისეთი ვითარება და სისტემა, რომელიც არ იქნება თითოეულ აგურზე დამოკიდებული.

სააკაშვილმა არაადეკვატური ფუნქციები დააკისრა ვანო მერაბიშვილს, რომელიც საქართველოში გავლენით მეორე კაცია. არ არის ადეკვატური ის, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გიორგი არველაძეა ან მანამდე გიგი უგულავა და ირაკლი ჩუბინიშვილი, რომ იყო. ის ხალხი, რომლებიც არ არიან საჯარო პოლიტიკოსები, რომელთაც საზოგადოება არ იცნობდა, ან როცა გაიცნო მათ მიმართ განეწყო ძალიან ცუდად და შენ ასეთ ხალხს ავალებ უზარმაზარ ფუნქციებს, ეს არის არა ადეკვატურობა. ანუ პრაქტიკულად სააკაშვილი ქმნის არა დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებაზე დამყარებულ სისტემას, არამედ ვაზირთა ინსტიტუტს. ვაზირობას ახლავს ერთი ჩვეულებრივი რამ - ერთმანეთში ვერ არიან კარგად, რადგან მეშვიდე ვაზირი ოცნებობს, რომ გახდეს მეხუთე და მეხუთეს უნდა იყოს პირველი. სააკაშვილი ძალიან ნიჭიერი კაცია. მე მახსოვს, იგი 24 საათი რომ მუშაობდა. ახლა კი, პრეზიდენტი პარასკევობით რომ უნდა მუშაობდეს, გუდაურში დადის და ჟურნალისტებს დედას აგინებს. არაადეკვატურობა მასაც გადაედო. სააკაშვილი თავად ემსგავსება ვაზირებს და მისი ვაზირები არ არიან კვალიფიციურები. აი, ამაშია პრობლემა. ჩვენი ამოცანაა, რომ რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, მივაღწიოთ არჩევნებს, ხოლო ხელისუფლების ამოცანაა, არჩევნებს ფასი არ ჰქონდეს.

# წერილი პრეზიდენტს

*შვიდი თვის წინათ ჩოხატაურის პოლიციის მიერ ერთ დღეში შედგენილი საქმე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თაროზე მერვე თვეა დევს და ის დღემდე ლოგიკური შედეგით ვერ დასრულდა. სამწუხაროდ, გამოძიების მიერ დაშვებული სერიოზული სამართლებრივი ხარვეზები ჯერჯერობით ვერც სასამართლომ გაასწორა. რატომღაც სასამართლო პროცესის დაწყება ხელოვნურად ჭიანურდება – რვა თვის განმავლობაში განმწესრიგებელი სხდომაც კი არ ჩატარებულა.*

ბრალდებულმა შალვა დოლიძემ და მისმა ადვოკატმა შვიდი თვის მანძილზე ყველა სახელისუფლებო სტრუქტურას მიმართეს, რათა საქმის გამოძიებისას დაშვებული არაერთი უკანონობა გასწორებულიყო, მაგრამ უშედეგოდ. ცოტა ხნის წინათ შალვა დოლიძის წერილი პრეზიდენტის კანცელარიაშიც შევიდა.

**"2005 წლის 22 აგვისტოს მე და ჩემი ვაჟიშვილი აბსურდული ბრალდებებით დაგვაპატიმრეს. თითქოსდა, ჩვენი აგარაკის ეზოში, რომელიც მდებარეობს სოფელ ბახმაროში, უკაცრიელ ადგილზე, შვილთან ერთად გავისროლე ჰაერში. არადა, პროკურატურას არ მოეპოვება არანაირი მტკიცებულება, რომელიც ჩვენთვის წაყენებულ ბრალდებებს საფუძველს გაუმაგრებს. მეტიც, უამრავი ფაქტი და მათ შორის მოწმეები ჩემი და ჩემი შვილის უდანაშაულობას ადასტურებს, მაგრამ ჩვენი დაპატიმრების შესახებ გადაწყვეტილება პროკურატურამ მაინც მიიღო, რაც კანონის წინასწარგანზრახვითი იგნორირებით განხორციელდა. სასამართლომაც ასევე, კანონის იგნორირებით ოპერატიულად დააკმაყოფილა პროკურატურის მოთხოვნა ჩვენი დაპატიმრების შესახებ. ჯანმრთელობის უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი, ფაქტობრივად, მომაკვდავი ადამიანი, პროკურატურის მაღალჩინოსანთა უშუალო მითითებებით დამაპატიმრეს, მაგრამ სამწუხაროდ, ამასაც არ დასჯერდნენ და ანგარიშსწორების ყველაზე საშინელ ფორმას მიმართეს – იმისთვის, რომ ჩემზე განეხორციელებინათ ზეწოლა დააპატიმრეს ჩემი შვილი, ვლადიმერ დოლიძე. ჩვენს მიმართ განხორციელებული უსამართლო სიტუაცია დღემდე გრძელდება და არც პროკურატურა და არც სასამართლო ხელისუფლება ადამიანის უფლებების ასეთი უპრეცედენტო დარღვევების გამო არავითარ რეაგირებას არ ახდენს",** – წერია შალვა დოლიძის მიერ პრეზიდენტისადმი გაგზავნილ წერილში.

საქმე ისაა, რომ მამა-შვილი შალვა და ვლადიმერ დოლიძეები ოზურგეთში დააკავეს - 2005 წლის 19 აგვისტოს, ბახმაროში გამართული დოღიდან რამდენიმე დღის შემდეგ, 22 აგვისტოს. ჩოხატაურის პოლიციამ საქმე ერთ დღეში "შეკერა", უფრო ზუსტად, როგორც შალვა დოლიძე აცხადებს, 200-გვერდიანი საქმე უკვე შედგენილი იყო, როცა მამა-შვილი დააკავეს და ცეცხლსასროლო იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება გადაზიდვასა და ხულიგნობაში - ქმედებაში, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოების აშკარა უპატივცემულობას, დაადანაშაულეს.

ჩოხატაურის პოლიციის მტკიცებით, მამა-შვილმა დოღის დასრულების შემდეგ ჰაერში გაისროლეს, რითიც ჩაიდინეს ხულიგნობა და დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი. პოლიციის ეს არგუმენტი გახდა საფუძველი იმისა, რომ მამა-შვილი მკაცრად დასჯილიყო. სხვათა შორის, აქვე სათქმელია, რომ როგორც დოლიძეების ადვოკატი აცხადებს, საგამოძიებო მოქმედებები, რომელთა ჩამოთვლაც ახლა შორს წაგვიყვანდა, საპროცესო ნორმების უხეში დარღვევითაა ჩატარებული. ზოგ შემთხვევაში, არც კი ჩატარებულა ისეთი საგამოძიებო მოქმედებები, რომელიც კანონით, საქმის აღძვრისა და ბრალის წაყენების საფუძველი უნდა გამხდარიყო. მეტიც, გამოძიებას არ მოუპოვებია ნივთმტკიცება – დანაშაულის ჩადენის იარაღი, რომლითაც, როგორც გამოძიება ირწმუნება ჰაერში გასროლა მოხდა. ჩოხატაურის პოლიციის მიერ შექმნილი საქმე გენერალური პროკურორის მოადგილის მითითებით, "რეზონანსულობის" გამო ოლქის პროკურატურას გადაეცა გამოსაძიებლად - გამოძიება ოპერატიულად, 33 დღეში დასრულდა და სასამართლოში გადაიგზავნა, თუმცა, მისი განხილვა აქ რატომღაც ძალზე გაჭიანურდა. როგორც ადვოკატი აცხადებს, სავარაუდოდ, იმ მიზეზით, რომ უსაფუძვლო საქმე სასამართლოზე დაიშლება, რაც პროკურატურის ინტერესში არ შედის.

სხვათა შორის, არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის "სამოქალაქო საზოგადოება – დემოკრატიული საქართველოსთვის" წარმომადგენლების მიერ ცოტა ხნის წინათ ჩატარებულ კონფერენციაზე, რომელზეც საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებიც იყვნენ მიწვეული, მესამე სექტორის წარმომადგენლებმა ადამიანის უფლებების დარღვევებზე ისაუბრეს და საქართველოს ციხე-კოლონიებში "გამოგონილი ბრალდებებით" დაკავებული ადამიანების დაუყოვნებლივ გათავისუფლება მოითხოვეს. შეხვედრაზე საუბარი იყო "გამოგონილი ბრალდებებით" დაკავების ერთ-ერთ ფაქტზე - 2005 წლის 22 აგვისტოს კურორტ ბახმაროში მამაშვილ დოლიძეების დაკავების ფაქტზე. როგორც ადვოკატმა ეკა ბესელიამ განაცხადა, 19 აგვისტოს, ბახმაროში ჩატარებული დოღის შემდეგ სამართალდამცველებმა გამარჯვებული ცხენის მფლობელები მამა-შვილი შალვა და ვლადიმერ დოლიძეები დააკავეს.

**"საქმის მასალების მიხედვით, ჩატარებული ბალისტიკური და კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დოლიძეების კუთვნილი იარაღიდან საერთოდ არავის გაუსროლია. საქმეში ერთადერთ მტკიცებულებად სამი პოლიციელის ჩვენება დევს, რომელთაც მოგვიანებით გადათქვეს ჩვენებები და ისინი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს",** - განაცხადა ბესელიამ და დასძინა, რომ დოლიძეების შელახული უფლებების აღსადგენად სარჩელი სტრასბურგის სასამართლოში გადააგზავნეს.

**"ბატონო პრეზიდენტო, ჩემს მიმართ განხორციელებული შანტაჟი, დევნა და არაადამიანური მოპყრობა ჯერ კიდევ შევარდნაძისდროინდელი პროკურატურის თანამშრომლებისგან მოდიოდა. პროკურატურის მხრიდან ჩემს მიმართ განხორციელებული უსამართლო დევნის არა ერთი საბუთის წარმოდგენა შემიძლია. პროკურატურის მაღალჩინოსანთა კორუფციული დაინტერესება დღესაც გრძელდება და სწორედ ამ დაინტერესების მსხვერპლი გავხდით მე და ჩემი შვილი.**

**ბატონო პრეზიდენტო, ჩვენ ფაქტობრივად, იმ მართლმსაჯულების მსხვერპლი ვართ, რომელიც თქვენ ვარდებით გააცილეთ, თუმცა, მისი ნარჩენები ჯერ კიდევ სახეზეა, ამის დასტურია ჩვენი საქმე, რომელიც პროცესუალური ნორმების უხეში დარღვევითაა შექმნილი, ან არც ჩატარებულა ისეთი მნიშვნელობის საპროცესო მოქმედებები, რომლებიც ბრალდების წაყენების საფუძველი უნდა გამხდარიყო. საქმე კურიოზულ ფაქტებზეა შეკერილი და მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის სამართალწარმოების პრაქტიკაში მსგავსი ფაქტი ალბათ, არ არსებობს. მეტიც, ჩემს მიმართ თუ კურიოზული ფაქტები შეკრიბეს, საქმეში ჩემი ვაჟიშვილის მხოლოდ სახელი და გვარი ფიგურირებს, სხვა არაფერი. 22 წლის აბსოლუტურად უდანაშაულო ახალგაზრდა კაცი პატიმარია.**

**ბატონო პრეზიდენტო, მჯერა თქვენი სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის და იმ შემთხვევაში თუ საქმეში ჩემს საწინააღმდეგოდ რაიმე ინკრიმინირებული ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევაც კი აღმოჩნდება, მზად ვარ, დამსაჯონ კანონის მთელი სიმკაცრით,"** – წერია შალვა დოლიძის მიერ პრეზიდენტისადმი მიწერილ წერილში.

დოლიძეების საქმე, უფრო ზუსტად, შალვა დოლიძისა და ვლადიმერ დოლიძის უკანონო პატიმრობის შესახებ სარჩელი ეკა ბესელიამ სტრასბურგის სასამართლოში 3 ნოემბერს გაიგზავნა. ევროსასამართლომ დოლიძეების საქმე წარმოებაში 14 ნოემბერს მიიღო და ევროსასამართლოსგან საქართველოს ხელისუფლებას უკვე მოუვიდა ამის შესახებ შეტყობინება.

შალვა დოლიძე, რომელიც რამდენიმე მძიმე სენითაა დაავადებული, აცხადებს, რომ თუ საქალაქო სასამართლო საქმის განხილვას არ დაიწყებს, ის პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართავს – შიმშილობას გამოაცხადებს, მიუხედავად იმისა, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მართლაც უმძიმესია.

*24 საათი*

# ხუთ წუთში გამოტანილი განაჩენი

პირველი გვერდიდან

**"ტელეკომპანია "202"-ის დამფუძნებელს შალვა რამიშვილს, გამოძალვის ბრალდების გამო, 4 წლით პატიმრობა, ხოლო მასთან ერთად დაკავებულ დავით კოხრეიძეს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯოს. რამიშვილი სასჯელს საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოიხდის, ხოლო დავით კოხრეიძე – მკაცრი რეჟიმის კოლონიაში. შალვა რამიშვილი და დავით კოხრეიძე 2005 წლის 27 აგვისტოს დააკავეს. სასჯელის მოხდა დაკავების დღიდან აითვლება",** - განაცხადა მოსამართლემ, რომელმაც მხოლოდ განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი წაიკითხა და სხდომის დარბაზი დაუყოვნებლივ დატოვა. სხვათა შორის, სასამართლოს განაჩენის გამოცხადებას არ ესწრებოდნენ სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატები. განაჩენმა მსჯავრდებულების და მათი გულშემატკივრების ტაში დაიმსახურა.

**"ჩვენ მაინც გავიმარჯვებთ",** - ამ სიტყვებით დატოვა სასამართლო დარბაზი შალვა რამიშვილმა.

სასამართლოს შენობის გარეთ კი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და პოლიტიკოსები "202"-ელებს სოლიდარობას საპროტესტო აქციითა და ტრანსპარანტებით უცხადებდნენ. "თავისუფლება პოლიტპატიმრებს", "ვითხოვთ სამართლიან გადაწყვეტილებას", "მოსამართლეობა მარტო თანამდებობა არ არის", "თავისუფლება კოხრეიძესა და რამიშვილს", - ასეთი შინაარსისა იყო სასამართლოს წინ გამოტანილი ტრანსპარანტები.

**"ყველამ იცოდა, თუ რა განაჩენს გამოიტანდა თბილისის საქალაქო სასამართლო. ამგვარი ვერდიქტი მიიღო სააკაშვილმა და მისმა გუნდმა. ეს სასამართლო კი არ არის, არამედ იურიდიული კანცელარიაა, რომელიც ბრალდების მხარის მოთხოვნებს აფორმებს",** – განაცხადა "კონსერვატიული პარტიის" ერთ-ერთმა ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა.




*შალვა რამიშვილს და დავით კოხრეიძეს განაჩენი საპროტესტო აქციის ფონზე გამოუტანეს.*

"რესპუბლიკური პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი კი თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს "დემოკრატიული პრინციპების წინააღმდეგ დაწყებულ შეტევად" აფასებს.

**"საქმის განმხილველ მოსამართლეს ნინო სანდოძეს ამგვარი, სასწრაფო წესით გამოტანილი განაჩენით გინესის რეკორდებში მოხვედრის შანსი აქვს. მან კიბეებიდან დაიწყო განაჩენის გამოცხადება, რათა დამსწრეებს სხდომათა დარბაზში შესვლა არ მოესწროთ. სასამართლო პროცესებზე არ დადასტურდა შალვა რამიშვილისა და დავით კოხრეიძის ბრალეულობის საკითხი, ვინაიდან არ გამოიკვეთა თანხის გამოძალვის ბრალდება. თუმცა, მაინც გამამტყუნებელი განაჩენი გამოვიდა. ვინაიდან ადგილობრივი არჩევნებია მოახლოებული, ხელისუფლებას შეეშინდა შალვა რამიშვილის ფიგურის და ჟურნალისტის დაკავებით თავისუფალ სიტყვაზე ზეწოლას შეეცადა. მე არ მგონია, რომ ეს განაჩენი ძალაში დარჩება. თუ ვერდიქტი საქართველოს ზემდგომ ინსტანციებში არ გაუქმდება, უახლოეს მომავალში სამართლიანი გადაწყვეტილება სტრასბურგის სასამართლოში გამოვა",** - აღნიშნა დავით ბერძენიშვილმა.

"202"-ელთა განაჩენით უკმაყოფილო საზოგადოებას მოგვიანებით თბილისის საქალაქო სასამართლო გამოეხმაურა და მოსამართლის გადაწყვეტილების კანონიერება კიდევ ერთხელ დაადასტურა.

**"სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის" 512-ე მუხლის თანახმად, მოსამართლეს უფლება აქვს გამოაცხადოს, როგორც განაჩენის სარეზოლუციო, ასევე მისი სამოტივაციო ნაწილი. პრაქტიკაში, როგორც წესი, ხდება სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება. სამოტივაციო ნაწილი (სადაც კონკრეტულად საუბარია მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე და სხვა საკითხებზე) განაჩენის გამოცხადებიდან ხუთი დღე-ღამის ვადაში მხარეებს გადაეგზავნებათ ",** - განაცხადა სპიკერ-მოსამართლე შორენა გუნცაძემ და იქვე დაზარალებული ბექაურიც გაიხსენა.

**"მოსამართლემ ბექაურს გამოცხადების შესახებ უწყება გაუგზავნა და დაადგინა, რომ დაზარალებული თბილისში არ იმყოფებოდა. ამის შემდეგ მოსამართლემ დაზარალებულის დასწრების გარეშე სხდომების წარმართვის გადაწყვეტილება მიიღო. ამ და სხვა საკითხების გათვალისწინებით, თბილისის საქალაქო სასამართლოში მიიჩნევენ, რომ რამიშვილი-ბექაურის საქმის განხილვის დროს არ დარღვეულა არანაირი სამართლებრივი ნორმები",** - ამბობს გუნცაძე, რომელსაც ალბათ დაავიწყდა, ის ფოტო მასალა და სხვა მტკიცებულებები, რითაც დასტურდებოდა, რომ აღნიშნულ პერიოდში ბექაური თბილისში იყო.

ამ საკითხს რამიშვილი-კოხრეიძის ადვოკატები მომავალშიც დაუბრუნდებიან. მანამდე კი გოჩა სვანიძე და დავით კორკოტაშვილი, რომლებიც გუშინდელ პროცესს მაყურებლის სტატუსით ესწრებოდნენ, განაჩენს "სამარცხვინოს" უწოდებენ.

ადვოკატები "202"-ელთა დაცვას სასამართლოს ზემდგომ ინსტანციებში გააგრძელებენ. მათი მოთხოვნა უცვლელია, ისინი გამოტანილი განაჩენის გაუქმებას და რამიშვილი-კოხრეიძის უდანაშაულოდ ცნობას მოითხოვენ. განაჩენის გასაჩივრებას დაცვის მხარე მისი ჩაბარებიდან 15 დღის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოში აპირებს.

# სოზარ სუბარი მკაცრ ანგარიშს ამზადებს

სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა თბილისის მე-7 საპყრობილეში 27 მარტის ამბოხის შემდეგ, ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან გადაყვანილი პატიმრები, კერძოდ, ცინდელიანი, ვიბლიანი, ავალიანი, მამარდაშვილი, ზედელაშვილი და მახარაძე მოინახულა. პატიმრების განცხადებით, ისინი 26 მარტს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებმა სასტიკად სცემეს. პატიმრებს სხეულზე და სახეზე ფიზიკური ძალადობის კვალი აღენიშნებათ. ბრალდებულები აცხადებენ, რომ მთელი დღეღამის განმავლობაში ლეიბების გარეშე იმყოფებოდნენ და რკინის ლოგინებზე უწევდათ წოლა. სახალხო დამცველის აპარატის მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსმა გიგა გიორგაძემ 27 მარტს, დღის სამ საათზე მოინახულა აღნიშნული პატიმრები და ისინი ნამდვილად იწვნენ რკინის საწოლებზე, ხოლო 28 მარტს დილით, მათ უკვე ჰქონდათ ლეიბები. მიუხედავად იმისა, რომ დაშავებულები სამედიცინო დახმარებას საჭიროებდნენ, ექიმი მათთან მხოლოდ სახალხო დამცველის ძალისხმევის შედეგად შევიდა და აუცილებელი წამლები შეუტანა. თუმცა, მედიკამენტები არასაკმარისი აღმოჩნდა. ომბუდსმენის ინფორმაციით, განსაკუთრებულად მძიმეა პატიმარ ზედელაშვილის მდგომარეობა – იგი არის პარალიზებული, არ შეუძლია დამოუკიდებლად გადაადგილება, რის გამოც ვერ იცავს ელემენტარულ პირად ჰიგიენას. ასეთ პირობებში სახალხო დამცველს აუცილებლად მიაჩნია პატიმრისათვის მომვლელის გამოყოფა, რათა არ შეილახოს მისი ადამიანური ღირსება და უფლებები. სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს გენერალურ პროკურატურას, დაიწყოს წინასწარი გამოძიება აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით.

სოზარ სუბარმა თბილისის N5 საპყრობილიდან რუსთავის N6 საპყრობილეში გადაყვანილი 96-ვე პატიმარიც მოინახულა. როგორც სახალხო დამცველი აცხადებს, პატიმრებმა ოჯახის წევრებთან და ადვოკატებთან ტელეფონით დაკავშირება სთხოვეს. პატიმართა განცხადებით, ისინი განსაკუთრებით პირადი ჰიგიენის საგნების და სიგარეტის ნაკლებობას განიცდიან. სუბარის განმარტებით, საპყრობილის ადმინისტრაციის მხრიდან, ჯერჯერობით შეჩერებულია საკვები პროდუქტების შეგზავნა. საპყრობილის ექიმის ინფორმაციით, იქ შეყვანილ პატიმართაგან ათი მსუბუქად - რეზინის ტყვიებით არის დაშავებული და ისინი მედპერსონალის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ თბილისის მეხუთე საპყრობილეში მოკლული ერთ-ერთი პატიმარი, ცხოვრებოვი, პატიმრობიდან გუშინ უნდა გათავისუფლებულიყო. პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ელენე თევდორაძის განცხადებით, პატიმარი ზურგში ნასროლი ტყვიის შედეგად გარდაიცვალა.

**"გაუგებარია, რაში სჭირდებოდა მას გაქცევა. გაღებული კარებიდან ზოგი პატიმარი გამოვიდა გარეთ, ზოგი კი - არა. როგორც ჩანს, როდესაც ყველაფერი ჩაწყნარდა, ცხოვრებოვმა იფიქრა, ვნახავ რა ხდებაო და ციხის საკანი დატოვა, ის სწორედ მაშინ მოკლეს",** - აცხადებს ელენე თევდორაძე, რომელიც აპირებს ორთაჭალის საპყრობილეში შესვლას და მომხდარი ინციდენტის ადგილზე გარკვევას. **"არ მჭირდება მათი წერილობითი ინფორმაცია. ბევრი კითხვები მაქვს და მინდა ადგილზე გავიგო ყველაფერი",** - აცხადებს ელენე თევდორაძე და არ მალავს, რომ რუსთავის ციხეში გადაყვანილი 96 პატიმრიდან ყველა ნაცემია, თუმცა რუსთავის საპყრობილეში ექიმი არ მისულა.

**"როგორც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბაჩო ახალაიამ მითხრა, ექიმები რუსთავში თბილისიდან დაჰყავთ",** - აცხადებს თევდორაძე.

კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, სახალხო დამცველი პარლამენტისთვის წარსადგენ ანგარიშს ამზადებს, რომელიც საკმაოდ სერიოზული იქნება და რომელშიც ციხის ბუნტი იქნება ასახული. ელენე თევდორაძე აპირებს სუბარის თანამომხსენებლად გამოვიდეს და პარლამენტს საკუთარი ინფორმაცია და ანგარიში წარუდგინოს.

*24 საათი*

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

### ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი**........................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**........................................

**საკონტაქტო ტელეფონი**........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპის" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" ([illegible]);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "[illegible] II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II". (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "[illegible]";
10. [illegible] 45 "[illegible]" შენობის [illegible] გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# "ამ ყოფაში არ მენახე ნეტა"

სოფიო თოდუა

იყო ასეთი ფრანგული ფილმი, თუ არ ვცდები, "ცოლ-ქმრული ცხოვრება" ერქვა. ერთსა და იმავე ამბავს ჯერ ქალი ყვება, მერე კაცი. ცოლის მონაყოლით, მამაკაცია დამნაშავე, ქმარს თუ დავუჯერებთ, ყველაფერი ქალის ბრალია. მაყურებელს ისღა დარჩენია, ორივე ვერსია ირწმუნოს, თუმცა ორივე შემთხვევაში ფინალი ტრაგიკულია: წყვილი ერთმანეთს შორდება. ამა თუ იმ მოვლენის სხვადასხვა რაკურსით დანახვა მხოლოდ ოჯახური პრობლემების გარკვევაში არ გვეხმარება. პატარა ექსპერიმენტი მეც ჩავატარე. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს იმ განწყობით ვესტუმრე, რომ იქ ნანახს ჯერ მოვიწონებდი, მერე დავიწუნებდი - ან პირიქით, თუ, რასაკვირველია, თანმიმდევრობას რამე არსებითი მნიშვნელობა აქვს. მაშ ასე:





ლევან ხერხეულიძის ფოტოები

## ოპტიმისტის ჩანაწერებიდან

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ასათიანის ქუჩაზე იმდენად მძიმე მდგომარეობა იყო, აქაურობას პირობითად თუ დავარქმევდით საავადმყოფოს. არ იყო საკვები პროდუქტები - მათ შორის მარილიც, არ იყო მედიკამენტები, დენი, წყალი, გაზი ... სამაგიეროდ, იყო არცთუ უსაფუძვლო შიში, რომ ფსიქიატრიის ქართული სკოლის მიღწევები სამუდამოდ ჩაბარდებოდა წარსულს. დღეს: არის საჭმელი - სამჯერადი კვების რაციონი, გაჩნდა მედიკამენტები - არც ისე ბევრი, მაგრამ იმდენი მაინც, რომ აღგზნებული ავადმყოფის დასაშოშმინებლად დამაწყნარებელი პერანგი არ გამოიყენონ; კლინიკა თბება, ისე არა, როგორც ადრე, კომუნისტების დროს, მაგრამ პირიდან ორთქლი რომ აღარ გამოდის, ესეც საქმეა; წყალიც მოდის, თანაც ცხელი, თუ, რასაკვირველია, აქაურობას დენი მიეწოდება; ეზოც დასუფთავდა, ტუალეტებიც შეკეთდა, პალატებიც შეთეთრდა, თეთრეულიც გაჩნდა; რომელიღაც აქაური თუ იქაური საერთაშორისო ორგანიზაციის წყალობით არტთერაპიისა და შრომითი თერაპიის კაბინეტები დაარსდა; ზოგი ქარგვას მიეძალა - მათ შორის მამრობითი სქესის წარმომადგენლები, ზოგიც მხატვრობას და პოეზიას. გულწრფელად თუ ვიტყვით, ერთი პაციენტის მოხატული ინტერიერი ბევრად აღემატება თბილისის სხვადასხვა უბნებში მოჭარბებულ "კედლის მხატვრობას". პირველად ქართული ფსიქიატრიის ისტორიაში ბავშვთა ამბულატორიაც ამუშავდა; ავადმყოფების რიცხვიც არ მატულობს; ასათიანის ქუჩაზე გაცილებით უკეთესი პირობებია, ვიდრე გლდანის ამავე პროფილის სავადმყოფოში. არის იმედი, რომ ფსიქიატრიის ინსტიტუტსაც ისევე მიხედავენ, როგორც იქვე ახლოს მდებარე რესპუბლიკურ საავადმყოფოს. ერთი სიტყვით, ქვეყანა ნელ-ნელა, მაგრამ მაინც შენდება. თუმცა...

## პესიმისტის ჩანაწერებიდან

ჯერ კიდევ დიდი დროა საჭირო, აქაურობა საბჭოთა საქართველოს სტანდარტებს რომ გაუტოლდეს; საჭმელი არის, მაგრამ იმდენი არა, ამ პროფილის ავადმყოფებს რომ ეყოს. ამათ კი მთლად ბულიმია თუ არ აწუხებთ, უმადობასაც არ უჩივიან; საჭიროა მეტი მედიკამენტი - მკურნალობის კურსის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდიდან გამომდინარე; რატომღაც დამთბარ პალატებში საცოდავად მიყიჟულ პაციენტებს რამდენიმე ხელი ტანსაცმელი აცვიათ; სოლიდური დავალიანების გამო დროდადრო დენი ითიშება და ცხელი წყალიც იმ შემთხვევაში აქვთ, თუ კარგად მოიქცევიან - ოღონდ არა პაციენტები და არა მედპერსონალი, არამედ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დაზღვევის ერთიანი ფონდი (სწორედ ამ გაურკვეველ სტრუქტურას ევალება აქუროობის პატრონაჟი). შრომითი თერაპიაც კარგია, ხატვისა და ჭრა-კერვის გაკვეთილებსაც რა უჭირს, მაგრამ დასუფთავებული ეზოში სპორტული მოედნებიც აუცილებელია და ბაღში მომუშავე პაციენტებიც გაახარებდა თვალს. შეთეთრებულ პალატებში განივი და გრძივი ბზარები, აყრილი პარკეტი თუ ლინოლეუმი (ძნელი დასადგენია, რომელი) და გაყვითლებული თეთრეული საერთაშორისო სტანდარტებს გეომეტრიული პროგრესიით გვაშორებს. ისეც ხდება, დავაზუსტებ: სწორედ ასე ხდება, პაციენტების დიდი ნაწილი პირადი ჰიგიენისთვის ნაკლებად იცლის და ტუალეტების შეკეთება წელიწადში რამდენჯერმე უბრალოდ აუცილებელია. უნდათ სიგარეტი, უნდათ შოკოლადი, სჭირდებათ ტანსაცმელი – მაგალითად, წინდები. სალი ფეხსაცმელიც არ აწყენდათ. რასაკვირველია, ოდესმე ქვეყანა აშენდება, მაგრამ იქნება კი ამ აყვავებულ ქვეყანაში ამათი ადგილი?

## სტრატეგიაც და ტაქტიკაც

ვინ ხვდება ასათიანის ქუჩაზე, ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. ერთი კია, პაციენტების დიდი ნაწილი, რომლებიც წესით ბათუმის, ხონის, ბედიანისა თუ სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში უნდა მკურნალობდნენ, ტრადიციულად თბილისში ჩამოჰყავთ. ბარემ აქვე დავძენ, საქართველოს ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში ნევროზებს არ მკურნალობენ და მხოლოდ მათ იღებენ, ვინც, ორი სიტყვით თუ ვიტყვით, სინამდვილეს არაადეკვატურად აღიქვამს. ეს კი ნიშნავს: ჭიშკართან ახალგაზრდა მამაკაცი დგას და ლარსა და ოთხმოც თეთრს ითხოვს. ის ჩვეულებრივი ადამიანია, სხვების მსგავსად მწეველია და ზუსტად იცის, რომ ერთი კოლოფი LM ლარი და ოთხმოცი თეთრი ღირს. მაგრამ ამ ჩვეულებრივ ადამიანს აზრადაც არ მოსდის, ეს თანხა ოც-ოცი თეთრით რომ შეაგროვოს. ესეც სინამდვილის არაადეკვატური აღქმა.

მაგრამ რა ვუყოთ ჩვენი ქვეყნის ჯანსაღ საზოგადოებას და ამ ჯანსაღი საზოგადოების ჯანსაღ სტრუქტურებს, რომელთაც ადეკვატური საქციელი მოეთხოვებათ? კითხვა ასეც შეიძლება დაისვას: რა უკეთ წარმოაჩენს სახელმწიფოს - შეღებილი ფასადები და ნატოში გაწევრიანების პერსპექტივა თუ იმ კატეგორიის მოქალაქეებზე ზრუნვა, რომელთაც დაცვა და მზრუნველობა სჭირდებათ? ერთი შენიშვნა სხვათა შორის, სახელმწიფოს სასარგებლოდ: ლამაზი გარემო სულიერი ავადმყოფებისთვისაც მნიშვნელოვანია და ისე ნუ წარმოვიდგენთ, თითქოს "ყვითელ სახლებში" კომფორტი და სილამაზე ფეხებზე კიდიათ. უფრო პირიქიათაა და არტთერაპიაც სხვა არაფერია, თუ არა მშვენიერებით ტკბობის მოთხოვნილება.

მაგრამ ლამაზ გარემოს შექმნა უნდა, მათ შორის ასათიანის ქუჩაზეც და თუ ვერ ვქმნით, უნდა ვაღიაროთ, რომ ფსიქიკური თუ არა, მენტალური პრობლემები ჩვენც გვაქვს. სახელმწიფო ბიუჯეტი, მე და თქვენ რომ ვავსებთ, დღეს შესაძლებლობას იძლევა, ფსიქიატრიის დაფინანსება მილიონით გაიზარდოს და 4 მილიონ ლარით განისაზღვროს. მცირე განმარტება: მომატებულ მილიონში არ შედის გლდანის ფსიქიატრიული საავადმყოფოს რეკონსტრუქცია – ამას მილიონი სად გასწვდება, მით უფრო, რომ საავადმყოფო სხვა შენობაში უნდა განთავსდეს. მილიონი, თუნდაც ლარი, რა თქმა უნდა, ბევრია, მაგრამ იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში ყველაფერი გაძვირდა, მაშინ ქართველ ფსიქიატრებს მადლობის ნიშნად თავი მდაბლად დავუკრათ და პრეტენზიების ნუსხა სახელმწიფოს მივართვათ.

ფსიქიატრიული პროფილის პაციენტზე დღიურად 6 ლარი და 50 თეთრია გამოყოფილი. ამ თანხაში შედის მედპერსონალის ხელფასები (საუკეთესო შემთხვევაში 80 ლარი), მედიკამენტები, კვება, კომუნალური გადასახადები... გვჯერა, რომ ამ სფეროს დაფინანსება გაიზრდება, მაგრამ ისიც ვიცით, რატომ სჯობია ექვსი ლარი თექვსმეტს. საქმე ისაა, რომ კარგად ნამკურნალებ პაციენტს საავადმყოფოში მიბრუნება ან საერთოდ აღარ დასჭირდება და ამბულატორიაში ზედამხედველობას დასჯერდება, ან მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში სტაციონარში მოხვდება, ოღონდ დიდი ხნის შემდეგ. თითქოს ყველაფერი ნათელია: დღეს ბევრს იმიტომ ვიხდით" რომ ხვალ მკურნალობა ნაკლები დაგვიჯდეს და გამონთავისუფლებული თანხა ფსიქიატრიის სხვა მიმართულებებს მავახმაროთ. სამწუხაროდ, სამედიცინო სფეროში დასაქმებულ მაღალჩინოსნებს ამის დანახვა პრინციპულად არ უნდათ. როგორც ჩანს, მტკიცედ სჯერათ, რადგანაც ბოლო წლების განმავლობაში სტაციონარებში მოთავსებული ავადმყოფების რიცხვი არ იზრდება, დაფინანსებას რეალურად თუ გაზრდიან, ფულს ქარს გაატანენ. არადა, მედიცინაში, მათ შორის ფსიქიატრიაშიც, ტექნოლოგიები ისე სწრაფად ვითარდება, ცოტაც და, ქართველი ფსიქიატრები სამუდამოდ ჩარჩებიან მეოცე საუკუნეში. ასე რომ, მხოლოდ საბჭოთა სტანდარტებზე ნოსტალგია დიდად არ წაგვადგება. და ეს ხდება ქვეყანაში, სადაც ფსიქიატრია სამედიცინო სფეროს ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ დარგად ითვლებოდა. იქნებ ამიტომაა, რომ ბოლო დროს სამედიცინო სასწავლებლების სტუდენტები მედიცინის ამ დარგს ნაკლებად ეტანებიან.

რა კატეგორიის ხალხი ხვდება ასათიანის ქუჩაზე, ადვილი მისახვედრია. ვისაც შესაძლებლობა გააჩნია და ახლობელი გულწრფელად უყვარს, ურჩევნია, ავადმყოფი სახლში იყოლიოს. სიყვარულზე კი იმიტომ მოგახსენებთ, რომ, სამწუხაროდ, დალხენილ ოჯახებშიც შიზოფრენიას ხშირად ტაბუ ადევს. აბა როგორ, ასეთი გენეტიკით ვერც ქალიშვილს გაათხოვებ და ოჯახში პატიოსანი რძალიც არ შემოგივა. ამიტომაც ურჩევნიათ, დედა, მამა, და, ძმა, შვილიც კი ფსიქიატრიულ კლინიკაში გამოკეტონ და მალე ისიც ისეთივე უპოვარი ხდება, როგორც სხვები, საავადმყოფოში ბევრად უკეთ რომ გრძნობენ თავს, ვიდრე შინ. საინტერესოა, საქართველოში კერძო ფსიქიატრიული კლინიკები რომ არსებობდეს, რამდენ ხანს შეძლებენ ასეთი სამედიცინო დაწესებულებები თავის გატანას? ჩვენთან კი არათუ კერძო ფსიქიატრიული კლინიკა, ფასიანი განყოფილებაც არ არსებობს. ამის მიზეზად მხოლოდ ახლობლების გულცივობა და, შესაბამისად, კომფორტულ პირობებზე მოთხოვნის დეფიციტი არ გამოდგება. ჩვენს შემთხვევაში ლაპარაკია ქრონიკულ დაავადებაზე და, აქედან გამომდინარე, მკურნალობის გახანგრძლივებულ კურსზე, რომლის ანაზღაურება საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. გარკვეული სტანდარტები ჩვენს ქვეყანაშიც არსებობს. ვივარაუდოთ, რომ პაციენტს ერთი დღე საუკეთესო საავადმყოფოში დაახლოებით 50 ლარი უჯდება. ადვილი დასაანგარიშებელია, რამდენის გადახდა მიუწევს ადამიანს, ასათიანზე ორი-სამ თვეს თუ დარჩება. ამიტომაა, რომ ამ პროფილის სამედიცინო დაწესებულბებს ართუ პოსტსაბჭოთა სივრცეში, დასავლეთშიც კი ძირითადად სახელმწიფო აფინანსებს. კერძო კლინიკები, სადაც უფრო ნევროზებს, ნარკომანიასა და ხანდაზმულობით გამოწვეულ ფსიქიკურ აშლილობებს მკურნალობენ, მხოლოდ ერთეულებისთვისაა ხელმისაწვდომი. რასაკვირველია, რომ არსებობდეს კანონი ქველმოქმედების შესახებ და ქართველ თუ უცხოელ ბიზნესმენებს სოლიდურ შეღავათებს აძლევდნენ, აქაურობასაც ეშველობოდა. დღეს კი ისე ხდება, რომ კაბალური პირობების მიუხედავად ქველმოქმედების სურვილი ვინმეს მაინც თუ უჩნდება, ურჩევნია ფული კულტურასა და სპორტში დაბანდოს. სხვა თუ არაფერი, თეატრებსა და სპორტულ კომპლექსებს მეტი ხალხი ეტანება და გაღებული ფულის სანაცვლოდ ვიღაც მადლობას მაინც გადაგიხდის, საავადმყოფოს დაფინანსება კი რეკლამისთვისაც ნაკლებად გამოდგება. ისე კი, მხოლოდ მადლობით შორს ვერ წავალთ - სხვათა შორის, ვერც მივდივართ.

რაც შეეხება ჯანდაცვისა და დაზღვევის ერთიან ფონდს, ის აშკარად ზედმეტი რგოლია სახელმწიფოსა და ჩვენს შემთხვევაში ფსიქიატრიულ საავადმყოფოს შორის. თუ ექიმებს დავუჯერებთ (არადა, უპირველესად სწორედ მათი აზრია გასათვალისწინებელი), მართვის ამ ფორმამ ვერ გაამართლა და ნებისმიერ წვრილმანზე თუ მსხვილმანზე ფონდში წანწალი დიდი ვერაფერი შეღავათია. ვერ გეტყვით, რამდენი უჯდება სახელმწიფოს ამ სტრუქტურის შენახვა, მაგრამ ეს სტრუქტურა რომ არ არსებობდეს, ფსიქიატრიული საავადმყოფო თითო პაციენტზე სულ მცირე, ერთი ლარით მეტს მიიღებდა. ისე, შემთხვევით მოვკარი ყური ექიმების საუბარს. ისინი კი წუხდნენ, რომ მარტის ბოლოს ფონდს იანვრის ფულიც არ გადმოურიცხავს. გასაგებია, რომ რომელიმე ნაცნობი ფარმაცევტული ფირმა თვეში 5 ათასის მედიკამენტებს ნისიად გასცემს, მაგრამ თელასი და თბილგაზი - ნურას უკაცრავად, "პოსლეზე" არ მუშაობენ. არადა, დღეს ასათიანის ქუჩას 300-მდე კაცი აფარებს თავს. წარმოიდგინეთ, რა ხდება იქ, როცა დენი ქვრება და მედპერსონალს აგზნებული ავადმყოფების დაწყნარება უწევს. ჩნდება კითხვა: გლდანის ფსიქიატრიული საავადმყოფოს დახურვის შემთხვევაში სად წავლენ იქ მყოფი პაციენტები? ნაწილს ალბათ ბათუმსა და ქუთაისში გაამწესებენ, ნაწილი ასათიანზე მოხვდება, ოღონდ პაციენტების ამავე პრინციპით დახარისხება აქაც მოუწევთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, იმ მინიმალურ პირობებსაც ვერ შეინარჩუნებენ, რასაც დღეს რის ვაივაგლახით მიაღწიეს.

## SMS - შეტყობინება

სამი წლის წინ, როცა გონებრივად შეზღუდულ ბავშვთა ინტერნატზე მასალას ვაგროვებდი, გარეთ მიტინგები იმართებოდა. ავდექი და გაზეთის ფურცლებიდან მომავალ ხელისუფლებას მოვუწოდე: ეს ბავშვები ვერასოდეს მივლენ საარჩევნო უბნებში, ამისდა მიუხედავად, მიხედეთ მათ, რადგან სახელმწიფოს სიძლიერეს დაპურებული და ბედნიერი ბავშვები განსაზღვრავენ-მეთქი. მაშინდელმა ოპოზიციონერებმა მიტინგებიდან კაბინეტებში გადაინაცვლეს. როგორც ჩანს, იქიდანაც ჭირს სინამდვილის ადეკვატურად აღქმა. გავკადნიერდები და კიდევ ერთხელ შევახსენებ ჩვენს პატივცემულ ხელისუფლებას: სავსებით შესაძლებელია, ხვალ-ზეგ ეს ხალხი თქვენი ამომრჩეველი გახდეს, ოღონდ სხვებისაგან განსხვავებით, ისინი საარჩევნო ყუთებთან მერკანტილური მიზნით მაინც არ მივლენ. ამიტომ მაინც, მიხედეთ მათ! აქვე დავძენ: ფოტოები, რომელიც ჩვენს პუბლიკაციას ახლავს, სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ მკითხველმა წერილი საერთოდ არ წაიკითხოს, მაგრამ ფსიქიატრიულ საავადმყოფოზე ჯეროვანი შთაბეჭდილება შეექმნას. ესეც თქვენი სინამდვილის ვიზუალური აღქმა.

---

**განცხადება**
**2006 წლის 16 მარტს გამოქვეყნებულ განცხადებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

განცხადებაში **ოთხი ცალი საავტომობილო შასიზე დამონტაჟებული ლამის შემწოვი მანქანის** შესასყიდად გამოცხადებული ტენდერის შესახებ შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

**1.** შპს "თბილწყალკანალი" აცხადებს ღია ტენდერს **საავტომობილო შასიზე დამონტაჟებული ლამის შემწოვი მანქანების და ამოსახაპი საკანალიზაციო ორმოების (выгребная яма) ვაკუუმური გაწმენდის და სითხის უტილიზაციის ადგილზე ტრანსპორტირების მანქანების** შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის ძირითადი მახასიათებლებია:

***ლოტი N1.* საავტომობილო შასიზე დამონტაჟებული ლამის შემწოვი მანქანები (ორი ცალი)**
- შეწოვის სიმაღლე - 6.0 მეტრი;
- ცისტერნის ტევადობა -6.0 კუბ. მ.;
- ვაკუუმ-ტუმბოს წარმადობა - 720კუბ.მ/სთ
- საწვავი - დიზელის
- მანქანა აღჭურვილი უნდა იყოს საავარიო-სასიგნალო მოციმციმე ნათურებით;
- ფერი: ავტოშასი - თეთრი; ცისტერნა - ცისფერი.

***ლოტი N2.* საავტომობილო შასიზე დამონტაჟებული ამოსახაპი საკანალიზაციო ორმოების (выгребная яма) ვაკუუმური გაწმენდის და სითხის უტილიზაციის ადგილზე ტრანსპორტირების მანქანები (ორი ცალი)**
- შეწოვის სიმაღლე - 4.0 მეტრი;
- ცისტერნის ტევადობა - 8.5-9.0 კუბ. მ.;
- ვაკუუმ-ტუმბოს წარმადობა - 360კუბ.მ/სთ
- საწვავი - დიზელის
- მანქანა აღჭურვილი უნდა იყოს საავარიო-სასიგნალო მოციმციმე ნათურებით;
- ფერი: ავტოშასი - თეთრი; ცისტერნა - ცისფერი.

განცხადების დანარჩენი პუნქტები უცვლელია.

**სატენდერო კომისია**

**საქართველოს თავდაცვის სამინისტრო იწვევს დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს ფასთა კოტირების საშუალებით ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების შემცველი პრეპარატების შესყიდვაზე.**

ფასთა კოტირების დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელია 2006 წლის 31 მარტის 15 საათამდე. ქ. თბილისი, ხვამლის ქუჩა №20, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი №201. ტელ: 91-03-94.

**საქართველოს მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის მართვის ცენტრი**
**აცხადებს კონკურსს**
**იურიდიული მომსახურეობის კონსულტანტის თანამდებობაზე**

მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის მართვის ცენტრი აცხადებს კონკურსს "მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის მართვის ცენტრის" იურიდიული მომსახურების კონსულტანტის თანამდებობაზე.

**ძირითადი მოვალეობები:**
- პროგრამის სპეციფიური მიმართულებების იურიდიული ანალიზი.
- პროგრამის ფარგლებში დაფუძნებული ფერმერთა სახლების იურიდიული სტატუსის დადგენა.
- პროგრამის ფარგლებში შეძენილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და სხვა ქონების მფლობელობის დადგენა.
- პროგრამით განსახორციელებელი ან განხორციელებული შესაბამისი ღონისძიებების იურიდიული ანალიზი, სადავო საკითხების მოგვარება ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან.
- პროგრამის დახმარებით დაფუძნებული ფერმერული გაერთიანებების ოპტიმალური იურიდიული სტატუსის დადგენა.
- პროგრამის ინტერესების დაცვა სასამართლო ორგანოებში.
- პროგრამის დირექტორის სხვა დავალებების შესრულების უზრუნველყოფა

**კვალიფიკაცია და მოთხოვნები**
**აუცილებელია:**
1. უმაღლესი განათლება შესაბამის დარგში (იურისტი),
2. მინიმუმ 5 წლის პროფესიული გამოცდილება..
3. საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება,
4. კომპიუტერთან მუშაობის ნორმალური უნარ-ჩვევები,
5. საველე პირობებში (პროგრამის რეგიონებში) მუშაობის სურვილი და შესაძლებლობა.
6. ადმინისტრაციული და სამოქალაქო კანონმდებლობის ზედმიწევნით ცოდნა.
7. ინგლისური ენის კარგად ცოდნა

**დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარადგინონ ავტობიოგრაფია ქართულ და ინგლისურ (CV) ენებზე, განათლების დამადასტურებელი საბუთის ასლი, სერტიფიკატების ასლები.**

**საბუთების მიღება იწარმოებს პროგრამის მართვის ცენტრში ა.წ. 30 მარტიდან 7 აპრილის 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე:**

**თბილისი, კოსტავა ქ. 41, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შენობა, ოთახი 501, ტელ: 98-53-44, 92-39-74.**

**საბუთების წარმოდგენა შესაძლებელია ელფოსტით: pmu@rdpmha.org.ge**

---

## მოკლედ

### არჩევნების შესახებ საზოგადოებრივ აზრს გამოიკვლევენ

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED) და საქართველოს საზოგადოებრივი აზრისა და მარკეტინგული კვლევების ასოციაცია (GORBI)დღეს, პროექტის "მოქალაქეთა რეფორმებისადმი დამოკიდებულება საქართველოში" ფარგლებში არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების პრეზენტაციას გამართავს.

როგორც პრეზენტაციის ორგანიზატორები აცხადებენ, კვლევის შედეგებით ირკვევა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ საარჩევნო საკითხებისადმი ელექტორატის დამოკიდებულების მნიშვნელოვანი ასპექტები. კერძოდ, რას ფიქრობს ხალხი არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე, როგორია ამომრჩეველთა განათლების დონე და ა.შ.

პრეზენტაცია დღეს, სასტუმრო "თბილისი მარიოტში" გაიმართება. **ინტერპრესნიუსი**

### საქართველოში პირველი ტურისტული სკოლა გაიხსნება

. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტურიზმის დეპარტამენტის ინიციატივით, გუშინ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში საქართველოში პირველი ტურისტული სკოლის პრეზენტაცია გაიმართება.

პრეზენტაციას განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე საბა კიკნაძე და ტურიზმის დარგში ბერძენი ექსპერტები - გორგეს კუსკუტისი, ტიროს გასპარინატოსი და მარია კასიო დაესწრებიან.

ბერძენი ექსპერტები ტურისტული სკოლისთვის სპეციალიზებული ინვენტარის გადაცემას გეგმავენ.

### ოპოზიცია აქციაზე ათასობით მოქალაქის მისვლას მოელის

30 მარტს გაერთიანებული ოპოზიციის საკოორდინაციო შტაბი, რომელშიც ლეიბორისტები, მემარჯვენეები, კონსერვატორები და რესპუბლიკელები არიან გაწევრიანებული, პარლამენტის შენობის წინ მორიგ საპროტესტო აქციას გამართავს.

როგორც "მედიანიუსს" კონსერვატორების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ზვიად ძიძიგურმა განუცხადა, აქცია ხელისუფლების მიუღებელ ქმედებებს მიეძღვნება და ერთი რომელიმე კონკრეტული საკითხით არ შემოიფარგლება. "ხელისუფლების ბოლოდროინდელმა ქმედებებმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. ხელისუფლება არაადეკვატურად მოქმედებს და ამით საფრთხეს უქმნის საზოგადოებას, ამიტომაც საზოგადოებამ საპასუხო პროტესტი უნდა დააფიქსიროს. იმედი მაქვს, რომ ხვალს აქციაზე ათეულ-ათასობით კაცი მოვა და საკუთარ პოზიციას გამოხატავს", - აღნიშნა ძიძიგურმა.

საპარლამენტო უმრავლესობის ხელმძღვანელები კი აცხადებენ, რომ მიუხედავად გაერთიანებული ოპოზიციის აქციებისა, ხელისუფლება დასახული კურსიდან გადახვევას არ აპირებს. "საპროტესტო აქციის ჩატარების უფლება ნებისმიერ ადამიანს და პარტიას აქვს და ამაში არაფერი საკვირველი არ არის, თუმცა რას ითხოვენ ამ საპროტესტო აქციებით, ამაში, მე მგონი, ჩვენი ოპონენტებიც არ არიან ბოლომდე გარკვეულნი. რაც შეეხება მუქარას, რომ აქციაზე ათეულათასობით კაცი მივა, მე მგონი, ჩვენს ოპონენტებს საკმაოდ გადაჭარბებული წარმოდგენა აქვთ საკუთარ შესაძლებლობებსა და რეიტინგზე", - თქვა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა. **მედიანიუსი**

### "კომპიუტერიზებული" ქვეყნების რეიტინგში საქართველო 96-ე ადგილზეა

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშში სახელწოდებით - "გლობალური საიფორმაციო ტექნოლოგია 2005" კომპიუტერითა და ინტერნეტით ყველაზე მეტად მოსარგებლე ქვეყნების სია გამოქვეყნდა. საქართველო ამ სიაში 96-ე ადგილზე მოხვდა.

პირველ ათეულს ინაწილებენ: აშშ, სინგაპური, დანია, ისლანდია, ფინეთი, კანადა, ტაივანი, შვეცია, შვეიცარია და დიდი ბრიტანეთი. სიაში რუსეთი 72-ე ადგილს, უკრაინა 76-ე, ხოლო სომხეთი 86-ე ადგილს იკავებს. **ჯი-ეიჩ-ენი.**

# განცხადება

## სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი" აცხადებს საერთაშორისო ტენდერს ტექნიკის შესყიდვაზე

რეკვიზიტები - ქ. თბილისი კოსტავას ქ. N68
cxrili mauck????

| № | საქონლის დასახელება | რ-ბა |
|---|---|---|
| | ლოტი 1 | |
| 1 | სატელევიზიო სიგნალის ანალოგური პორტატიული გადამცემი მოწყობილობის კომპლექტი **4502 MHz** და **4814 MHz** სიხშირეებზე სიხშირეების დიაპაზონის გადამრთველით (საინფორმაციო პირდაპირი ჩართვებისათვის 20კმ რადიუსში) | 2 |
| | სამუშაო ფიქსირებული სიხშირეები - 4502 მჰც და 4814 მჰც, სიხშირეების დიაპაზონის გადამრთველით | |
| | სიხშირეების გადაწყობის საშუალება ფიქსირებულ სიხშირეებზე გადამრთველით ან 8 MHz ბიჯით | |
| | გამომავალი სიმძლავრე – 0.5W/1W/2W (სიმძლავრეების გადამრთველით) | |
| | კვების ძაბვა – DC 11-14 V, | |
| | მოხმარების მაქსიმალური დენი < 2 ა | |
| | ვიდეო შემავალი – ანალოგური: კომპოზიტური PAL - 1 (BNC) | |
| | ხმის შემავალი–ანალოგური 1 ან 4 mono (XLR) | |
| | ანტენა მიმართული "ტალღური არხი" („ვოლნოვოი კანალ") | |
| | შესაბამისი აკუმულატორი 2 ცალი თითო კომპლექტში<br>- კაბელითურთ მოწყობილობაზე შესაერთებლად - , 1 ცალი აკუმლიატორის დასამუხტი (ქსელის ადაპტერით) მოწყობილობა რომლის გამოყენებაც შესაძლებელია როგორც კვების წყაროდ ქსელიდან | |
| | მოწყობილობის სატარებელი კეისი (ჩანთა) | |
| | შტავი შესაბამისი სამაგრი მოწყობილობებით | |
| 2 | სატელევიზიო სიგნალის ანალოგური პორტატიული მიმღები მოწყობილობის კომპლექტი **4502 MHz** და **4814 MHz** სიხშირეებზე სიხშირეების დიაპაზონის გადამრთველით (საინფორმაციო პირდაპირი ჩართვებისათვის 20კმ რადიუსში) | 2 |
| | სამუშაო ფიქსირებული სიხშირეები - 4502 მჰც და 4814 მჰც, სიხშირეების დიაპაზონის გადამრთველით | |
| | სიხშირეების გადაწყობის საშუალება ფიქსირებულ სიხშირეებზე გადამრთველით ან 8 MHz ბიჯით | |
| | კვების ძაბვა – ცვლადი 190-260 VAC | |
| | ვიდეო გამომავალი – ანალოგური: კომპოზიტური PAL - 1 (BNC) | |
| | ხმის გამომავალი–ანალოგური 1 ან 4 mono (XLR) | |
| | ანტენა – წრიული, სამაგრებით ანძაზე დასამაგრებლად | |
| | შემაერთებელი კაბელით ანტენასა და რესივერს შორის (მანძილი-200მ) შესაბამისი კონექტორებით | |
| 3 | სატელევიზიო სიგნალის ანალოგური პორტატიული გადამცემი მოწყობილობის კომპლექტი **2346 MHz** და **2370 MHz** სიხშირეებზე სიხშირეების დიაპაზონის გადამრთველით (საინფორმაციო პირდაპირი ჩართვებისათვის 20კმ რადიუსში) | 2 |
| | სამუშაო ფიქსირებული სიხშირეები - 2346 მჰც და 2370 მჰც, სიხშირეების დიაპაზონის გადამრთველით | |
| | სიხშირეების გადაწყობის საშუალება ფიქსირებულ სიხშირეებზე გადამრთველით ან 8 MHz ბიჯით | |
| | გამომავალი სიმძლავრე – 0.5W/1W/2W (სიმძლავრეების გადამრთველით) | |
| | კვების ძაბვა – DC 11-14 V, | |
| | მოხმარების მაქსიმალური დენი < 2 ა | |
| | ვიდეო შემავალი – ანალოგური: კომპოზიტური PAL - 1 (BNC) | |
| | ხმის შემავალი–ანალოგური 1 ან 4 mono (XLR) | |
| | ანტენა მიმართული "ტალღური არხი" („ვოლნოვოი კანალ") | |
| | შესაბამისი აკუმულატორი 2 ცალი თითო კომპლექტში<br>კაბელითურთ მოწყობილობაზე შესაერთებლად - , 1 ცალი აკუმლიატორის დასამუხტი (ქსელის ადაპტერით) მოწყობილობა რომლის გამოყენებაც შესაძლებელია როგორც კვების წყაროდ ქსელიდან | |
| | მოწყობილობის სატარებელი კეისი (ჩანთა) | |
| | შტავი შესაბამისი სამაგრი მოწყობილობებით | |
| 4 | სატელევიზიო სიგნალის ანალოგური პორტატიული მიმღები მოწყობილობის კომპლექტი **2346 MHz** და **2370 MHz** სიხშირეებზე სიხშირეების დიაპაზონის გადამრთველით (საინფორმაციო პირდაპირი ჩართვებისათვის 20კმ რადიუსში) | 2 |
| | სამუშაო ფიქსირებული სიხშირეები - 2346 მჰც და 2370 მჰც, სიხშირეების დიაპაზონის გადამრთველით | |
| | სიხშირეების გადაწყობის საშუალება ფიქსირებულ სიხშირეებზე გადამრთველით ან 8 MHz ბიჯით | |
| | კვების ძაბვა – ცვლადი 190-260 VAC | |
| | ვიდეო გამომავალი – ანალოგური: კომპოზიტური PAL - 1 (BNC) | |
| | ხმის გამომავალი–ანალოგური 1 ან 4 mono (XLR) | |
| | ანტენა – წრიული, სამაგრებით ანძაზე დასამაგრებლად | |
| | შემაერთებელი კაბელით ანტენასა და რესივერს შორის (მანძილი-200მ) შესაბამისი კონექტორებით | |
| | ლოტი 2 | |
| 1 | კომპიუტერი სუფლიორისათვის უწყვეტი კვების წყაროთი-კომპლექტი-სუფლიორის ვიდეო პლატით (Image Motion Technology PCI Video Card (IMT) Genlockable - 4 video distribution, Composite video 1V p-p, 75ohms), ხელის მართვით (Multibutton Hand IMT - 12 Multibutton Hand-control) და პროფესიონალური პროგრამული უზრუნველყოფით (WinCue Pro News): | 1 |
| | CPU 3,2 GHz /Socket 775 / HDD 120 Gb SATA (7200 rpm)/ RAM Dual-Channel 512 MB / FDD 3,5" / SVGA 128 Mb / CD RW / Keyboard+Optical Mouse / MidiTower 450 W / 17" TFT / UPS Smart, 1000 VA, ON-LINE . *(ინსტალაცია+გაშვება)* | |
| - | *შენიშვნა: კომპიუტერულ ტექნიკაში არ შეიძლება გამოყენებულ იყოს შემდეგი კომპონენტები და მიკროსქემების ნაკრები:* SIS, VIA, Intel 915/925, AMD | |
| | ლოტი 3 | |
| 1.1 | ოპტიკური გადამცემ–მიმღებ მოწყობილებები, SC ტიპის კონექტორებით, Single Mode, 10 km | |
| 1.2 | ოპტიკურ გადამცემ-მიმღებ მოდულების ჩასადგმელი კარადა ("რეკი") ძირითადი და სარეზერვო კვების წყაროთი - 15 ან 16 მოდულზე | 4 |
| 1.3 | ოპტიკური სიგნალის გადამცემი მოდული: შემავალი სიგნალი–ანალოგური 1 Video PAL + 2 Audio Balans 600 Ohm (ან 4 Audio), SC ტიპის კონექტორით, Single Mode, 10 km | 14 |
| 1.4 | ოპტიკური სიგნალის მიმღები მოდული: გამომავალი სიგნალი–ანალოგური 1 Video PAL + 2 Audio Balans 600 Ohm (ან 4 Audio), SC ტიპის კონექტორით, Single Mode, 10 km | 14 |
| 1.5 | ოპტიკური სიგნალის გადამცემი მოდული: შემავალი სიგნალი–ანალოგური 4 Audio Balans 600 Ohm (ან 8 Audio), SC ტიპის კონექტორით, Single Mode, 10 km | 2 |
| 1.6 | ოპტიკური სიგნალის მიმღები მოდული: გამომავალი სიგნალი–ანალოგური 4 Audio Balans 600 Ohm (ან 8 Audio), SC ტიპის კონექტორით, Single Mode, 10 km | 2 |
| 1.7 | ოპტიკური სიგნალის გადამცემი პორტატიული მოწყობილობა (Stand-Alone DTCR) 2 მოდულით: შემავალი სიგნალი–ანალოგური 1 Video PAL + 2 Audio Balans 600 Ohm (ან 4 Audio), გათვლილი DC 12 V -იან კვებაზე გარე, კვების ადაპტერით AC 220 V / DC 12 V, SC ტიპის კონექტორით, Single Mode, 10 km | 1 |
| | ლოტი 4 | |
| 1 | ვიდეო სერვერი ვიდეომაგნიტოფონის მართვის ინტერფეისით. ვიდეო ფაილების დაკვრა (Play) ერთდროულად ორი არხით შემდეგ ფორმატებში V25, DV50, IMX50. 5 ანალოგიური ტიპის სერვერთან გაერთიანების საშუალება ერთი ლოგიკური სერვერის შექმნით. საერთო ინტერფეისი და ინტეგრაცია ახალი ამბების სამონტაჟო სისტემებთან და ჟურნალისტურ კომპიუტერულ სისტემებთან. მართვა VTR ინტერფეისით, დისტანციურად ან წინა მართვის პანელის საშუალებით, LCD მონიტორი წინა პანელზე. | 2 |
| | მახასიათებლები: Record 1 არხი, Play 2 არხი, დისკ მასივი მინიმუმ 20 საათზე DV25 ფორმატში, Video Input - 1 SDI-SMPTE259m, Video Outputs - 2 SDI-SMPTE259m, Gigabit Ethernet, Video Monitoring NTSC/PAL composite monitor outputs:1 clean feed and 1 burned-in TC, YPrPb/GBR component monitor out (selectable), 2 SDI outputs, Front panel LCD Composite/VGA monitor, ციფრული Audio In/Out 8 არხზე AES/EBU, Serial remote 1: 9-pin female D connector, RS-422, Serial remote 2: 9-pin female D connector, RS-422, Analog I/O connector: 25-pin female D connector, LTC timecode in: 1 XLR female connector, LTC timecode out: 2 XLR male connectors, AES/EBU digital audio in: 4 BNC connectors, AES/EBU digital audio out: 4 BNC connectors, Component monitor out: 3 BNC connectors, Composite monitor out: 1 BNC connector, Reference in: 1 BNC connector, Reference out: 1 BNC connector. (Communication cables) (ინსტალაცია + გაშვება) | |
| 2 | ვიდეოსერვერის მართვის კომპიუტერული სისტემა 1-დან 5-მდე სერვერის მართვის კონფიგურირების საშუალებით, ფლეილისტების კონტროლის, რედაქტირების და ეთერში გაშვების საშუალებით, ვიდეოსერვერ(ებ)ის სხვადასხვა არხებიდან ფლეილისტის სარკული კონტროლის და გაშვების საშუალებით, 8 არხის ერთდროული კონტროლი, კომპიუტერის კონფიგურაცია: CPU: 3,2 GHz /Socket 775 / HDD 120 Gb / RAM Dual-Channel 1 GB / FDD 3,5" / SVGA 128 Mb / CD RW / Keyboard+Optical Mouse / MidiTower 450 W / 17" TFT / Gigabit Ethernet 10/100/1000. UPS Smart, 1500 VA, ON-LINE | 1 |
| 3 | სამონტაჟო სისტემა საინფორმაციოსთვის აპარატურული ამაჩქარებლით (Digital Nonlinear Accelerator DNA) + პროგრამული უზრუნველყოფა ვიდეომასალის გადაცემისათვის და კონვერტაციისათვის (TransferManager) + სამონტაჟო კომპიუტერული სადგური უწყვეტი კვების წყაროთი. ინტეგრაცია ნიუსრუმის კომპიუტერულ სისტემებთან და ვიდეოსერვერთან. სამონტაჟო სადგურიდან ეთერში გასვლის საშუალებით. DV25, DV50, 30-40-50 IMX, MXF, XDCam, P2 ფორმატების მხარდაჭერა 15:1 -დან 1:1-მდე კომპრესიით. ფერთა კორექცია, 2D, 3D ეფექტები, 3D ანიმირებული ტიტრები. | 1 |
| | Dual Xeon 3.2GHz Processors, 1GB DDR2-400 ECC RAM, QuadroFX Chipset Video card 128 MB PCI Express, 80GB internal system hard drive, DVD+/-RW drive, DVD-ROM drive, OHCI-compatible IEEE 1394 800Mbit/sec interface, Onboard Gigabit Ethernet, 500W Power Supply, Floppy Disk Drive, 17" LCD Monitor, Keyboard, Mouse, Hardware based Raid Array 320GB, Professiona Audio Monitor, Professional LCD Monitor, UPS Smart, 1500 VA, ON-LINE. (ინსტალაცია + გაშვება) | |
| 4 | პროგრამული უზრუნველყოფა პროფესიონალური ვიდეო მონტაჟისთვის აპარატურული ამაჩქარებლით (Digital Nonlinear Accelerator DNA):<br>პროფესიონალური ინსტრუმენტები ვიდეო, აუდიო და კინო მონტაჟისთვის DV, SD, HD ფორმატში, სხვადასხვა კომპრესიის შერევა ერთ პროექტში, აპარატურული DV კოდეკი, ფერთა კორექცია ავტომატურ რეჟიმში, 100-ზე მეტი ეფექტი რეალურ დროში, ტრანსკოდირება რეალურ დროში, დაბალი კომპრესია 15:1 "შავი" მონტაჟისთვის, ანალოგური (Composite, Component) In/out და Firewire, ფორმატების მხარდაჭერა DV-იდან უკომპრესიო ვიდეომდე რეალურ დროში, უკომპრესიო SD ვიდეო ფორმატი FireWire ინტერფეისით შეერთებისას, DNA პროცესორის სიმძლავრის გამოყენება ვიდეოსთან მუშაობის პროცესში, DV მასალის სცენებად ავტომატური დაშლის საშუალება, 24 p, P2, XDCam ფორმატების მხარდაჭერა, MXF მხარდაჭერა | 4 |
| | Dual Xeon 3.2GHz Processors, 1GB DDR2-400 ECC RAM, QuadroFX Chipset Video card 128 MB PCI Express, 80GB internal system hard drive, DVD+/-RW drive, DVD-ROM drive, OHCI-compatible IEEE 1394 800Mbit/sec interface, Onboard Gigabit Ethernet, 500W Power Supply, Floppy Disk Drive, 17" LCD Monitor, Keyboard, Mouse, Hardware based Raid Array 320GB, Professiona Audio Monitor, Professional LCD Monitor, UPS Smart, 1500 VA, ON-LINE. (ინსტალაცია + გაშვება) | |
| 5 | პროგრამული უზრუნველყოფა პროფესიონალური ვიდეო მონტაჟისთვის:<br>პროფესიონალური ინსტრუმენტები ვიდეო, აუდიო მონტაჟისთვის DV ფორმატში, ფერთა კორექცია, ეფექტები რეალურ დროში, AAF, OMF ფორმატების მხარდაჭერა. | 1 |
| | | |
| | Dual Xeon 3.2GHz Processors, 1GB DDR2-400 ECC RAM, QuadroFX Chipset Video card 128 MB PCI Express, 80GB internal system hard drive, DVD+/-RW drive, DVD-ROM drive, OHCI-compatible IEEE 1394 800Mbit/sec interface, Onboard Gigabit Ethernet, 500W Power Supply, Floppy Disk Drive, 17" LCD Monitor, Keyboard, Mouse, Hardware based Raid Array 320GB, Professiona Audio Monitor, Professional LCD Monitor, UPS Smart, 1500 VA, ON-LINE. (ინსტალაცია + გაშვება) | |
| 6 | ციფრული AES/EBU სამაუწყებლო აუდიო სიგნალების კონვერტორი ანალოგურ ბალანსურ სიგნალებში. | 2 |
| 7 | ქსელის კომუტატორი Switch - Layer 2, unmanaged, 8 Port 10/100/1000 UTP Gigabit | 2 |
| 8 | ქსელის კაბელი: UTP - Cat.6 0.5mm PVC Box 305m | 2 |
| 9 | კონექტორები: RJ45 - 8P8C Modular Plug 30u" Gold Plated | 100 |
| - | შენიშვნა: ამ ლოტის ყველა ჩამოთვლილი კომპონენტები უნდა იყოს ურთიერთ თავსებადი. შემოთავაზებული უნდა იყოს მწარმოებლის მიერ რეკომენდირებული და ოფიციალურად ტესტირებული სამონტაჟო სადგურები (workstation). | |
| | ლოტი 5 | |
| 1 | სასტუდიო პედესტალ-შტატივის კომპლექტი თავურით, მართვის ტელესკოპური პანორამული სახელურებით, გორგოლაჭებით გათვლილი 20 კგ წონაზე ვიდეოკამერისა და სუფლიორის წონების გათვალისწინებით. | 3 |
| | ლოტი 6 | |
| 1 | ოპერატორის მინი კრანის სრული კომპლექტი გათვლილი 17 კგ წონაზე (მათ შორის კამერის დასამაგრებელი პანორამული თავურა ორი მართვის სახელურით და თავურაზე კამერის დასამაგრებელი ადაპტერი, წროს სასარგებლო სიგრძე 2,5-დან 3,0 მეტრამდე) – სტუდიური ვიდეოკამერისათვის (DXC-D50) | 1 |
| | ლოტი 7 | |
| 1 | რადიო პროდუქ. წარმოებისათვის ციფრული მიქშერი 24bit/96kHz, 32 არხიანი 40 შემავალი, ADAT I/O, 12 მიკრ.4სახაზო შემავალი, 1 MY Card (mini-YGDAI) სლოტი, DM2000 მიქშერის ეფექტები და მიქშერის ფუნქციები, მეხსიერება 99 სცენაზე, კომპრესორი, გეიტი, ეკვალაიზერი, დილეი, Fader Mode, 16 ანალოგური შემავალი, დიდი თხევად კრისტალიანი დისპლეი 320 x 240. (Service manual- ით დაკომპლექტება) | 4 |
| | ლოტი 8 | |
| 1 | პროფესიონალური ციფრული დიქტოფონი xD-Picture მეხსიერების კარტაზე, ჩაწერის ფორმატები DSS და WMA, ოთხი ჩაწერის რეჟიმი SHQ/HQ – WMA-ში და SP/LP-DSS-ში, 4 სთ-ზე მეტი ჩაწერის დრო 128 მბ კარტაზე, გააჩნია ხმაურის ჩახშობის ფუნქცია კომპიუტერზე მონაცემების გადატანა USB-სადგამის მეშვეობით, ჩამონტაჟებული დინამიკი, კვება 2 x AAA, კომპლექტში შედის მეხსიერების კარტა 128 მბ, სტერეომიკროფონი, მიკროფონიანი დისტანციური მართვის პულტი, სტერეო ყურსასმენები, USB კაბელი და სადგამი, შალითა და ღვედი. | 10 |
| | ლოტი 9 | |
| 1 | სატელეფონო ჰიბრიდი 1 არხიანი, საეთერო | 2 |
| 2 | სატელეფონო ჰიბრიდი 2 არხიანი, საეთერო, კონფერენციის შესაძლებლობით | 2 |
| 3 | სატელეფონო ჰიბრიდი 12 არხიანი, საეთერო | 1 |
| | ლოტი 10 | |
| 1 | სატელევიზიო სიგნალის გამზომ–ანალიზატორი (პორტატიული)+სატრანსპორტო ჩანთა<br>* TV & Satellite Measurements for Analog & Digital Channels<br>* COFDM, QPSK and QAM Measurements<br>* MPEG decoder for free and encrypted channels<br>* Automatic Measurements<br>* Constellation for QAM and COFDM<br>* 5" display (available for PROLINK-4C Premium)<br>* Measurements for Wi-Fi and DAB technologies<br>* Continuous tuning from 5-862 MHz and 900-2150 MHz<br>* Color 5" LCD Display Resolution: 50 kHz (5-862 MHz), 500 kHz (900-2150 MHz)<br>* 75Ω RF Input Impedance<br>* power supply internal 7.2 v 13 Ah Li-Ion<br>* power supply external 12 v | 1 |
| | ლოტი 11 | |
| 1 | ციფრული ვიდეო კამერის კომპლექტი | |
| 1.1 | DVCAM-ის ვიდეო კამკოდერი 12x ობიექტივით: ობიექტივი 12:1 ზუმი, F=6.0-დან 72.0 მმ-მდე, ფილტრის დიამეტრი-58 მმ; ვიდეომატრიცა 3x1/3-inch CCDs, PAL სისტემა 450000 pixels (ეფექტური 400000 pixels), ჰორიზონტალური გარჩევადობა - 530 ხაზი, თეთრის ბალანსი - Auto/ერთი დაჭერით, ექსპოზიცია - ავტომატური, 1,5" შავ-თეთრი CRT ხედის მაძიებელი, LCD - 2.5", მინიმალური განათებულობა - 2 ლუქსი, ვიდეო კასეტის ფორმატი 184 წთ-ნი და 40 წთ-ნი, video in/out - RCA pin - 1 ც., BNC pin - 1 ც., აუდიო in/out - RCA pin - 2 ც., 245 მვ, S-Video in/out - Mini DIN 4 pin - 1 ც., კვება 12ვ, ზომები 241.7x25 1.2x508.8 მმ, წონა (მხოლოდ კამკორდერი) 4.4 კბ | 10 |
| 1.2 | შტატივის პლანკა | 10 |
| 1.3 | შტატივის კომპლექტი თავურით: მაქსიმალური დატვირთვა 6 კგ, კომპლექტი: თავურა PH 5, შტატივი PT 525, რასტიაჟკა PS 165 | 10 |
| 1.4 | აკუმლიატორის დამტენი 2x Li-Ion 95 W/h-თვის | 10 |
| 1.5 | აკუმლიატორი Li-Ion 95 W/h | 20 |
| 1.6 | კამერის განათების სისტემა 20 ვატიანი | 10 |
| 1.7 | განათების სისტემის შტორი | 10 |
| 1.8 | განათების სისტემის დიფუზიური ფილტრი | 10 |
| 1.9 | განათების სისტემის მაკონვერტირებელი ფილტრი | 10 |
| 1.10 | განათების სისტემის სათადარიგო ნათურა | 20 |
| 1.11 | ვიდეო კამერის სატრანსპორტო ჩანთა (ნახევრად ხისტი) | 10 |
| 1.12 | ვიდეო კამერის დამცავი შალითა | 10 |
| 1.13 | საწვიმარი | 10 |
| 2 | ვიდეო მაგნიტოფონი ჩამწერი - ჩაწერა-აღწარმოების რეჟიმები: DVCAM/DV (SP); შემავალი ვიდეო ანალოგური კომპოზიტური 2-კომპონენტიანი S-Video, ციფრული iLINK (DV In/Out) IEEE 1394-ის ბაზაზე; შემავალი აუდიო: ანალოგური სტერეო; გამომავალი ვიდეო: ანალოგური კომპოზიტური, 3-კომპონენტიანი, 2-კომპონენტიანი, S-Video, მონიტორის, ციფრული iLINK (DV In/Out) IEEE 1394-ის ბაზაზე; გამომავალი აუდიო: ანალოგური სტერეო, მონიტორის; მართვა: RS-422A, RS-232C, Control S, LANC; მონიტორი თხევად კრისტალიანი 2" | 6 |
| | ლოტი 12 | |
| 1 | აუდიო სამონტაჟო კომპიუტერი CPU – ≥ 2.6 GHz, Socket LGA775, L2 Cash ≥ 1024 Kb, Bus Frequency ≥ 533 MHz or equal performance / RAM - ≥ 1024 Mb ECC Registered DDR2 / MOTHERBOARD - LGA775 socket, FSB 800/ 533 MHz, 4DIMM Sockets 4xDDR support max. 2GB DDR 400/333 Dual channel memory architecture, 1 x PCI-E x16, 3x PCI-E, 3x PCI, 4xSATA, 1x UDMA, 8 channel audio, 1x COM, 1x LPT or equal performance / HD - ≥ 250 Gb SATA150 / FDD – 3.5", 1.44 MB Standard (Internal) / DVD-RW+CD-RW - ≥ 16x Dual Layer DVD±RW Writer / Graphics Adapter – ≥ 128 Mb PCI Express / Speakers – 1 x subwoofer - 12 Watt and 2 x satellite speaker - 6 Watt , Active Speaker Type or equal performance / Keyboard – 104 Enhanced keyboard RUS/LAT – PS2 / Mouse – NetScrolling Optical - PS2 / Network Interface Card – LAN 10/100/1000 / CASE - MidiTower (Real 400W) or equal performance / Monitor -17", LCD, 1280 x1024 60Hz, D-SUB & DVI, 150°\|135°, 500:1, 13 ms response time, AC 100-240 V or equal performance | 4 |
| 2 | აუდიო სამონტაჟო კომპიუტერი CPU – ≥ 2.6 GHz, Socket LGA775, L2 Cash ≥ 1024 Kb, Bus Frequency ≥ 533 MHz or equal performance / RAM - ≥ 1024 Mb ECC Registered DDR2 / MOTHERBOARD - LGA775 socket, FSB 800/ 533 MHz, 4DIMM Sockets 4xDDR support max. 2GB DDR 400/333 Dual channel memory architecture, 1 x PCI-E x16, 3x PCI-E, 3x PCI, 4xSATA, 1x UDMA, 8 channel audio, 1x COM, 1x LPT or equal performance / HD - ≥ 250 Gb SATA150 / FDD – 3.5", 1.44 MB Standard (Internal) / DVD-RW+CD-RW - ≥ 16x Dual Layer DVD±RW Writer / Graphics Adapter – ≥ 128 Mb PCI Express / Speakers – Active Audio Monitors Professional - XLR, 1/4 JACK, RCA Connectors / Keyboard – 104 Enhanced keyboard RUS/LAT – PS2 / Mouse – NetScrolling Optical - PS2 / Network Interface Card – LAN 10/100/1000 / CASE - MidiTower (Real 400W) or equal performance / Monitor -17", LCD, 1280 x1024 60Hz, D-SUB & DVI, 150°\|135°, 500:1, 13 ms response time, AC 100-240 V or equal performance | 4 |
| | Audio Adapter Professional – Chipset _ AKM AK5394, CS4398, JRC2068<br>In/Out<br>8 Ch. ADAT Optical In<br>8 Ch. ADAT Optical Out<br>2 Ch. S/PDIF Digital In<br>4 Ch. S/PDIF Digital Out<br>2 MIDI Ins & 3 MIDI Outs<br>6 24-bit Bal. Line Inputs<br>8 24-bit Bal. Line Outputs<br>2 Mic./Line Preamp Inputs (XLR/TRS)<br>2 Turntable Preamp Inputs<br>2 Ch, Headphone Outs<br>4 Computer Speaker Outs<br>1 Word Clock In & Out<br>1 SMPTE (LTC) In & Out<br>Drivers: WDM, ASIO, ASIO 2<br>*(ინსტალაცია + გაშვება)* | |
| 3 | უწყვეტი კვების წყარო: UPS – Output Power Capacity ≥ 600W, Input Frequency 50/60 Hz +/- 5Hz, Input voltage adjustable range for main operations – 160 – 280 V or equal performance | 8 |
| 4 | ლაზერული პრინტერი შავ-თეთრი LaserJet Printer – Network printer, Up to 19 ppm /8,000 pages per month/266MHz, 8MB RAM /HP Jetdirect Fast Ethernet / 802.11b/g wireless technology or equal performance | 1 |
| | *შენიშვნა:* სატენდერო პუბლიკაციაში მოყვანილი საქონლის აღწერა არ უნდა იყოს გადმოწერილი ტენდერში მონაწილე ფირმების მიერ მოსაწოდებელი მოწყობილობების კონფიგურაციის და კომპლექტაციის დასახელების გრაფაში. წარმოდგენილი უნდა იქნეს შემოთავაზებული მოწყობილობების და მათი შემადგენელი კომპონენტებისათვის ფირმა-მწარმოებლის მიერ შედგენილი ტექნიკური მახასიათებლების სრული აღწერილობა. | |

ყველა შესასყიდი საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის.

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულებისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელი", კოსტავას ქ. N68

**საკავალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას**

**იურიდიული პირებისათვის:**

- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების საქმის წარმოება (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

- ცნობას საგადასახადოდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

- ცნობას საგადასახადოდან, რომ ბიუჯეტის წინაშე არა აქვს დავალიანება;

- ცნობას რეგისტრაციის შესახებ (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, გაცემული შესაბამისი რაიონის საგადასახადო ორგანოს მიერ ან არასაწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან, გაცემული იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეგისტრაციის სამმართველოს მიერ) (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან

**ფიზიკური პირებისათვის:**

- ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;

- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

- ინფორმაციას ინფორმაციას ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ;

-

ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის (200ლ.) გადახდის შემდეგ, 2006წ. 21 აპრილის 11 საათიდან 25 აპრილის 17 საათამდე. შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას 68 ოთახი N 341.

**სატენდერო მოსაკრებელი 200.0 ლარის ოდენობით უნდა გადაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე:**

**მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში**
**მიმღების ანგარიში: 200122900**
**მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი**
**მიმღების ბანკის კოდი: 220101107**
**სახაზინო კოდი: 302003000**
**გადახდის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი**
**დამატებითი ინფორმაცია: სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი" (2585)**

ტენდერში .მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადადებები დალუქულ კონვერტში, ორიგინალის სახით უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს უცხო ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმნის დართვით) 2006წ. 3 მაისის 11 საათიდან 10 მაისის 12 საათამდე. შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას 68, სააქტო დარბაზი.

სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება გარანტირების მექანიზმი სატენდერო წინადადების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტის ოდენობით.

ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება გარანტირების მექანიზმი (კონკრეტული მოთხოვნები აისახება სატენდერო დოკუმენტაციაში).

წარმოდგენილი უნდა იქნეს სუბკონტაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და განცხადების მოთხოვნებს

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - ნათია ზამთარაძე ტელ: 33-23-64

# შპს "საქართველოს ფოსტის" განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს "საქართველოს ფოსტა" აცხადებს ტენდერს **პიკაპის ტიპის (დახურული) მცირე ტვირთამწეობის 2 ავტომობილისა და 2 ავტომობილი სატვირთო-საბარგო ძარით (18-20 მ3 მოცულობის) შესყიდვაზე** და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი გამარჯვებული.

დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დახურულ კონვერტში) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 19 აპრილიდან 20 აპრილის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე ვაგზლის მოედანი N2, პირველი სართული - სატენდერო კომისიის აპარატი.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიული პირისათვის:

1. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები);

2. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

3. ცნობებს სასამართლოდან და /ან საგადასახადო ინსპექციიდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;

4. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

5. ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

ფიზიკური პირისათვის:

1. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან ფიზიკური პირის ქმედითუნარიანობის შესახებ;

2. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება

3. ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მოწოდების შესახებ.

200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის ა/ა 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი: 302003000; დანიშნულება - შპს "საქართველოს ფოსტის" მიერ გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, პრეტენდენტის სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 19 აპრილამდე, შემდეგ მოსამართზე: თბილისი ვაგზლის მოედანი N2 შპს საქართველოს ფოსტის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული, სატენდერო კომისიის აპარატი.

**ტენდერში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის მექანიზმი: საბანკო გარანტიის სახით, სატენდერო წინადადების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით.**

**ტენდერში წინასწარი ანგარიშსწორების ფორმა არ გამოიყენება.**

**საქონლის მოწოდების ადგილი: ქ. თბილისი ვაგზლის მოედანი N2**

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი საკონტაქტო პირებისაგან: მურთაზ ზიჭინავა ტელეფონი 35-62-26, 899-93-33-24; სიმონ კაკაურიძე ტელეფონი 899-14-43-46; და კახა ჩუხრუკიძე ტელეფონი 899-43-03-73.

სატენდერო კომისია

# შ.პ.ს. "საქაერონავიგაცია" აცხადებს ტენდერს საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

| N | შესყიდვის ობიექტის დასახელება | განზ. | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| ლოტი 1 | ავია საწვავი (რეაქტიული საწვავი საჰაერო ხომალდებისათვის) TC-1 (Jet A-1) | ტონა | 50 |
| ლოტი 2 | დიზელის ზეთი MC-20 | ლიტრი | 750 |

**ლოტი 1:**

- 50 (შემსყიდველის დავალების საფუძველზე საწვავის რაოდენობამ შეიძლება განიცადოს კორექტირება) ტონა ავია საწვავის (რეაქტიული საწვავი საჰაერო ხომალდებისათვის) TC-1 (Jet A-1) მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად (სასაქონლო პარტიებად) შემსყიდველის დავალების საფუძველზე 2006 წლის აპრილის თვიდან 2006 წლის ბოლომდე ქ. თბილისში აეროპორტის ტერიტორიაზე.

**ლოტი 2:**

- 750 ლიტრი დიზელის ზეთის "MC-20" მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად (სასაქონლო პარტიებად) შემსყიდველის დავალების საფუძველზე 2006 წლის აპრილიდან 2006 წლის ბოლომდე ქ. თბილისში შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე.

ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებელის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ **2006 წლის 20 აპრილის 16 საათამდე.** შემდეგ მისამართზე: 0158, საქართველო, თბილისი, აეროპორტი, შ.პ.ს. "საქაერონავიგაცია" სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები - შ.პ.ს. "საქაერონავიგაცია" ს/კ 208144051

ა.ა. N111467601, "თი-ბი-სი" ბანკი, ც/ფ; კოდი 220101830

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ავია საწვავი; დიზელის ზეთი.

პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **2006 წლის 20 აპრილის $10^{00}$ - $16^{00}$ საათამდე,** ზემოაღნიშნულ მისამართზე.

პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად, დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები.

**იურიდიულ პირთათვის:**

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა. (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის (სანაციის) საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

**ფიზიკურ პირთათვის:**

- ცნობას, მისი ქმედუნარიანობის შესახებ (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის (ცნობა სასამართლოდან);

**როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:**

- სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი გასული სამეურნეო წლის ამსახველი ფინანსური უწყისები (ბალანსი, მოგება-ზარალის უწყისი) და აუდიტის დასკვნა);
- ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
- ინფორმაცია უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- თუ საქონლის მიწოდება (თანმდევი მომსახურების გაწევა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოითხოვს ლიცენზიის, სერთიფიკატის ან სხვა სახის ნებართვის არსებობას, შესყიდვაში მონაწილეობის მისაღებად მსურველს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ლიცენზია, სერთიფიკატი ან სხვა სახის ნებართვა.

***შენიშვნა:*** *არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.*

*ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს საქონლის მიწოდების პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.*

*ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.*

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატს მისამართზე: 0158, საქართველო, თბილისი, აეროპორტი, შ.პ.ს. "საქაერონავიგაცია". ტელ: 27-43-27. დამატებითი ინფორმაციის გაცემაზე საკონტაქტო პირები: ნათია შარაშანიძე და ეკა გურგენაძე.

***სატენდერო კომისია***

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, დიღმის მასივის N13 კორპუსის, დიღმის მასივის N14 კორპუსის, დიღმის მასივის N15 კორპუსის, დიღმის მასივის N16 კორპუსის, სასტომრო აფხაზეთის ფასადის მოპირკეთების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია - 5 ლოტად (პოზიციად): ლოტი N1 დიღმის მასივის N13 კორპუსი; ლოტი N2 დიღმის მასივის N14 კორპუსი; ლოტი N3 დიღმის მასივის N15 კორპუსი; ლოტი N4 დიღმის მასივის N16 კორპუსი; ლოტი N5 სასტომრო აფხაზეთი.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: შენობის ფასადის მოპირკეთება უნდა მოხდეს დაკიდებული ვენტილირებადი სისტემის მეშვეობით, ალუმინის 4 მმ კომპოზიტიური მასალის გამოყენებით, აივნების ღიობები უნდა მოპირკეთდეს ფერადი, სარკისებრი ზედაპირის მქონე 5 მმ შუშით. მოსაპირკეთებელი ფართის მოცულობა - 21072 მ2.

*2*. სამუშაოების დასრულების სავალდებულო ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2006 წლის 25 დეკემბერი.

***3***. განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას 2006 წლის 20 აპრილის 12 საათიდან 20 აპრილის 16 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

***4***. პრედენტენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)
- ცნობებს რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ;

**ფიზიკური პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)
- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასმართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
- ინფორმაციას სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.(იჯარის შემთხვევაში საიჯარო ხელშეკრულება).

***5***. თუ პრედენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებამდე დადებამდე.

***6.*** სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 31 მარტიდან 19 აპრილის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

***7***. ტენდერში პოზიციების (ლოტების) მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

***8.*** ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9 დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნუგზარ კალაძე- საკონტაქტო ტელეფონი 99-04-39, 92-07-86, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს სასამართლო შენობების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვაზე.**

**ლოტი N1**

გორის რაიონული სასამართლოს, მდებარე ვარდოშვილის ქ. N13, შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვა, რომლის ტ/ეკონომიკური მაჩვენებლებია:

**1. შენობის საერთო ფართი - 1860 მ$^2$**

**2. საამშენებლო მოცულობა - 6800 მ$^3$**

**ლოტი N2**

რუსთავის საქალაქო სასამართლოს, მდებარე ბოსტან-ქალაქის ქ. N.2, შენობის სარემონტო - სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესაყიდვა, რომლის ტ/ეკონომიკური მაჩვენებლებია:

**1. შენობის საერთო ფართი - 2300 მ$^2$**

**2. საამშენებლო მოცულობა - 18000 მ$^3$**

**ლოტი N3**

სიღნაღის რაიონული სასამართლოს, მდებარე ც. დადიანის ქუჩაზე, შენობის სარემონტო სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესაყიდვა, რომლის ტ/ეკონომიკური მაჩვენებლებია:

**1. შენობის საერთო ფართი - 690 მ$^2$**

**2. საამშენებლო მოცულობა - 2300 მ$^3$**

**ლოტი N4**

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს, მდებარე რევაზ ლაღიძის N12, შენობის სარემონტო სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესაყიდვა, რომლის ტ/ეკონომიკური მაჩვენებლებია:

**1. შენობის საერთო ფართი - 1573 მ$^2$**

**2. საამშენებლო მოცულობა - 5190 მ$^3$**

და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ მდგომარეობაში) უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 19 აპრილიდან 21 აპრილის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან.) ოთახი N408.

2. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

2.1 იურიდიული პირისათვის:

ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);

ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);

ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ ერიცხება.

ტენდერში მონაწილეს მიერ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნეს სამშენებლო დარგში მოღვაწეობის შესახებ მოქმედი ლიცენზია. ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლო დადგენილება).

ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესრულების (გამოცდილება) შესახებ;

მატერიალურ - ტექნიკური ბაზა;

ფინანსური რესურსები (ბოლო ერთი წლის განმავლობაში (2005) შესრულებული სამუშაოს ღირებულება უნდა შეადგენდეს მინიმუმ ნახევარ მილიონ ლარს;

2.2 ფიზიკური პირისათვის:

ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);

ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);

ცნონა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ ერიცხება;

ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესრულების (გამოცდილება) შესახებ;

ტენდერში მონაწილეს მიერ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნეს სამშენებლო დარგში მოღვაწეობის შესახებ მოქმედი ლიცენზია. ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლო დადგენილება).

მატერიალურ - თექნიკური ბაზა;

ფინანსური რესურსები (ბოლო ერთი წლის განმავლობაში, შესრულებული სამუშაოს ღირებულება უნდა შეადგენდეს მინიმუმ ნახევარ მილიონ ლარს;

იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია დეპარტამენტის სატენდერო კომისიის მიერ შეიძლება გადამოწმებულ იქნეს ინდივიდუალურად.

2. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

3. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებისათვის (ქართულ ენაზე) იწარმოებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 18 აპრილის ჩათვლით;

4. სატენდერო მოსაკრებლის გადახდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური,ერთიანი ანგარიში N200122900; საბიუჯეტოშემოსავლის სახაზინო კოდი N 300033133

5. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ მისამართზე: საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან) ოთახი N 408.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ლია მინდიაშვილი, ტატიანა კაპანაძე, მისამართზე ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან), ტ. 93.56.96

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) აცხადებს ტენდერს ქ. ბათუმში ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამით საცხოვრებელი სახლების სახურავების, სარდაფშებში შიგა წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვის ობიექტი დაყოფილია ლოტებად:**

**ლოტი N1** ქ. ბათუმში ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის თანადაფინანსებით საცხოვრებელი სახლების (პუშკინის ქ. N39, გრიბოედოვის ქ. N26, ლერმონტოვის ქ. N14, თამარის დასახლება ქ. N27, ნონეშვილი ქ. N16/20, 26 მაისის ქ. N68) სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები.

**ლოტი N2** ქ. ბათუმში ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის თანადაფინანსებით საცხოვრებელი სახლების (ვ. გორგასალის ქ. N152/154, ვ. გორგასალის ქ. N127, ერას ქ. N116, ტაბიძის ქ. N17, ერას ქ. N25, ნონეშვილის ქ. N76) სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები.

**ლოტი N3** ქ. ბათუმში ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამით საცხოვრებელი სახლების სარდაფშებში შიგა წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები.

**2.** მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **2006 წლის 1 ივლისამდე პერიოდი.**

**3. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება (დალუქვის გარეშე), საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 18 აპრილიდან 2006 წლის 19 აპრილის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25. (ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური).**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადოდან), ხოლო ლიკვიდაცია, გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება რომ არ მიმდინარეობს (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან);

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

დ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს სასამართლოდან).

გ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

დ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);

ე) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).

**5.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 2006 წლის 18 აპრილის 16 საათამდე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (ქ. ბათუმის საფინანსო სამსახურის სპეციალური ანგარიში N000142402, საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალის კოდი 220501102, საინ. კოდი 245428531, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

**6**. ტენდერში ლოტების მიხედვით შესაძლებელია სამი გამარჯვებულის გამოვლენა.

**7.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - მანუჩარ მეგრელიშვილი ტ. 7-66-40, **ელ. ფოსტა e-mail:tender-batumi@mail.ru** მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

**სატენდერო კომისია**

# საქართველოს საჯარო სკოლებში ღია სპორტული მოედნების აღდგენა-მოწყობის პროგრამა "გიორგი ნიკოლაძე"

**2006 წელი**

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო** აცხადებს კონკურსს დაფინანსების მოსაპოვებლად საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სპორტული მოედნების მოსაწყობად

კონკურსის პირობები:

- კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, რომლებიც კანონის შესაბამისად რეგისტრირებული არიან, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირები

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის საპროექტო წინადადებების დასაფინანსებლად მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 5000 ლარს.

- თუ საპროექტო წინადადების ბიუჯეტი აღემატება 5000 ლარს, უნდა იყოს მითითებული დამატებითი დაფინანსების წყაროები და საპროექტო წინადადებას უნდა ერთვოდეს თანადამფინანსებლის თანხმობის წერილი.

- პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები, რომლის დაფინანსებაც ნავარაუდევია ამ კონკურსის ფარგლებში უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ სკოლის ღია სპორტული მოედნების აღდგენას ან მოწყობას.

- ის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, რომლებმაც გაიმარჯვეს და დაფინანსება მიიღეს აღნიშნულ კონკურსში 2005 წელს, 2006 წლის კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სკოლებმა საპროექტო წინადადებები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 5 ეგზემპლარად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ან შესაბამისი რაიონის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრში. განაცხადების მიღება გაგრძელდება 2006 წლის 1 აგვისტომდე. საკონკურსო კომისია ყოველი თვის ბოლოს განიხილავს შემოსულ განაცხადებს და ეტაპობრივად გამოაცხადებს გამარჯვებულ სკოლებს, რომლებიც მიიღებენ შესაბამის დაფინანსებას.

დაინტერესებულმა პირებმა დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ან შესაბამის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრებს.

***მისამართი:*** *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ოთახი 113, დ. უზნაძის ქ. N52, თბილისი 0102, ტელ.: 95 48 69, 96 41 59*

# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს კონკურსს სოციალური მუშაკის ვაკანტურ თანამდებობაზე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო იწვევს შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პირებს "ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დეინსტიტუციონალიზაციისა და ბავშვთა მიტოვების პრევენციის" ქვეპროგრამის სოციალური მუშაკის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

პროგრამა ითვალისწინებს მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისათვის ოჯახური გარემოს შექმნას, ბავშვთა სახლების აღსაზრდელთა ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნებას, ან მათ ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ პირობებში განთავსებას (მიმღებ ოჯახებში შვილობილად).

სამუშაო პირობები:

***- სამუშაო ადგილი: ქ. ზუგდიდი***

***- 3 ვაკანტური ადგილი: სოციალურ მუშაკთა ჯგუფის ხელმძღვანელი - 1 ადგილი***

***სოციალური მუშაკი - 2 ადგილი***

***- თვიური ანაზღაურება: სოციალურ მუშაკთა ჯგუფის ხელმძღვანელი - 450 ლარი***

***სოციალური მუშაკი - 350 ლარი***

***- ძირითადი მოვალეობები: სოციალური მუშაკი რჩევას აძლევს და თანადგომას აღმოუჩენს იმ ოჯახებს, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ შვილების ბავშვთა სახლებში ჩაბარება. სოციალური მუშაკი ეხმარება ინსტიტუციებში მცხოვრები ბავშვების დაბრუნებას ბიოლოგიურ ოჯახებში და ცდილობს მოიზიდოს ალტერნატიული ოჯახები, თანადგომა აღმოუჩინოს მათ, რათა იზრუნონ იმ ბავშვებზე, რომლებიც ვერ უბრუნდებიან საკუთარ ოჯახებს.***

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

***- უმაღლესი განათლება (სამედიცინო, პედაგოგიური, ფსიქოლოგიური ან იურიდიული);***

***- ბავშვებთან და ოჯახებთან მუშაობის გამოცდილება;***

***- ორგანიზატორული ნიჭი;***

***- ბავშვთა უფლებების კონვენციის ცოდნა;***

***- სასურველია, ჰქონდეს კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება;***

***- სასურველია, ინგლისური ენის ბაზისური ცოდნა.***

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა, წარმოადგინოთ შემდეგი საბუთები:

***- უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი;***

***- ავტობიოგრაფია (Resume/CV);***

***- სამოტივაციო წერილი;***

***- დახასიათება (მიუთითოთ იმ პირთა საკონტაქტო მისამართები, რომლებიც რეკომენდაციას გაგიწევენ).***

*შენიშვნა:* ავტობიოგრაფია ***(Resume/CV)*** უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს: ბიოგრაფიული მონაცემები (სახელი, გვარი, საკონტაქტო მისამართი, ტელეფონი, დაბადების თარიღი, ოჯახური მდგომარეობა), განათლება, დამატებითი კვალიფიკაცია (ტრეინინგები, გადასამზადებელი კურსები), პროფესიული გამოცდილება (სამუშაო ადგილი, დაკისრებული მოვალეობები), უცხო ენისა და კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა და უნარ-ჩვევები, პირადი ხელმოწერა.

***საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 17 აპრილი, 18:00 სთ.***

საბუთების მიღება წარმოებს მისამართზე: თბილისი, დ. უზნაძის ქ.52 - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საშვთა ბიურო.

# „სოლარისის" ავტორი გარდაიცვალა



პოლონელი მწერალი სტანისლავ ლემი 84 წლის ასაკში გარდაიცვალა. ბოლო დრომდე მის გვარზე უფრო კარგად მსოფლიომ მისი ნაწარმოებების სახელები უფრო იცოდა. თუმცა, მწერლისთვის ესეც საკმარისი იყო: "სოლარისი" – ორჯერ ეკრანიზებული რომანი 40 ენაზე გახლდათ თარგმნილი, გაყიდული იყო მისი ტექსტების 27 მილიონი ეგზემპლარი.

1961 წელს გამოქვეყნებული "სოლარისის" პირველი კინოვერსია ანდრეი ტარკოვსკიმ 1971 წელს გადაიღო. შემდეგ იგივე ტექსტს უკვე ჰოლივუდელი სტივენ სოდერბერგი მიუბრუნდა და 2002 წელს ჯორჯ ქლუნის მონაწილეობით კიდევ ერთხელ გაათამაშა კოსმოსური დრამა კოსმოსურ კვლევით სადგურზე.

სტანისლავ ლემი დაიბადა 1921 წელს ლვოვში, რომელიც იმხანად პოლონური ქალაქი იყო. ლვოვშივე შეისწავლა მედიცინა. ომის შემდეგ კრაკოვში გადავიდა საცხოვრებლად. იქვე დაიწყო წერა და აირჩია ფანტასტიკა – ჟანრი, რომელსაც პოლონეთის სოციალისტური მთავრობის ცენზურა ყველაზე ნაკლებად ეხებოდა. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ლემის პირველი მნიშვნელოვანი რომანი "ტრანსფიგურაციის საავადმყოფო" რვა წლის განმავლობაში არ გამოქვეყნებულა და დღის შუქი მხოლოდ სტალინის გარდაცვალების შემდეგ იხილა.

აღმოსავლეთ ევროპაში კომუნიზმის დამარცხების შემდეგ ლემი მთლიანად მომავალზე გადაერთო, წერდა კომპიუტერულ კრიმინალზე და ინტერნეტის ეთიკურ პრობლემებზეც. "სოლარისი" კი მაინც მის ყველაზე პოპულარულ ნაწარმოებად დარჩა.

# „ოუშენის" 13 მეგობარი



ათვლა ათიდან დაიწყო და გრძელდება. მეთორმეტე მეგობრის შემდეგ ოუშენმა მეცამეტე შეიძინა და რეჟისორსაც სხვა გზა აღარ ჰქონდა – ახალი ფილმის გადაღება დაიწყო.

"ოუშენის 13-ში" ჯორჯ ქლუნი, ბრედ პიტი, მეტ დეიმონი, ენდი გარსია და დონ ჩიდლი ისევ საქმეში არიან, მაგრამ ჯულია რობერტსი და კეტრინ ზეტა ჯონსი – აღარ. როგორც პროდიუსერი ჯერი უეინტრები აცხადებს, "ისეთი დიდი ტალანტების გამოყენების საჭიროება, როგორებიც რობერტსი და ზეტა ჯონსი არიან, აღარ გვქონია. პატარა როლებზე მათი დაკავება კი არ გვინდოდა, რადგან ორივენი ჩვენი – ჩემი და სოდერბერგის კარგი მეგობრები არიან და ამას ნამდვილად ვერ ვიზამდით". თუმცა, ოუშენის მამაკაცურ ჯგუფს ერთი მანდილოსანი ელენ ბარკინი მაინც გაახალისებს.

ახალ ფილმში ჯორჯ ქლუნი ისევ დენი ოუშენის როლს შეასრულებს. ის ისევ ფიქრობს მომავალ დიდ ქურდობაზე, რომელსაც ისევ ლას ვეგასში განახორციელებს. გადაღებები ივლისში ლოს ანჯელესში დაიწყება. ფილმი მომავალი წლის ზაფხულში გამოვა ეკრანებზე. პროდიუსერობას თავის თავზე იღებს კომპანია Section Eight, რომლის თანამფლობელებიც ქლუნი და სოდერბერგი არიან. უკვე წლებია, ისინი ერთად მუშაობენ. მეცამეტე ოუშენამდე მაყურებელს საშუალება ექნება ნახოს მათი კიდევ ერთი ერთობლივი ნამუშევარი "კარგი გერმანელი", რომელიც ომის შემდგომ ბერლინში გადაღებული თრილერია.

რაც შეეხება ოუშენს, ის სოდერბერგმა პირველად 2001 წელს გადაიღო, როგორც 1960 წელს გამოსული ფილმის რიმეიქი. ძველ ვარიანტში მთავარ როლებს ფრენკ სინატრა, დინ მარტინი და სემი დეივის ჯუნიორი თამაშობდნენ. ახალი ვარიანტის წარმატება კი გრანდიოზული იყო. ორივე ფილმმა ერთად მსოფლიო კინოთეატრების მასშტაბით 800 მილიონი დოლარის მოგება დაუბრუნა შემქმნელებს. რა გასაკვირია, რომ ოუშენი ვერ ისვენებს და ახალ-ახალი ბანკების გატანაზე ფიქრობს.

# "სუხიშვილები" უკრაინაში

სუხიშვილისა და რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტი 3 აპრილს კიევში გაემგზავრება. სუხიშვილების ანსამბლი უკრაინაში დაგეგმილ ქართული კულტურის დღეებში მიიღებს მონაწილეობას. როგორც ანსამბლის მენეჯერმა ხატია ეკიზაშვილმა განაცხადა, კიევში ქართული ნაციონალური ბალეტი სოლო კონცერტს გამართავს. "საგასტროლო პროგრამა ანსამბლის სრულ შემოქმედებას მოიცავს. კიევში 55 მოცეკვავე ანუ ანსამბლის ძირითადი შემადგენლობა გაემგზავრება. დაგეგმილია საათი და ოცი წუთის ხანგრძლივობის სოლო კონცერტი. ანსამბლი საქართველოში 5 აპრილს დაბრუნდება. ხატია ეკიზაშვილის ინფორმაციით, უახლოეს მომავალში ანსამბლი კონცერტებს გამართავს ყაზახეთში, პოლონეთსა და ვლადიკავკაზში.

*მედიანიუსი*

# ეკა და ციხე

FM იმედი 92.0

**ეკა კვესიტაძე:** დღეს "დიალოგების თემაა" მეხუთე საპყრობილეში განვითარებული მოვლენები. გადაცემის სტუმრები არიან ექსპერტები დავით დარჩიაშვილი და პაატა ზაქარეიშვილი. თქვენი აზრით, რა მოხდა მეხუთე საპყრობილეში და რამდენად ადეკვატური იყო ხელისუფლების და ოპოზიციის ქცევა?

**პაატა ზაქარეიშვილი:** ეს ძალიან მნიშვნელოვანი თემაა, რომელიც არ ეხება მხოლოდ პატიმრებს და ხელისუფლებას, იგი საზოგადოებრივი დონის მოვლენაა. ჩემი აზრით მეხუთე საპყრობილეში განხორციელდა პროტესტის ფორმა, რაც საერთოდ, ხშირად ხდება მსოფლიოში. ეს იყო პროტესტის ფორმა ციხის ადმინისტაციის არაადეკვატურობის წინააღმდეგ, რაზეც ხელისუფლებამ განახორციელა თავდასხმა.

**ეკა კვესიტაძე:** ფირზე, რომელიც გვაჩვენეს, თქვენი აზრით, რა არის ასახული?

**პაატა ზაქარეიშვილი:** ეს ფირი ძალიან საეჭვოა, ჩემთვის ეს არ არის დამამტკიცებელი საშუალება. ამ ფირზე არ ჩანს სად და როდის ხდება მოქმედება. იქნებ ამ ფირზე ბანკის გაქურდვაზეა საუბარი. მე დიდი მადლობელი ვიქნები, თუ სამინისტრო რომელიმე პრესის ორგანოს მიაწვდის რათა იგი გაშუქდეს, როგორც ეს მოხდა ტელევიზიით. იქნებ თვითონ იუსტიციის სამინისტრომ გაშიფროს, რომ ანალიზის გაკეთება შევძლოთ. ჩემთვის გასაგებია, რომ ეს ხალხი აპირებდა რაღაცის მომზადებას, მაგრამ შიგნით ციხეში, ისინი გარეთ გამოსვლას არ აპირებდნენ. როგორც ჩანს, მათ უნდოდათ საზოგადოებისთვის ინფორმაცია მიეწოდებინათ, რომ იქ გაუსაძლისი პირობებია. მათ უნდოდათ ვიღაცას გასწორებოდნენ, მე ვფიქრობ ბაჩო ახალაიას. მე ველოდი ამ ფაქტს, მაგრამ ველოდი სხვაგვარად, ვფიქრობდი, რომ ციხის ადმინისტრაცია წარდგებოდა პრეზიდენტის წინაშე ბაჩო ახალიას მოხსნის თხოვნით, რადგან ციხეში ყველა უკმაყოფილო იყო მისით.

**დათო დარჩიაშვილი:** მე ვფიქრობ, რომ ამ ფირზე აღნიშნულია სწორედ ის, რასაც გეგმავდა ქურდული სამყარო. ანუ ციხეში იმ უფლებების აღდგენას, რომელიც მათ შესუსტებული აქვთ.

**ეკა კვესიტაძე:** ფაქტია, რომ ციხეში ბუნტი იყო, როგორ მივიდა იგი აქამდე?

**პაატა ზაქარეიშვილი:** ბუნტი ნამდვილად იყო, მაგრამ დაუგეგმავი და ჩემი აზრით, სპონტანური.

**ეკა კვესიტაძე:** თუ კი ეს იყო სპონტანური, როგორ შეძლო ხელისუფლებამ მისი პრევენცია?

**პაატა ზაქარეიშვილი:** დავუშვათ ეს ფირი არის ჭეშმარიტება, მე მებადება კითხვა, თუკი ხელისუფლება ებრძვის ქურდულ სამყაროს, რატომ აღმოჩნდნენ ეს ქურდები ერთად, რატომ შეუქმნეს პირობა, რომ ეს სამი ქურდი დაკავშირებოდა ერთმანეთს? თუკი მათ წინასწარ ჰქონდათ ინფორმაცია, რომ ისინი რაღაცას აპირებდნენ, ხომ შეიძლებოდა მათი გადაყვანა და ერთმანეთისგან დაშორება?

**ეკა კვესიტაძე:** მაგრამ იყო ნათქვამი, რომ ბუნტი ატყდა სწორედ მაშინ, როცა ისინი გადაჰყავდათ.

**პაატა ზაქარეიშვილი:** ეს არის ზღაპრები, ღამის ორ საათზე არავის არავინ არსად არ გადაჰყავს, ეს კანონის დარღვევაა. ამასთან, ქურდებს აქვთ ეთიკა, რომ ისინი წინააღმდეგობას არავის უწევენ.

**დათო დარჩიაშვილი:** მე არ მაქვს საკმარისი ინფორმაცია; რასაც პაატა ამბობს, სუბიექტური აზრია, ჩვენ ყოველი მხრიდან ვრჩებით კითხვის ნიშნის ქვეშ, ანუ ვარაუდების დონეზე. ეს სერიოზული ძიების საქმეა.

**ეკა კვესიტაძე:** ვთქვათ, ხელისუფლებას ჰქონდა ინფორმაცია ბუნტის შესახებ, თქვენი აზრით, როგორ უნდა მოქცეულიყო ხელისუფლება, რომელი ნაბიჯი იქნებოდა მათი მხრიდან უფრო მართებული?

**პაატა ზაქარეიშვილი:** პირველ რიგში, ხელისუფლება უნდა დაინტერესებულიყო რა იყო ბუნტის მიზეზი. უნდა შესულიყვნენ ციხეში, ალყა შემოერტყათ და გაერკვიათ, რას აპირებდნენ პატიმრები.

### საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ინფორმაცია

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ვაქვეყნებთ 2006 წლის 29 მარტამდე დასრულებულ სატენდერო პროცედურებში გამარჯვებულ პრეტენდენტთა სიას:

1. დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის საშუალებების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ საერთაშორისო ღია ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდნენ შემდეგი პრეტენდენტები: შპს "ნეოტეკი", შპს "GSC", შპს "ჯითისი", შპს "ჯითიეს ელექტრონიკსი", შპს "გენერალ სეკურიტი", შპს "დავმერი", შპს "ჯესკო ჯგუფი", შპს "გრო", შპს "ვეზირი", შპს "მზე".

2. საკვები პროდუქტების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ღია ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდნენ შემდეგი პრეტენდენტები: შპს "იფქლი".

3. საავტომობილო საწვავის და ზეთების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ საერთაშორისო ღია ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდნენ შემდეგი პრეტენდენტები: შპს "კანარგო სტანდარტ ოილი", შპს "თეგეტა მოტორსი", შპს "ავიასაწვავსერვისი".

4. დაცვის პოლიციელთა უნიფორმის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ საერთაშორისო ღია ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდნენ შემდეგი პრეტენდენტები: შპს "მილერი და კომპანია", ს/ს "იმერი", ს/ს "საწარმოო გაერთიანება მაუდი".

5. საკვები პროდუქტების შესყიდვის მიზნით ხელმეორედ გამოცხადებულ ღია ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდნენ შემდეგი პრეტენდენტები: ინდ. მეწარმე ივანე ბარბაქაძე.

6. კომპიუტერული ტექნიკის და სახარჯი მასალის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ღია ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდნენ შემდეგი პრეტენდენტები: შპს "ორიენტ ლოჯიქი", შპს "ესაბი", შპს "იბერია კომპიუტერი", შპს "ლაბ სერვისი", შპს "ჯითიეს ელექტრონიკსი".

**სატენდერო კომისია**

TV5MONDE

## 30 მარტი

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 01.45(შვეიცარია), 04.00(აფრიკა), **05.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.30** პრეზიდენტთა მფარველობის ქვეშ. დოკ. ფილმი. **09.30** ტელედილა. **11.30** ეკატერინე. სერიალი. **12.35** გადაცემა: გურმანი. **13.15** ძროხის ხორცი. დოკ. ფილმი. **15.05** TV5-ის სამყარო. **16.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **17.30** მკვლელობის ღამე. სერიალი. **19.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.05** არტ-რეპორტაჟი. **21.35** მოთეთრო-მონაცრისფრო. მხ ფილმი. რეჟისორი კარიმ დრიდი. **24.00** დედის რძე. მხ ფილმი. რეჟისორი დომინიკ კაბრერა. 2001. **05.40** არტ-რეპორტაჟი.

## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge







## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

## ბულგარული ღვინო - ქართულისა და მოლდავურის ნაცვლად



B4

## აშშ-ს საფონდო ინდექსები ამჯერად გაიზარდა

## "ვინჩესტერის" ქარხანა იხურება

## შაქარი ნავთობის პარალელურად გაძვირდა

## General Motors-ი Saab-ს და Hummer-ს გაყიდის

## ამერიკელებს ჩინური კომპიუტერების ეშინიათ

B3

# პატარკაციშვილმა დუმილი დაარღვია

### ბიზნესმენთა ფედერაციის სხვა წევრებმა თავშეკავებული პოზიცია არჩიეს

"არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ სანდრო გირგვლიანის თემა პირველად ტელეკომპანია "იმედმა" გააშუქა. ამ სიუჟეტის სიმართლეზე პასუხისმგებელი პირადად მე ვარ. სწორედ ეს გახდა ხელისუფლების უკმაყოფილების მიზეზი, რის გამოც ჩემი კომპანიების შესწავლა დაიწყეს."

*ბადრი პატარკაციშვილი*

"გენერალური პროკურატურის ფონდი ბიზნესიდან და კერძო სექტორიდან შემოსული ე.წ. შემოწირულობებით ივსებოდა, რაც ჩვენთვის ბიზნესის ენაზე სახელმწიფო რეკეტს ნიშნავს. მხოლოდ ამ ფონდში საერთო თანხამ 120 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა."

*ბადრი პატარკაციშვილი*




B2

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | |
|---|---|---|
| 1 ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,2988 |
| 1 აზერბაიჯანული მანათი | AZN | 2,0078 |
| 1 არაბული დირჰამი | AED | 0,4973 |
| 1 აშშ დოლარი | USD | 1,8265 |
| 1000 ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8489 |
| 1 ბულგარული ლეი | BGL | 1,1276 |
| 1 დანიური კრონი | DKK | 0,2955 |
| 1 ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3192 |
| 1 ევრო | EUR | 2,2046 |
| 10 ესტონური კრონი | EEK | 1,4097 |
| 1000 თურქმენული მანათი | TMM | 0,3513 |
| 1 თურქული ლირა | TRY | 1,3510 |
| 10 იაპონური იენი | JPY | 0,1566 |
| 1 ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,1922 |
| 1000 ირანული რეალი | IRR | 0,2001 |
| 10 ისლანდიური კრონი | ISK | 0,2530 |
| 1 ისრაელის სეკელი | ILS | 0,3909 |
| 1 კანადური დოლარი | CAD | 1,5675 |
| 1 ლატვიური ლატი | LVL | 3,1329 |
| 10 ლიტვური ლიტი | LTL | 6,3685 |
| 10 მოლდოვური ლეი | MDL | 1,4039 |
| 1 ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2775 |
| 1 პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5593 |
| 10000 რუმინული ლეი | ROL | 0,6136 |
| 1 რუსული რუბლი | RUB | 0,0657 |
| 1 სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1291 |
| 100 სომხური დრამი | AMD | 0,4061 |
| 1 ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5685 |
| 1000 უზბეკური სუმი | UZS | 1,5095 |
| 10 უკრაინული გრივნა | UAG | 3,6097 |
| 100 უნგრული ფორინტი | HUF | 0,8282 |
| 1 ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2581 |
| 10 ყაზახური ტენგე | KZT | 0,1429 |
| 10 ყირგიზული სომი | KGS | 0,4415 |
| 1 შვედური კრონი | SEK | 0,2358 |
| 1 შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4017 |
| 1 ჩეხური კრონი | CZK | 0,0770 |
| 1 ჩინური იუანი | CNY | 0,2278 |
| 1 ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2354 |



# ძუნწი მილიარდერი

### ინგვარ კამპრადი - ვაჟრობის ტალანტით დაჯილდოებული უმდიდრესი ევროპელი

გოჩა ქიმუცაძე

*შვედი ბიზნესმენი, სავაჭრო კომპანია "იკეას" დამფუძნებელი ინგვარ კამპრადი "ფორბსის" მილიარდერთა რეიტინგში მეოთხე ადგილზეა და ევროპის უმდიდრესი ადამიანი გახლავთ. განსაკუთრებით წარმატებული მისთვის გასული წელი აღმოჩნდა, როცა თავის ისედაც დიდძალ ქონებას კიდევ 5 მილიარდი შეჰმატა და ამჟამად 28 მილიარდის მფლობელი გახლავთ.*



- მოზარდი ინგვარის შემეცნებაზე დიდი გავლენა მოახდინა შვედი "ასანთის მეფის" ივარ კრიუგერის ბიოგრაფიამ, რომელმაც ნულიდან დაიწყო და მილიონები იშოვა. თანაც, ასანთით! მანაც ხელი "ასანთის ბიზნესს" მოჰკიდა: ველოსიპედით დასეირნობდა და ასანთს ჰყიდდა.
- კლიენტების წასაქეზებლად "იკეას" მაღაზიებში ავტომობილის სახურავზე დასაყენებელი საბარგულების გაყიდვა, ცხადია - იაფად, დაიწყეს. ამგვარი პოლიტიკის წყალობით კომპანიის ფინანსური ბრუნვა ერთ წელიწადში გაორმაგდა.
- მიუხედავად იმისა, რომ კამპრადი 79 წლისაა, იგი ერთობ ჯანმრთელი, აქტიური ბერიკაცია და, მართალია, უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში გამუდმებით პენსიაზე გასვლაზე საუბრობს, "იკეას" კვლავაც პირადად ხელმძღვანელობს. ყოველ დილით 5 საათზე თავის რომელიმე მაღაზიაში მიდის, რომ შეამოწმოს, რამდენად რაციონალურად ხდება ავეჯის მიღება და გადმოტვირთვა. ამიტომაცაა, რომ კომპანია სულ უფრო იფურჩქნება და თვითმყოფად სტილს ინარჩუნებს.
- "იკეას" სარეკლამო ლოზუნგი: "ყოველი მერვე ევროპელი ჩვენს საწოლებზეა გაკეთებული", ხუმრობა როდია.

B3

## FAO საქართველოში აბრეშუმის პირველადი გადამუშავების საწარმოს გახსნას გეგმავს

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) აბრეშუმის პირველადი გადამუშავების მინისაწარმოს პროექტს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად ამუშავებს. საქართველოში FAO-ს წარმომადგენლის მამუკა მესხის თქმით, პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა ქვეყნებიდან აბრეშუმის გადამუშავებისთვის საჭირო ნედლეულის იმპორტი. მისივე განცხადებით, აბრეშუმის წარმოება საქართველოსთვის ძალიან მომგებიანი იქნება და ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია FAO აგრარულ სფეროში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული დონორია. მას საქართველოში განხორციელებული აქვს გადაუდებელი დახმარებისა და სექტორული რეაბილიტაციის რამდენიმე პროექტი.

ორგანიზაცია FAO-ს წარმომადგენლობის ოფისი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში 2004 წლის 4 ოქტომბერს გაიხსნა. FAO-ს წარმომადგენლობა დსთ-ს ქვეყნებიდან მხოლოდ საქართველოსა და სომხეთში მუშაობს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი.**

## საქართველოს საგადამხდელო ბალანსი უარყოფითია

საქართველოს საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიში, ტრადიციულად, უარყოფითია. სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, მან 2005 წელს - 688,8 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 97 პროცენტით მეტია გასული წლის შესაბამის მაჩვენებელზე. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს განაპირობებს საქონელი, სადაც იმპორტი 1.8-ჯერ ჭარბობს ექსპორტს. მისი დანარჩენი კომპონენტების (მომსახურება, შემოსავლები და მიმდინარე ტრანსფერტები) სალდო დადებითია.

2005 წელს, 2004 წელთან შედარებით, ექსპორტი გაიზარდა 35 პროცენტით, ხოლო იმპორტი - 34 პროცენტით, რის შედეგადაც საქონლით ვაჭრობის დეფიციტი გაიზარდა 33 პროცენტით და 1213,9 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია.

2005 წლის ძირითად საიმპორტო საქონელს წარმოადგენს ნავთობპროდუქტები, მსუბუქი ავტომობილები და სამკურნალო საშუალებები. იმპორტის ზრდის განმსაზღვრელი ფაქტორებია: ნავთობპროდუქტებზე ფასების ზრდა, მსუბუქი ავტომობილების იმპორტის მკვეთრი ზრდა და ნაწილობრივ მილსადენების მშენებლობა.

2005 წლის ძირითად საექსპორტო საქონელს წარმოადგენს შავი ლითონების ჯართი, ფეროშენადნობები და ყურძნის ნატურალური ღვინოები. ექსპორტის ზრდის ძირითადი მიზეზია ჯართზე ფასების ზრდა და თურქმენეთის ვალის გასტუმრება საქონლით (შაქარი და თვითმფრინავები), ასევე ფეროშენადნობებისა და თხილის ექსპორტის მკვეთრი ზრდა.

მომსახურების ბალანსი დადებითია. დადებითმა სალდომ 2005 წელს 71.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგენდა, რაც 28 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე.

საკმაოდ სოლიდურია მიმდინარე ტრანსფერტები და ნაწილობრივ აბალანსებს საქონლის ვაჭრობით გამოწვეულ დეფიციტს. მიმდინარე ტრანსფერტების ბალანსი 2004 წელს 413.9 მლნ. აშშ დოლარი იყო, ხოლო 2005 წელს მან მხოლოდ 359.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 54.7 მლნ. აშშ დოლარით ნაკლებია 2004 წლის შესაბამის მაჩვენებელზე, ანუ ადგილი აქვს 13-პროცენტიან კლებას. **ჯი-ეიჩ-ენი.**

## "აზერენერჯი" მინგეჩაურის ჰესს გაარემონტებს

მინგეჩაურის ჰეს-ის რემონტი, გეგმის მიხედვით, აპრილის დასაწყისში ჩატარდება. სააგენტო "ტრენდის" ინფორმაციით, სამუშაოები ენერგოგამანაწილებელ მოწყობილობებზე ჩატარდება. დაიწყება კაპიტალური და მიმდინარე რემონტი პირველი სექციების 18,3 და 0,4 კილოვოლტიან გამომრთველებზე. ასევე ჩატარდება წყალშემკრები არხის რემონტი, წყალშემკრების გასუფთავება და ა.შ. კვირის ბოლომდე დამთავრდება ძირითადი მოწყობილობის საძირკვლის ბეტონირების სამუშაოები შეკის სამოდულო ელექტროსადგურზე, რომლებსაც აზერბაიჯანული AZENCO ახორციელებს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი.**

## აზერბაიჯანი თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის შესახებ კანონმდებლობას ამზადებს

აზერბაიჯანის ეკონომიკური განვითარების სამინისტრო დოკუმენტების პაკეტს ამზადებს, რომელიც ქვეყანაში თავისუფალი ეკონომიკური ზონების და სამრეწველო ქალაქების შექმნას ითვალისწინებს.

აზერბაიჯანული საინფორმაციო სააგენტო "ტრენდის" ინფორმაციით, დოკუმენტების მომზადება აზერბაიჯანის პრეზიდენტის დავალებით ხდება და მთელ რიგ საკანონმდებლო ცვლილებებს ითვალისწინებს.

"ტრენდის" ინფორმაციით, თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა დაგეგმილია აზერბაიჯანის ერთ-ერთ რეგიონში, თუმცა არა სუმგაიტში, როგორც ამას აზერბაიჯანს საერთაშორისო ექსპერტები ურჩევდნენ. საწყის ეტაპზე მთავრობამ თავისუფალი ეკონომიკური ზონის სამართლებრივი სტატუსი უნდა განსაზღვროს, რის შემდეგაც ზონის შესაქმნელად ქვეყნის სხვა რეგიონების საკითხიც განიხილება. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი.**

## აზერბაიჯანმა "რუსულ ალუმინთან" მოლაპარაკებების პირველი ეტაპი დაასრულა

აზერბაიჯანის ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ კომპანია "რუსულ ალუმინთან" აზერბაიჯანში ალუმინის მწარმოებელი ქარხნის მშენებლობის შესახებ მოლაპარაკებების პირველი ეტაპი დაასრულა. აზერბაიჯანული საინფორმაციო სააგენტო "ტრენდის" ინფორმაციით, მოლაპარაკებების მიზნით, აზერბაიჯანში რუსული კომპანიის ტექნიკური მისია იმყოფებოდა, რომლებმაც ყველა მათთვის საინტერესო საკითხზე მიიღეს პასუხები.

"ტრენდის" ინფორმაციით, რუსულ მხარეს აინტერესებდა ქარხნის მშენებლობის ადგილი, სარკინიგზო ხაზის დაშორება, ნედლეულით მომარაგების საკითხი.

როგორც "ტრენდს" აზერბაიჯანის ეკონომიკური განვითარების მინისტრმა გეიდარ ბაბაევმა განუცხადა, რუსული კომპანიის შემოსვლა აზერბაიჯანულ ბაზარზე არ უკავშირდება ბაზრიდან ჰოლანდიური კომპანია Fondel Metall-ის წასვლას.

აზერბაიჯანულ-რუსული პროექტით შემნილი ქარხნის სიმძლავრე იქნება 300 ათასი ტონა ალუმინის წარმოება წელიწადში. ქარხნის მშენებლობა-განვითარებისათვის საჭირო ინვესტიციების სრული მოცულობა 1 მლრდ აშშ დოლარია. **პრაიმ-ნიუსი ბიზნესი.**

# პატარკაციშვილმა დუმილი დაარღვია

პირველი გვერდიდან

დიანა ჩაჩუა

*ტელეკომპანია "იმედის" არხზე გაშუქებული, სანდრო გირგვლიანის მკვლელობის თემა ხელისუფლების უკმაყოფილების მიზეზი გახდა, რის გამოც ძალოვანმა და საფინანსო სტრუქტურებმა ბადრი პატარკაციშვილის კომპანიების აქტიური შესწავლა დაიწყეს. ამის შესახებ ქართველმა ბიზნესმენმა გუშინ ბიზნესმენთა ფედერაციის მეორე ყრილობაზე თავად განაცხადა.*




"როცა დუმილი დანაშაულია" - ასეთი პათოსით ჩაიარა ბიზნესმენთა ფედერაციაში გამართულმა გუშინდელმა ყრილობამ. თუმცა ამ დევიზით მხოლოდ ფედერაციის პრეზიდენტი მოქმედებდა. შეკრებილი ბიზნესსაზოგადოება კი უფრო თავშეკავებულად იქცეოდა.

ბადრი პატარკაციშვილის განცხადებით, ის გაკვირვებული დარჩა, როცა შს მინისტრის და ბიზნესმენების შეხვედრაზე ბიზნესმენებმა პრობლემებზე ხმა არ ამოიღეს (საუბარია ბადრი პატარკაციშვილის რეზიდენციაში ბიზნესმენებსა და შინაგან საქმეთა მინისტრს ვანო მერაბიშვილს შორის რამდენიმე თვის წინ გამართულ შეხვედრაზე, სადაც მერაბიშვილი საუბრობდა, ბიზნესი კი, უბრალოდ, უსმენდა).

**"ჩვენ შესანიშნავად გვესმის, რომ ბიზნესი არ შეიძლება, სახელმწიფოსგან მუდმივად შეღავათებისა და მანკიერებებზე თვალის დახუჭვის მოლოდინში იყოს. ისევე როგორც არ შეიძლება, სახელმწიფო ბიზნესში მხოლოდ ყულაბას ხედავდეს და ყველა ხელსაყრელ ვითარებაში მის გატეხვაზე ფიქრობდეს,"** - ბადრი პატარკაციშვილმა ხელისუფლება ბიზნესზე ზეწოლაში დაადანაშაულა.

**"არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ სანდრო გირგვლიანის თემა პირველად ტელეკომპანია "იმედმა" გააშუქა. ამ სიუჟეტის სიმართლეზე პასუხისმგებელი პირადად მე ვარ. სწორედ ეს გახდა ხელისუფლების უკმაყოფილების მიზეზი, რის გამოც ჩემი კომპანიების შესწავლა დაიწყეს. სურთ, შექმნან მოტივაცია, რომ "იმედის" ჟურნალისტებზე ზეწოლა განვახორციელო და ხელისუფლებისათვის სასურველი სურათის შექმნას ხელი შევუწყო,"** - განაცხადა პატარკაციშვილმა და იქვე დასძინა, რომ მისი ამგვარი პოზიცია ხელისუფლების მიერ შანტაჟად იქნა შეფასებული.

ბიზნესმენის კომპანიებს შორის, სავარაუდოდ, "მაუდი" იგულისხმებოდა. თუმცა გუშინ ბევრი ითქვა "ყულევის ტერმინალზეც": **"ჩემს მიერ ყულევის ნავთობტერმინალის მშენებლობის შესახებ ყველასათვის ცნობილია. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინალი, ჩემი დაპირებისამებრ, მზად ივნისში იქნება, იგი არ იმუშავებს. მიზეზი ხელისუფლების ქმედებებია. ტერმინალამდე მისასვლელი სარკინიგზო ხაზის მშენებლობის ნებართვა მხოლოდ ცხრა თვის დაგვიანებით მივიღეთ. ფიქრობთ, ეს დაუდევრობაა? მე სხვა აზრის ვარ: ეს არაპატიოსანი კონკურენციაა. არსებობს სხვა შემთხვევაც: ტერმინალისთვის საჭირო პერსონალის მოსამზადებლად ფოთის პორტის მე-9 და მე-10 ნავსადგომების იჯარით აღება მსურდა. ტენდერის საწყისი ფასი 1,5 მილიონი დოლარი იყო, თუმცა მე ორჯერ მეტი, ანუ 3 მილიონ 265 ათასი დოლარი შევთავაზე. ვფიქრობდი, რომ ამით საკითხი ამოწურული იყო. თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ტენდერში იმ კომპანიამ გაიმარჯვა, რომლის პირობაც ყველა წინადადებაზე 60 ათასი დოლარით მეტის გადახდა იყო. მე ხელთ მაქვს ყველა მტკიცებულება,"** - საუბრობდა გუშინ ბადრი პატარკაციშვილი, რომლის შეხედულებით, ხელისუფლებაში არაკომპეტენტურობას ის ფაქტი აძლიერებს, რომ ბევრი გადაწყვეტილება ფრაგმენტულად, ერთეული პირების გადაწყვეტილებით, სახელმწიფო მართვის ინსტიტუტების ფორმალური მონაწილეობით, ან საერთოდ, მათი მონაწილეობის გარეშე მიიღება.

განსაკუთრებით მწვავე იყო პატარკაციშვილის მიერ პროკურატურის ფონდზე გაკეთებული განცხადება. **"მოგეხსენებათ, ქვეყანაში არსებობდა რამდენიმე ფონდი, სადაც სხვადასხვა თანხების აკუმულირება ხდებოდა. მათ შორისაა გენერალური პროკურატურის ფონდი, რომელიც ძირითადში ბიზნესიდან და კერძო სექტორიდან შემოსული ე.წ. შემოწირულობებით ივსებოდა, რაც ჩვენთვის ბიზნესის ენაზე სახელმწიფო რეკეტს ნიშნავს. მხოლოდ ამ ფონდში საერთო თანხამ 120 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა. სამწუხაროდ, საზოგადოებისთვის უცნობია, თუ როგორ და რა მიზნებით მოხდა ამ თანხების განკარგვა. არც ერთ სახელმწიფო უწყებას, მათ შორის, კონტროლის პალატას და ფინანსთა სამინისტროს, ამ თანხების მონიტორინგზე ხელი არ მიუწვდებათ, რადგან ფონდი სახელმწიფო ბიუჯეტში მოქცეული არ ყოფილა. ეს ბიზნესმენების და ბიზნესსტრუქტურების თავისუფლების სანაცვლოდ გადახდილი ხარკია. ბიზნესმა უნდა მიიღოს პასუხი კითხვაზე, თუ რატომ მოხდა ამ თანხების ამოღება და ვის მიერ და სად გაიხარჯა შეგროვილი თანხები,"** - ასე არღვევდა გუშინ პატარკაციშვილი დუმილს. შემდეგ ის საგადასახადო არბიტრაჟის თემაზეც საუბრობდა. **"ჩემთვის დღესავით ნათელია, რომ არბიტრაჟის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება პოლიტიკურია და ცალკეული, მეტწილად, ოპოზიციური პარტიების ხელმძღვანელთა და წარმომადგენელთა საქმიანობას უკავშირდება,** - აღნიშნავდა ბიზნესმენი, - **სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, უმნიშვნელოვანესია საკუთრების უფლების დაცულობის საკითხი. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ყველაზე მწვავედ პრივატიზების შედეგების აღიარება-რევიზიის საკითხი დგას. პრივატიზების შედეგების გადახედვა ახლო მომავალში ქვეყანაში სერიოზული ინვესტიციების განხორციელებას პერსპექტივას უკარგავს. ჩვენ ხელისუფლებას კატეგორიულად არ ვურჩევთ, რომ საქართველოში ამ სარისკო თამაშის პრეცედენტები დაუშვას."**

საუბრის დასასრულს ბადრი პატარკაციშვილმა ხელისუფლებას კიდევ ერთი შეხვედრა შესთავაზა: **"მოდით, ეს შეხვედრა ბათუმში ჩავატაროთ. იქ, სადაც ხელისუფლებამ გაცილებით მეტი გააკეთა, ვიდრე სხვა რეგიონებში. მე მწამს, რომ ჯერ კიდევ შესაძლებელია საერთო მისაღებ აზრამდე მისვლა. არანაირი სურვილი არ მაქვს, ხელისუფლებამ ეს ჩემი გამოსვლა არაკეთილმოსურნე პოზიციიდან მიიღოს. ვთხოვ მათ, ჩემგან მტრის ხატს ნუ შექმნიან..."**

პატარკაციშვლის გამოსვლის შემდეგ ბიზნესმენთა ფედერაციის ტრიბუნაზე ქართული ბიზნესის რამდენიმე წამყვანი სახე გამოჩნდა. თუმცა ისინი კონკრეტულ პრობლემებზე საუბრისგან თავს იკავებდნენ და ხელისუფლების მიერ შექმნილი ფონდებისთვის "ხარკის" გადახდაში მონაწილეობას კატეგორიულად უარყოფდნენ.

"კოკა კოლას" პრეზიდენტმა თემურ ჭყონიამ აღნიშნა, რომ მას მთავრობასთან არსებულ ფონდებში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. **"ერთი რამის უნდა გვჯეროდეს: ყველა სახელმწიფოში არსებობს შეცდომები. ის, რაც დღეს ბადრი პატარკაციშვილს აწუხებს, არც სახელმწიფო პოლიტიკაა და არც პრეზიდენტის პოლიტიკა. ეს არის სახელისუფლებო სტრუქტურებში მომუშავე გარკვეული ადამიანების შეცდომები. ამიტომ საჭიროა, ხელისუფლებასა და ბიზნესს შორის დიალოგი შედგეს,** - განაცხადა ჭყონიამ, - **არ მინდა, ვიფიქრო, რომ ეს პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის, ან პრემიერ-მინისტრის პოლიტიკაა. მინდა მჯეროდეს, რომ ჩვენს მიერ გაკეთებული არჩევანი შეცდომა არ იყო."**

**"კულუარებში მესმოდა საუბრები იმის შესახებ, თითქოს ვიღაც თავის აქციებს მთავრობის წარმომადგენლებს გადასცემდა, ან რაღაც თანხებს იხდიდა. ადრე ბიზნესმენებისაგან ასეთი ხასიათის განცხადება ოფიციალურად არ მომისმენია. ასეთი ბიზნესმენები თავიანთ ქონებას ან უკანონოდ შოულობდნენ, ან არაკეთილსინდისიერად საუბრობდნენ,"** - განაცხადა "თიბისი ჯგუფის" პრეზიდენტმა მამუკა ხაზარაძემ ყრილობაზე გამოსვლისას.

## "თელასი" "ენგურჰესის" გაჩერებას მომზადებული ხვდება

კომპანია "თელასი" "ენგურჰესის" გაჩერებას მომზადებული ხვდება. "ენგურჰესის" სარეაბილიტაციო პერიოდში, თბილისის ენერგომომარაგება შეუზღუდავად განხორციელდება. როგორც კომპანია "თელასის" დირექტორმა იური პიმონოვმა გარდაბანში, "თბილსრესის" მე-9 ენერგობლოკის დათვალიერებისას განაცხადა, კომპანია "თელასმა", საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსთან ერთად, შეიმუშავა გეგმა, რომელიც დედაქალაქის უწყვეტი ელექტრომომარაგების ყველა წინაპირობას იძლევა.

"ენგურჰესის" რეაბილიტაციის პერიოდში, ელექტროენერგიაზე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მოწოდების წყაროები უკვე უზრუნველყოფილი გვაქვს. სრული დატვირთვით იმუშავებს მე-9 ენერგობლოკი, "ხრამი 1" და "ხრამი 2"-ის ჰიდროელექტროსადგურები, "ორთაჭალჰესი", ელეტროენერგიის იმპორტი განხორციელდება სომხეთიდანაც," - აცხადებს პიმონოვი. მისი თქმით, ელექტრომომარაგებაში დეფიციტი არ იქნება, თუმცა პატარა ავარიის შემთხვევაში, შესაძლოა, პრობლემები შეიქმნას. ელექტროენერგიის დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით, "სომხეთის ელეტროქსელებთან" ელექტროენერგიის ოპერატიულ რეჟიმში მოწოდების მიზნით, გაფორმებულია დამატებითი ხელშეკრულება. საჭიროების შემთხვევაში თბილისი სომხეთიდან 50-60 მეგავატ ელექტროენერგიას შეუფერხებლად მიიღებს. მსგავსი სახის კონტრაქტი "თელასს" გაფორმებული აქვს "რაო-ეესთანაც", რათა, საჭიროების შემთხვევაში, თბილისმა ელეტროენერგია 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის "კავკასიონის" მეშვეობით მიიღოს.

მე-9 ენერგობლოკი, რომელიც გუშინ "თელასის" გენერალურმა დირექტორმა მოინახულა, 1 ივნისამდე იმუშავებს. დამტკიცებული ენერგობალანსის მიხედვით კი "თელასი" სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტს 31 მარტს შეწყვეტს.

"კავკასიონის" მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი კი უკვე ჩართულია. ამის შესახებ "საქრუსენერგოს" გენერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ შოთა მაისურაძემ განაცხადა. როგორც მან აღნიშნა, სარემონტო სამუშაოები დაგეგმილზე ადრე დასრულდა. გუშინ "კავკასიონის" ელექტროგადამცემი ხაზით რუსეთიდან 50 მეგავატი ენერგია შემოედინებოდა. საღამოს 10 საათიდან კი იმპორტის 250 მეგავატამდე გაზრდა იგეგმებოდა. **ინტერპრეს-ნიუსი.**

# "სახელმწიფოს ფინანსური დახმარება კომერციული ინოვაციის ხელშეწყობისათვის"

### მსოფლიო ბანკი ახალ ანგარიშს აქვეყნებს და ეკონომიკურ ფორუმს მართავს

ნინო ნარჩემაშვილი

*"მსოფლიო ბანკი" ახალ ანგარიშს აქვეყნებს, სათაურით "სახელმწიფოს ფინანსური დახმარება კომერციული ინოვაციის ხელშეწყობისათვის", სადაც გაანალიზებულია სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს ინოვაციების წახალისებისათვის გააჩნიათ და რეკომენდებულია რიგი რეფორმები, რომელთა განხორციელებაც აღნიშნული ინსტრუმენტების მიზანმიმართულად გამოყენებისათვის არის აუცილებელი.*

პარალელურად, "მსოფლიო ბანკი" ჩეხეთის ფინანსთა სამინისტროსა და მთავრობის კანცელარიის თანადაფინანსებით 28-30 მარტს პრაღაში ცოდნის ეკონომიკურ ფორუმს მასპინძლობს, რომელიც ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მიერ ინოვაციური სისტემების გაუმჯობესებისა და ფირმების მიერ თეორიული ცოდნის უკეთ გამოყენების შესაძლებლობის განსახილველად შეიკრიბა.

პრაღის "ცოდნის ეკონომიკურ ფორუმში" საქართველო სამწევრიანი დელეგაციით არის წარმოდგენილი, რომლის შემადგენლობაშიც ეკონომიკის სამინისტროს, საქართველოს ინვესტიციებისა და ექსპორტის ხელშეწყობის სააგენტოს წარმომადგენლები არიან. რაც შეეხება "მსოფლიო ბანკის" ახალ ანგარიშს, მასში ნათქვამია, რომ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნები მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების უმეტესობას სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსებაში ჩამორჩებიან. ინოვაციის ხელშეწყობის მიზნით, დამატებითი სახელმწიფო სახსრების გამოყოფა უშედეგო იქნება ეკონომიკური სტიმულების, საინფორმაციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და განათლების რეფორმირების გარეშე. ამჟამად ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების საშუალო დანახარჯები სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე მშპ-ს 1 პროცენტზე ნაკლებია, რაც მკვეთრად ჩამორჩება ევროკავშირის მიერ მოთხოვნილ მაჩვენებელს, რომელიც 3 პროცენტს შეადგენს. ამასთან, დაახლოებით ორი მესამედი დაფინანსებულია სახელმწიფო სახსრებით, მაშინ, როდესაც დასავლეთ ევროპაში სამეცნიერო კვლევების 65-70 პროცენტს კერძო სექტორი აფინანსებს. სახელმწიფო ხარჯების გაზრდა, სავარაუდოდ, ვერ გადაწყვეტს არსებულ საკითხებს, თუ კერძო სექტორის როლი არ გაიზრდება. ანგარიშის მთავარი ავტორის ითზაკ გოლდბერგის განცხადებით, "სახელმწიფო ფინანსები მწირია და მათი გამოყენება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დასაფინანსებლად მხოლოდ მაშინ უნდა მოხდეს, როდესაც არსებობს აუცილებელი პირობა, რომ კვლევა შედეგს გამოიღებს." მისი შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერ-მკვლევართა რაოდენობა მრავალრიცხოვანია და სახეზეა კომუნისტური პერიოდის საგანმანათლებლო მიღწევების მემკვიდრეობა, უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების კერძო სექტორთან უზადოდ გამართული თანამშრომლობის გარეშე ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს გაუჭირდებათ ამ პოტენციური ძლიერი მხარეების კომერციულად წარმეტებულ ინოვაციებად გარდაქმნა. ამგვარ პირობებში მოიაზრება ეკონომიკური სტიმულების არსებობა მკვლევარებსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის წასახალისებლად, კომპიუტერებსა და ინტერნეტზე ფართო საზოგადოების ხელმისაწვდომობა. გოლდბერგის თვალსაზრისით, ასევე არსებითი პირობაა კანონის უზენაესობა, ამ შემთხვევაში, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვას და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას.

"მსოფლიო ბანკის" ევროპისა და ცენტრალური აზის რეგიონის ვიცე-პრეზიდენტის შიგეო კათსუმის თქმით, "სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების კომერციულ წარმატებად გარდაქმნა ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში მდგრადი, ხანგრძლივი ეკონომიკური ზრდის მიღწევის ძირითადი საშუალებაა, ეს კი მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ მეცნიერ-მკვლევარებისა და ბიზნესების თანამშრომლობისათვის სტიმულებს შევქმნით, რათა, საზოგადოდ, გაიზარდოს კონკურენტუნარიანობა და შეიქმნას ხარისხიანი სამუშაო ადგილები." კვლევაში ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნები შეფასებულია ინოვაციებში ეფექტური ინვესტირების შესაძლებლობის მიხედვით. "მსოფლიო ბანკის ინსტიტუტის" მიერ შემუშავებული "ცოდნის ეკონომიკური ინდიკატორები" ქვეყნებს დაეხმარება განსაზღვრონ, თუ რომელი რეფორმები უნდა განახორციელონ, ვიდრე ინოვაციების ხელშესაწყობად უფრო მეტი სახელმწიფო ფინანსების ინვესტირება გადაწყდება. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ევროკავშირის ახალ წევრ-ქვეყნებში საკმაოდ კარგი მდგომარეობაა, თუმცა ევროკავშირში წევრობის კანდიდატ-ქვეყნებში რიგი სუსტი მხარეები გამოვლინდა. მაგალითად, რუმინეთს, ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნებში საერთო შეფასებით მე-12 ადგილი უკავია, მაგრამ განათლების სფეროში მცირე სახელმწიფო დაფინანსების გამო იგი მე-20 ადგილს იკავებს.

ხოლო თურქეთი, რომლის ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მაჩვენებელი ლიტვისა და სლოვაკეთის რესპუბლიკაში არსებული მაჩვენებლის ანალოგიურია, "ცოდნის ეკონომიკური ინდიკატორების" ინდექსში ამ ქვეყნების შემდგომ იკავებს ადგილს, რადგან მას დაბალი ქულები აქვს განათლების მიღების ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებლისა და მათემატიკური წარმატებების მიხედვით.

## ევროპული საფონდო აქციები კომპანიათა შერწყმამ გაზარდა

კომპანიათა შერწყმის სფეროში შენარჩუნებულმა აქტიურობამ გუშინ საფონდო ინდექსების ზრდა განაპირობა. განსაკუთრებით გაიზარდა ბრიტანული ნავთობისა და გაზის კომპანია BG-ს, ესპანური Grupo Ferrovial-ის და შვეიცარიული ბიოტექნოლოგიური კომპანია Serono-ს აქციები. BG-ს აქციები 4,3 პროცენტით მას შემდეგ გაძვირდა, რაც გავრცელდა ინფორმაცია ბრიტანული კომპანიის და ესპანური Repsoil-ის ამერიკული ენერგოგიგანტის ExxonMobil-ის მიერ შესაძლო შესყიდვის შესახებ. შედეგად, თბილისის დროით 17.35-ზე FTSEurope 300 Index 0,12 პროცენტით გაიზარდა და 1.366,5 პუნქტს მიაღწია.

## BBC კომერციულ საიტს ხსნის

BBC ახალი კომერციული ინტერნეტ-საიტის გახსნაზე მუშაობს. რესურსი "bbc.com' მისამართზე განთავსდება და რეკლამებიდან შემოსული თანხებით დაფინანსდება. ახალი საიტი კორპორაციამ კომპანია "Boston business computing"-სგან 375 ათას დოლარად შეისყიდა. ბრიტანულ კორპორაციას არაერთხელ უცდია დაეწესებინა გადასახადი იმ უცხოელი მომხმარებლებისთვის, რომლებიც, ბრიტანელებისგან განსხვავებით, სააბონენტო გადასახადებს არ იხდიან. BBC Worldwide-ის დირექტორმა განაცხადა, რომ კომპანიამ მარტის დასაწყისში თხოვნით მიმართა საკონსულტაციო ფირმა "Accenture"-ს, რათა შეემუშავებინათ გარკვეული სტრატეგია კომპანიის კომერციული სერვისის გაფართოების თაობაზე. კომპანიის წარმომადგენლების ინფორმაციით, bbc.com საიტი, ძირითადად, უცხო ქვეყნის მომხმარებლებზე იქნება ორიენტირებული. ვარაუდობენ, რომ BBC-ს ბოლო ინიციატივა საკმაო უკმაყოფილებას გამოიწვევს მედიასივრცეში, რომელიც მანამდე არაერთგზის მიუთითებდა კორპორაციის არაკეთილსინდისიერ კონკურენციაზე. ბაზრის მონაწილენი კი ვარაუდობენ, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებლებმა სარეკლამო ბაზარზე მათ კონკურენცია არ უნდა გაუწიონ. არსებობს ინფორმაცია, რომ BBC კიდევ ერთ, ახალ ინიციატივაზე მუშაობს. მალე კორპორაციის ახალი სერვისი მაყურებელს საშუალებას მისცემს, საიტიდან "ბი-ბი-სი"-ს ტელეპროგრამაზე "გადახტეს." აღნიშნული სერვისი ფასიანი იქნება. "ბი-ბი-სი"- ს ახალი კომერციული საიტი სულ მალე ამოქმედდება. **24 საათი.**

## ამერიკელებს ჩინური კომპიუტერების ეშინიათ

"Lenovo"- ს კომპიუტერები შესაძლოა, შპიონაჟისთვის ყველაზე ხელსაყრელ აპარატურად დასახელდეს. ამ ფაქტის შესახებ ეჭვს ღიად გამოთქვამს აშშ-სა და ჩინეთის სავაჭრო ურთიერთობების მარეგულირებელი ამერიკული კომისია. ეჭვის საფუძველი კი გახდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი აპირებს ამერიკის მმართველობითი დაწესებულებების ოფისების ჩინური კომპიუტერებით მომარაგებას, რომელთა საერთო ღირებულებაც 13 მილიონი აშშ დოლარია.

მარეგულირებელი კომისიის წარმომადგენელი მაიკლ ვესელი აცხადებს, რომ აღნიშნულ კომპიუტერებში მოსასმენი აპარატურებია დამონტაჟებული და ამის გამო "lenovo"-ს კომპიუტერების შემოწმება აუცილებელია.

როგორც ცნობილია, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი დაახლოებით 15000 კომპიუტერის შეძენას აპირებს, რაც ამერიკელი ჩინოვნიკების საქმიანობის შემოწმების თვალსაზრისით უცხოური სადაზვერვო სამსახურებისთვის საუკეთესო საშუალება იქნება. კომისია ახალი კომპიუტერების შემოწმებას უახლოეს მომავალში დაიწყებს.

"Lenovo"-ს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ კომპიუტერების "საეჭვო" დეტალები მექსიკაში, ტაივანსა და ჩრდილო კაროლინას შტატში მზადდება. აქედან გამომდინარე, ჩინეთი ყველანაირ პასუხისმგებლობას თავიდან იცილებს, აღსანიშნავია ის, რომ აშშ-სა და "Lenovo"-ს შორის ეს პირველი კონფლიქტი არ არის. ჯერ კიდევ ერთი წლის წინ, ამერიკის მმართველობით სტრუქტურებში დიდი წინააღმდეგობა მოჰყვა ჩინელების ინიციატივას IBM-ის კომპიუტერების შეძენის თაობაზე. **24 საათი.**

# ძუნწი მილიარდერი

პირველი გვერდიდან

კამპრადის ისტორია ე.წ. "ამერიკული ოცნების" ასრულების კლასიკური მაგალითია, რომელიც ამტკიცებს, რომ ადამიანმა, რომელიც ნულიდან იწყებს, ბიზნესში დიდ წარმატებას არა მხოლოდ ნიუ-იორკში ან ამერიკის რომელიმე სხვა ქალაქში, არამედ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში შეიძლება მიაღწიოს. მთავარია, იგი შეუპოვარი, გამრჯე, დაუზარელი იყოს და ტალანტი ჰქონდეს.

ინგვარ კამპრადს ყველა ეს თვისება თავიდანვე უხვად გააჩნდა და კიდევ ვაჭრობის ტალანტით იყო დაჯილდოებული. ამიტომაც არის, რომ დღეს კამპრადის (რომელსაც მხოლოდ საშუალო განათლება აქვს) გამოცდილების და მიღწევების მიხედვით მსოფლიოს განთქმულ უნივერსიტეტებში მარკეტინგს ასწავლიან.





### 17 წლის ბიზნესმენი

ინგვარ კამპრადი დაიბადა შვედეთის ყველაზე ღარიბ რაიონში, სმოლანდის პროვინციის სოფელ აგუნარიდში 1926 წელს. ამბობენ, რომ სმოლანდელები ანეკდოტური სიძუნწით გამოირჩევიან. ეს სწორედ კამპრადზეა ზედგამოჭრილი: მას შემდეგაც, რაც იგი მილიარდერი გახდა, ხასიათი არ შეცვლია და საოცრად მომჭირნე დარჩა. თუმცა, ამაზე შემდეგ.

მოზარდი ინგვარის შემეცნებაზე დიდი გავლენა მოახდინა შვედი "ასანთის მეფის" ივარ კრიუგერის ბიოგრაფიამ, რომელმაც ნულიდან დაიწყო და მილიონები იშოვნა. თანაც, ასანთით! თურმე, ბიჭმა თავისი თანამემამულის შესახებ რომ შეიტყო, გადაწყვიტა, მისთვის მიებაძა.

მანაც ხელი "ასანთის ბიზნესს" მოჰკიდა: ველოსიპედით დასეირნობდა და ასანთს ჰყიდდა. მალე კომივოიაჟორის ასორტიმენტი მისივე ხელით ადგილობრივ მდინარეში დაჭერილი თევზით გამდიდრდა. შემდეგ კი ბიჭმა ბურთულიანი კალმების გაყიდვა დაიწყო და ხელიც კარგად მოითბო: ორმოციანი წლების დასაწყისში ეს სიახლე შვედეთის პროვინციაში დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა.

მოდურ საქონელს კამპრადი ერთი ფრანგული ფირმისაგან იღებდა, რომელმაც დისტრიბუტორის მიერ საკუთარი საწარმოს იურიდიულად დარეგისტრირება მოითხოვა. ბიჭს საბუთების მოგროვებაში მამა დაეხმარა და დაარსდა ფირმა IKEA (ინგვარ კამპრადი, ელმტარიული აგუნარიდში). ეს აბრევიატურა, ფირმის პატრონის სახელის და გვარის გარდა, მამის ფერმის და მშობლიური სოფლის დასახელებების პირველი ასოებისაგან შედგება.

გამჭრიახმა ბიჭმა რეკლამისათვის ერთგვარი პრეზენტაციაც კი მოაწყო. ბევრი ხალხი რომ მოეზიდა, ყველას უფასო ყავას და ფუნთუშებს დაჰპირდა. მართალია, პრეზენტაციაზე მოსულმა ათასამდე ადამიანმა ახლად დაარსებული ფირმა კინაღამ იქვე გააბანკროტა, მაგრამ კამპრადმა სასურველი ეფექტი მიიღო და, თანაც, უფასო სასუსნავის იდეა დაიმახსოვრა და მომავალში გამოიყენა.

ასე გახდა 17 წლის ინგვარი ნამდვილი ბიზნესმენი. მალე ველოსიპედი დაივიწყა და საქონლის ფოსტით გავრცელებას შეუდგა. ამისათვის მან თავისი საქონლის თვითნაკეთი კატალოგი დაამზადა, ტრანსპორტირების პრობლემა კი მერძევესთან მოლაპარაკებით მოაგვარა, რომელიც ყოველ დილით მთელს ოლქში რძეს დაატარებდა. საწერ კალმებსა და ასანთს კი სხვადასხვაგვარი წვრილმანი - საკანცელარიო ნივთები, საფულეები და კოლოების საწინააღმდეგო საშუალება შემატა.

### კონკურენტთა მაქინაციები და მეწარმეობა

1948 წელს კამპრადს ავეჯით ვაჭრობის იდეა ეწვია. თავდაპირველად მან აქცენტი მწირი შესაძლებლობების მქონე მყიდველებზე გააკეთა და მახლობლად მდებარე ავეჯის ქარხნებს ყველაზე იაფფასიანი პროდუქცია შეუკვეთა. სწორედ მაშინ ჩამოაყალიბა მან თავისი განთქმული ფორმულა: "60 სკამის ძვირად გაყიდვას 600-ის იაფად გასაღება სჯობს."

კამპრადის პირველი ავეჯის მაღაზიის პოპულარობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ცხადია, ეს სრულიადაც არ ეამათ მის კონკურენტებს და ნამდვილი ბლოკადა მოუწყვეს: ისინი შვედ ავეჯისმწარმოებლებს მოელაპარაკნენ, ინგვარისათვის საქონელი არ მიეყიდათ.

მაგრამ ამით კამპრადი დიდად არ დაზარალებულა, პირიქით, კონკურენტთა უმსგავსო საქციელმა იაფი ავეჯის გაყიდვისაკენ მისი სწრაფვა კიდევ უფრო გაამძაფრა. მან ავეჯის პატარა ფაბრიკა შეიძინა და საკუთარი წარმოება შექმნა. გარდა ამისა, ავეჯი უცხოეთში, კერძოდ, პოლონეთსა და დანიაში შეუკვეთა.

ცხადია, კამპრადს კონკურენტთა ვერანაირი მაქინაცია უკვე ხელს ვეღარ შეუშლიდა. მისი საქმეები სულ უფრო და უფრო კარგად მიდიოდა და ისიც შემოსავლის ახალ წყაროებზე ფიქრობდა. ინგვარის ინვესტირების შემდეგ ობიექტებად სტოკჰოლმის საგამოფენო პავილიონი და თავის მშობლიურ ქალაქ ელმხუტში მდებარე დიდი მაღაზია იქცა. მეორე მათგანი თითქოს მომგებიანი არ უნდა ყოფილიყო, პროვინციაში ხომ ბევრი მყიდველი არ არსებობდა. მაგრამ გამჭრიახმა კამპრადმა იცოდა, რომ შვედეთში საავტომობილო ბუმი დაიწყო და სერიოზული და იაფი შენაძენისათვის ადამიანები დიდი მანძილის გასავლელად მზად იყვნენ. კლიენტების წასაქეზებლად "იკეას" მაღაზიებში ავტომობილის სახურავზე დასაყენებელი საბარგულების გაყიდვა, ცხადია - იაფად, დაიწყეს. ამგვარი პოლიტიკის წყალობით კომპანიის ფინანსური ბრუნვა ერთ წელიწადში გაორმაგდა.

### ამერიკული გამოცდილება და შემთხვევითი აღმოჩენა

60-იანი წლების დასაწყისში კამპრადი ამერიკაში გაემგზავრა. მას ოკეანისგაღმური ცხოვრების და, ცხადია, ვაჭრობის ადგილზე შეთვალიერება სურდა. სწორედ მაშინ იხილა პირველად ინგვარმა მაღაზიები, რომლებიც Cash & Carry სისტემით ვაჭრობდნენ. მათში ყველაფერი ეკონომიისათვის იყო გაკეთებული: უზარმაზარი მაღაზიები ქალაქგარეთ მდებარეობდა, ხოლო მყიდველები საკუთარ თავს ემსახურებოდნენ - ნავაჭრს პატარა ურიკებში ალაგებდნენ, სალაროსთან ფულს იხდიდნენ და შემდეგ თავიანთი ავტომობილებისაკენ მიაგორებდნენ.

1963 წელს სწორედ ამერიკული გამოცდილების მიხედვით მოაწყო "იკეამ" მაღაზია სტოკჰოლმის გარეუბანში. თუმცა, ბევრი რამ კამპრადმა საკუთარი გემოვნებით შეცვალა და გააუმჯობესა. კერძოდ, შეეცადა, ავტომობილების გასაჩერებელი ადგილი მაღაზიასთან რაც შეიძლება ახლოს ყოფილიყო, და კლიენტებისათვის ტრანსპორტირება რომ გაეადვილებინა, დაშლილი ავეჯის გაყიდვა გადაწყვიტა, რომლის ყველა დეტალი კოხტად და კომპაქტურად იყო შეფუთული. ამგვარად, საქონლის მაღაზიამდე ტრანსპორტირებაც ბევრად იაფი ჯდებოდა. ავეჯი თავად მყიდველებს უნდა აეწყოთ. ჭკვიანმა კამპრადმა კარგად იცოდა, რომ ადამიანებს ძალიან უყვართ "სახლობანას" თამაში და კარადის თუ მაგიდის საკუთარი ხელით აწყობა. მით უმეტეს, როცა ეს ძალიან იოლია.

თავად მაღაზია, რომელსაც კამპრადმა Kungens Kurva უწოდა, გარეგნულად ნიუ იორკის გუგენჰეიმის მუზეუმს ჰგავდა. ცხადია, ეგზომ ორიგინალურმა და მშვენიერმა ნაგებობამ დიდი ყურადღება მიიქცია და გახსნის დღეს მაღაზიას დიდძალი ხალხი მიაწყდა. 30 ათასამდე შვედს სურდა იაფი კომფორტი. მაღაზიაში ამდენი საქონელი არ აღმოჩნდა და მყიდველებმა კინაღამ ერთმანეთი გაჭყლიტეს.

ვაჭრობის ამგვარი სტილი კამპრადის ჩანაფიქრს ნამდვილად არ შეეფერებოდა, მისი გათვლით, მყიდველს ავეჯი აუჩქარებლად უნდა აერჩია და, თუ სურვილი ექნებოდა, ყველა სართულზე მდებარე ბარში ყავა და ფუნთუშები მიერთვა.

შექმნილ სიტუაციაში კი კამპრადმა ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო და მყიდველები საწყობში შეუშვა. ასე მოულოდნელად დაებადა "იკეას" დამფუძნებელს მშვენიერი იდეა და ჩამოაყალიბა მაღაზია-საწყობის თავისი განთქმულა ფორმულა.

### საფირმო სტილი

Kungens Kurva-დან საბოლოოდ ჩამოყალიბდა კომპანიის მუშაობის სტილი. დღეს "იკეას" ყველა მაღაზია ერთგვარ საგამოფენო ცენტრს წარმოადგენს, სადაც ავეჯთან ერთად სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთები იყიდება. თანაც, ყველაფერი ისეა განლაგებული, როგორც რეალურ ცხოვრებაში. ასე რომ, მყიდველს შეუძლია, ჯერ ათი საბავშვო ოთახი დაათვალიეროს, შემდეგ - 25 საძინებელი და ა.შ. "სახალხო სახლად" წოდებული ეს ნოვაცია მართლაც საოცრად წარმატებული აღმოჩნდა.

მას შემდეგ, რაც კლიენტი სასურველ ნივთს შეარჩევს, საწყობში მიდის და დაშლილი, მოხერხებულად შეფუთული ავეჯი შინ მიაქვს, სადაც თავადვე აწყობს. რაც შეეხება წარმოებას, "იკეა" ავეჯის ნაწილს თავისსავე ფაბრიკებში ამზადებს, ნაწილს კი უკვეთავს. ცხადია, მთავარი ყურადღება ღირებულებას ექცევა.

კამპრადმა "იკეას" პროდუქციაზე ფასის განსაზღვრისათვის კვლევის განსაკუთრებული სისტემა შეიმუშავა. კერძოდ, არჩევენ საშუალო და საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებს; ითვლიან, რამდენი შეუძლიათ დახარჯონ კარადის, მაგიდის, სანათის და ყველა სხვა ცალკეული ნივთის შესაძენად. ამგვარად დგინდება ოპტიმალური ღირებულება, რის შემდეგაც სპეციალისტები უკვე ტექნიკურ მხარეზე მუშაობენ.

შეიძლება, დღეს ამგვარმა მეთოდმა არავინ გააოცოს, მაგრამ თავის დროზე, "იკეამ" ნამდვილი რევოლუცია მოახდინა.

### უცხოურ ბაზარზე

სამშობლოში ეგზომ დიდი წარმატების შემდეგ "იკეას", უცხოური ბაზრის ათვისების გარდა, აღარაფერი დარჩენოდა. კამპრადი კარგა ხანს ჭოჭმანობდა, გაეხსნა თუ არა მაღაზია შვეიცარიაში. ეს ქვეყანა კონსერვატიული გემოვნებით იყო განთქმული და, თანაც, იქაური ბაზარი ადგილობრივი ფირმების მიერ საფუძვლიანად გახლდათ ათვისებული. მაგრამ ერთხელ ციურიხში მოსეირნე კამპრადმა ყური ახალგაზრდა წყვილის საუბარს მოჰკრა: "ლამაზი სავარძელია," - თქვა ცოლმა. "რას ვიზამთ, ფული არ გვყოფნის, გაისად ვიყიდოთ," - მიუგო ქმარმა.

ამ ეპიზოდმა კამპრადს საბოლოო გადაწყვეტილება მიაღებინა და მალე შვეიცარიაში "იკეას" მაღაზიები გაჩნდა. შემდეგ კი შვედურმა ფირმამ წარმატებით აითვისა გერმანული, ავსტრიული, ბრიტანული და ამერიკული ბაზარი.

დღეისათვის აფრიკის გარდა "იკეას" მაღაზიებს ყველგან შეხვდებით. თუმცა, ცხადია, ეს დროებითი მოვლენაა, იაფი და ხარისხიანი ავეჯი ხომ ყველგან, მათ შორის, აფრიკაშიც სჭირდებათ და მალე კამპრადის პირმშო მთელს მსოფლიო ბაზარს აითვისებს.

80-იან წლებში "იკეას" ირგვლივ სკანდალი აგორდა. ამბობდნენ, თითქოს კომპანია თავისი პროდუქციის წარმოებისას მომწამვლელ ნივთიერება ფორმალდეჰიდს იყენებდა. მაგრამ "იკეამ" ბუნებისდამცველებთან საერთო ენა მალე გამონახა და "გრინფისის" პროექტის დასაფინანსებლად 3 მილიონი დოლარი გამოყო. შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს თავის დროზე კამპრადი ჰიტლერის მიმართ სიმპათიით იყო განწყობილი. სინამდვილეში კი მას, უბრალოდ, გერმანია, როგორც ძლიერი, დიდი შესაძლებლობების მქონე ქვეყანა მოსწონდა. საერთოდ, "იკეას" და მისი დამფუძნებლის იმიჯის შელახვა არაერთხელ უცდიათ, მაგრამ კამპრადი ამას ყოველთვის ნაკლებ ყურადღებას აქცევდა და არაკეთილმოსურნეებს საქმით პასუხობდა.

### სმოლანდური ხასიათი

მიუხედავად იმისა, რომ კამპრადი 79 წლისაა, იგი ერთობ ჯანმრთელი, აქტიური ბერიკაცია და, მართალია, უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში გამუდმებით პენსიაზე გასვლაზე საუბრობს, "იკეას" კვლავაც პირადად ხელმძღვანელობს. ყოველ დილით 5 საათზე თავის რომელიმე მაღაზიაში მიდის, რომ შეამოწმოს, რამდენად რაციონალურად ხდება ავეჯის მიღება და გადმოტვირთვა. ამიტომაცაა, რომ კომპანია სულ უფრო იფურჩქნება და თვითმყობად სტილს ინარჩუნებს.

გარდა ამისა, კამპრადი პირადად აკონტროლებს, რომ კომპანიამ განსაკუთრებული, მეტად დემოკრატიული მეთოდებით იმუშაოს. კერძოდ, "იკეას" მენეჯერებმა მხოლოდ ეკონომკლასით უნდა იმგზავრონ და სამვარსკვლავიან სასტუმროში იცხოვრონ. კომპანიაში ვერ შეხვდებით ძვირფას კოსტუმში გამოწყობილ ადამიანს. სხვათა შორის, კამპრადიც ასევე იქცევა: სადილობს იაფფასიან სასადილოში, სურსათს - საზოგადოებრივ ბაზარში, ნივთებს კი ყველაზე იაფფასიან მაღაზიებში ყიდულობს. ამბობენ, რომ საქმიანი შეხვედრებისას მოწყობილ ვახშმებზე ძალიან ბევრს ჭამს, რომ სახლში მისვლის შემდეგ აღარ მოშივდეს და ამგვარად ფული დაზოგოს.

ცხადია, ამის გამო შვედ ბიზნესმენს ბევრი დასცინის. მაგრამ კამპრადი, რომელიც ლოზანაში პატარა ბინაში ცხოვრობს, რათა შვეიცარული ლიბერალური კანონების მიხედვით მცირე გადასახადები იხადოს, აცხადებს, რომ ადამიანმა, მიუხედავად იმისა, რამდენი მილიარდი აქვს, ფული ყოველთვის უნდა დაზოგოს. როგორც ხედავთ, განთქმულ სმოლანდურ სიძუნწეზე ზემოთ ტყუილად არ გესაუბრეთ.

თავის სამ შვილს, რომელთაგან ერთ-ერთი ოდესმე "იკეას" მეპატრონე გახდება, კამპრადი ასევე ზრდიდა. სამივემ თავ-თავიანთი კარიერა მამის კომპანიის კუთვნილ მაღაზიებში უბრალო გამყიდველად მუშაობით დაიწყეს. თანაც, ისეთი მწირი ხელფასი ჰქონდათ, რომ ოჯახების რჩენა უჭირდათ.

შესაძლებელია, სწორედ კამპრადის ამგვარი ხასიათის და პოლიტიკის გამო გახდა იგი ევროპის უმდიდრესი ადამიანი, "იკეა" კი ბებერი კონტინენტის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კომპანია. "იკეას" სარეკლამო ლოზუნგი: "ყოველი მერვე ევროპელი ჩვენს საწოლებზეა გაკეთებული", ხუმრობა როდია.

## აშშ-ს საფონდო ინდექსები ამჯერად გაიზარდა

ცენტრალური სარეზერვო ფონდის მიერ საპროცენტო განაკვეთის კვლავ გაზრდის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მიუხედავად, გუშინ აშშ-ს საფონდო ბირჟაზე ინდექსების ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, თბილისის დროით 18.37-ისათვის Dow Jones Industrial Index 0,24 პროცენტით 11.181,44-მდე გაიზარდა, Hi-Tech Nasdaq Composite Index-მა კი 0,33 პროცენტით მოიმატა და 2.312,06 პუნქტი შეადგინა.

განსაკუთრებული ყურადღება იყო მიპყრობილი მსოფლიოს წამყვანი ავტომშენებლის და Dow Jones Index-ის კომპონენტის General Motors Corp-ისაკენ, რომლის აქციები 0,3 პროცენტით გაიაფდა. საქმე ის არის, რომ GM თავისი ფინანსური განყოფილების General Motors Acceptance Corპ-ის აქციების საკონტროლო პაკეტის GMAC Commercial Holding Group-ისათვის მიყიდვას აპირებს, მაგრამ ჯერჯერობით მოლაპარაკებები წარუმატებლად მიმდინარეობს.

*29 მარტი. 01:00.*










## "ვინჩესტერის" ქარხანა იხურება

ქარხანა, რომლის მიერ წარმოებული თოფით, თავის დროზე, ველური დასავლეთი დაიპყრეს, მიმდინარე კვირის ბოლომდე დაიხურება, თუ მფლობელთან მოლაპარაკებას წარმატება არ მოჰყვება.

"ვინჩესტერის" გამოშვება ჯერ კიდევ 150 წლის წინ დაიწყო, მაგრამ ახლა ქარხნის მფლობელი კომპანია Hursteli-ის ხელმძღვანელობას წარმოების უცხოეთში გადატანა, მოდერნიზება და უფრო თანამედროვე იარაღის გამოშვება სურს. თუმცა, იმასაც აცხადებს, რომ ლეგენდარულ სახელს აუცილებლად შეინარჩუნებს.

იმის გამო, რომ ამგვარი ცვლილების შედეგად 200 ადამიანი უმუშევარი დარჩება, საქმეში პროფკავშირები ჩაერია. Hurstell-ის ხელმძღვანელობას და პროფკავშირებს შორის მოლაპარაკებები რამდენიმე დღეში დასრულდება, თუმცა, ძნელი წარმოსადგენია, მას რამე შედეგი მოჰყვეს.

## შაქარი ნავთობის პარალელურად გაძვირდა

გუშინ ლონდონის ბირჟაზე გამართულ ვაჭრობაზე შაქრის ფასმა საგრძნობლად მოიმატა. 1 ტონა თეთრი შაქრის ღირებულება 9,5 დოლარით გაიზარდა და 467,5 დოლარს მიაღწია, რაც 1989 წლის 14 ივლისის შემდეგ დაფიქსირებული მაქსიმალური ფასია.

ამის მიზეზი საინვესტიციო ფონდების მიერ შაქარზე კონტრაქტების გამალებული შეძენა გახდა. ეს კი განაპირობა გავრცელებულმა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ ნავთობის გაძვირება მოთხოვნილებას გაზრდის ბენზინის ალტერნატიულ საწვავ ეთანოლზე, რომელიც შაქრის ლერწმისაგან მზადდება,.

## General Motors-ი Saab-ს და Hummer-ს გაყიდის

გავრცელებული ინფორმაციით, მიმდინარე წელს კონცერნი General Motors-ი თავის ორ განყოფილებას: Hummer-ის მწარმოებელ კომპანიას და შვედურ ფირმა Saab-ს გაყიდის. მიღებული შემოსავლით GM-ი კარდინალური რეფორმების გატარებას და ფეხზე დადგომას აპირებს.

აღსანიშნავია, რომ Saab-ი, უკვე კარგა ხანია, წაგებაზე მუშაობს. ადრე GM-ის ხელმძღვანელობა იმედოვნებდა, რომ, ადრე თუ გვიან, შვედური ფირმის მდგომარეობა გამოსწორდებოდა, მაგრამ არსებულ რთულ სიტუაციაში ამერიკულ კონცერნს Saab-ის შენახვის საშუალება უკვე აღარ აქვს.

## ტრანსკასპიის გაზსადენის მშენებლობა, შესაძლოა, 5 მილიარდი აშშ დოლარი დაჯდეს

ამის შესახებ აზერბაიჯანის ეკონომიკისა და ენერგეტიკის მინისტრმა ნატიკ ალიევმა განაცხადა. მისივე თქმით, აზერბაიჯანი ამ პროექტის განხორციელებისას არ უნდა გამოვიდეს, როგორც ინვესტორი. ალიევმა აღნიშნა, რომ თურქმენეთსა და აზერბაიჯანს აქვს საერთო საზღვრები და, ამიტომ, გაზსადენის მშენებლობის საკითხები ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე უნდა იქნას განხილული.

"ამბობენ, რომ ამ გაზსადენის მშენებლობა ეკოლოგიურ საფრთხეებთან არის დაკავშირებული. მაშინ რატომაა შესაძლებელი გაზსადენის მშენებლობა შავი ზღვის გავლით, სადაც უფრო აგრესიული გარემოა და არ არის შესაძლებელი კასპიის ზღვის გავლით?" - დასვა კითხვა მინისტრმა. "დღეს ევროპა დაინტერესებულია ალტერნატიული ბუნებრივი გაზის მიწოდებით. არსებობს რამდენიმე პროექტი ბუნებრივი აირის მიწოდებისა მცირე აზიიდან ევროპაში, რომელსაც ევროპა მხარს უჭერს. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ირანიდან გაზის მიწოდების საკითხი, ასევე, თურქმენეთიდან და ყაზახეთიდან. არსებობს ბუნებრივი აირის ევროპაში მიწოდების რამდენიმე ალტერნატიული მარშრუტი. ერთ-ერთი არის ირანიდან და თურქეთიდან, მეორე - კასპიიდან აზერბაიჯანის, საქართველოს და თურქეთის გავლით ევროპაში," - განაცხადა ალიევმა. მისივე თქმით, უკანასკნელ პერიოდში გაიზარდა ინტერესი ტრანსკასპიის მაგისტრალისადმი. ეს პროექტი, თავის დროზე, თურქმენეთის მხარის მიერ იყო ინიცირებული. იყო დადებული შეთანხმება თურქეთსა და თურქმენეთს შორის, 16 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის 30 მილიარდამდე გაზრდის ვარაუდით. აქედან 14 მილიარდი კუბ/მეტრი ბუნებრივი აირი უნდა გასულიყო ევროპაში.



როგორც ალიევმა განაცხადა, ეს გაზსადენი მთელი რეგიონისათვის და, პირველ რიგში, თურქმენეთისთვის აუცილებელია. ალიევმა აღნიშნა, რომ ცენტრალური ევროპის ქვეყნები ამ პროექტის განხორციელებით დაინტერესებულნი არიან. "ავსტრიამ, თურქეთმა, ბულგარეთმა, რუმინეთმა და უნგრეთმა ხელი მოაწერეს "ნაბუქოს" პროექტის განხორციელებაზე, რომელიც 3200 კმ სიგრძის გაზსადენის მშენებლობას გულისხმობს. ეს გაზსადენი 30 მილიარდ კუბური მეტრი გაზის გატარებას შეძლებს. სამხრეთკავკასიური გაზსადენის ექსპლოატაციაში შესვლა (რომელიც სექტემბრისთვის იგეგმება) აღნიშნული პროექტის განხორციელების პირველი ნაწილი იქნება," - დასძინა მინისტრმა. მისივე თქმით, უკანასკნელი წლის განმავლობაში გააქტიურდა საუბრები ევროპის ალტერნატიული გაზით მომარაგების თაობაზე. ევროპა მიხვდა, რომ მხოლოდ რუსულ გაზზე დაყრდნობა მიამიტური გადაწყვეტილებაა, რადგან რუსეთმა, უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში, თავის მონოპოლიაზე განცხადება გააკეთა. **ჯი-ეიჩ-ენი.**

## მსოფლიო ბაზარზე საწვავის ფასმა მოიმატა

როგორც "ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხარებელთა" კავშირის თავმჯდომარემ ვანო მთვრალაშვილმა განუცხადა, ბოლო მონაცემებით გენუის ბირჟაზე 1 ტონა ბენზინის ფასმა 610 დოლარი შეადგინა, რაც 90 დოლარით გაზრდილია იმ ფასთან შედარებით, რომელიც მარტის დასაწყისში ფიქსირდებოდა.

შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც, მოიმატა დიზელის ფასმაც. ბოლო მონაცემებით, მან 1 ტონაზე 567 დოლარი შეადგინა, რაც ერთი თვის განმავლობაში 30 დოლარით გაზრდილი ფასია. მთვრალაშვილი ფასთა მატებას მსოფლიო ბაზარზე ბენზინსა და დიზელზე მოხმარების ზრდას უკავშირებს, რაც, ერთის მხრივ, გაზაფხულის სეზონის დაწყებამ განაპირობა. მეორეს მხრივ კი, გაძვირება მსოფლიოში, კერძოდ, ირანსა და ნიგერიაში შექმნილ დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებას უკავშირდება.

"თუ მსოფლიო ბაზარზე ბენზინსა და დიზელზე ფასთა მატების ტენდენცია დიდი ხნის განმავლობაში შენარჩუნდება, ის აუცილებლად აისახება საქართველოს ბაზარზეც. კერძოდ, ნავთობპროდუქტებზე ფასები ჩვენთანაც მოიმატებს," - განაცხადა მთვრალაშვილმა. **ჯი-ეიჩ-ენი.**

## ამინდი

| | 30/03 | 31/03 | 1/04 |
|---|---|---|---|
| კიევი | 7 | 6 | 7 |
| რიგა | 3 | 1 | 3 |
| ვილნიუსი | 4 | 0 | 2 |
| მოსკოვი | 5 | 7 | 7 |
| მინსკი | 3 | 2 | 4 |
| პარიზი | 7 | 11 | 10 |
| რომი | 18 | 21 | 23 |
| ლონდონი | 7 | 8 | 7 |
| მადრიდი | 22 | 24 | 24 |
| ბონი | 8 | 10 | 11 |
| ვარშავა | 6 | 6 | 6 |
| ათენა | 21 | 21 | 22 |
| ბერნი | 7 | 16 | 15 |
| ამსტერდამი | 7 | 4 | 5 |
| ოსლო | 2 | 3 | 7 |
| ანკარა | 20 | 15 | 18 |
| ვარნა | 14 | 12 | 19 |
| დელი | 36 | 36 | 37 |
| ტოკიო | 10 | 10 | 19 |
| კოპენჰაგენი | -1 | 6 | 3 |
| ბაქო | 19 | 16 | 16 |
| ერევანი | 21 | 21 | 18 |
| ასტანა | -2 | 4 | 3 |
| ჰელსინკი | -1 | -7 | -4 |
| დუბლინი | 4 | 3 | 2 |
| ლისაბონი | 21 | 24 | 22 |
| პრაღა | 6 | 8 | 8 |
| სოფია | 15 | 18 | 19 |
| ბუდაპეშტი | 14 | 12 | 15 |
| ბუხარესტი | 11 | 15 | 20 |

# ბულგარული ღვინო - ქართულისა და მოლდავურის ნაცვლად

ალკოჰოლური პროდუქციის ვოლოგდელი მიმწოდებლები "როსპოტრებნადზორის" მიერ ქართული და მოლდავური ღვინის გაყიდვის აკრძალვას მშვიდად ხვდებიან. ამის შესახებ, საინფორმაციო სააგენტო "რეგნუმს" ალკოჰოლის მიმწოდებელი კომპანიის "Русский товар"-ის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა განუცხადა. **"ეს გადაწყვეტილება მოსკოვში მიიღეს. ჩვენ ახლა, უბრალოდ, ბულგარულ ღვინოებს შემოვიტანთ,"** - აღნიშნა მან.

გარდა ამისა, მეწარმეებმა იმედი გამოთქვეს, რომ უახლოეს ხანებში ქართული და მოლდავური ღვინოების გაყიდვის აკრძალვა გაუქმდება.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთმა სანქციები სომხური ღვინის წინააღმდეგაც აამოქმედა. როგორც სომეხი ღვინის მწარმოებელთა კავშირის თავმჯდომარემ ავაგ არუტიუნიანმა განაცხადა, სომხეთის ალკოჰოლური სასმელების ექსპორტიორთა შემოსავალი წელს სამჯერ შემცირდება. ამის მიზეზი რუსეთში პროდუქციის ექსპორტის დროებითი შეჩერებაა. მიუხედავად ამისა, თავმჯდომარე შექმნილ სიტუაციაში პოლიტიკურ სარჩულს ვერ ხედავს. **"სომხეთთან მიმართებაში ეს წმინდა ტექნიკური საკითხია. არ არის საჭირო მასში პოლიტიკური მომენტების ძებნა. რაც შეეხება საქართველოსა და მოლდავეთს - ეს ნამდვილად პოლიტიკაა,"** - განაცხადა არუტიუნიანმა. მისი აზრით, რაც შეეხება ქართულ ღვინოებში ტოქსიკური ელემენტების აღმოჩენის ბრალდებას, ამგვარ მეთოდებს ამერიკული ღვინოების ექსპორტის შესამცირებლად ბოლო 30 წლის განმავლობაში პერიოდულად მიმართავენ ევროპაში, და პირიქით.



გუშინ რუსეთის ფედერაციაში ქართული ღვინოებისა და ღვინომასალების იმპორტის აკრძალვასთან დაკავშირებით, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტს ევგენი პრიმაკოვს, რუსეთის მეწარმეთა და მრეწველთა კავშირის თავმჯდომარეს ალექსანდრე შოხინს და საზოგადოებრივი კავშირის "დელოვაია როსიას" თავმჯდომარეს ბორის ტიტოვს წერილით მიმართა, რომელშიც ნათქვამია, რომ რუსეთის შესაბამისი უწყების ეს გადაწყვეტილება კრიტიკას ვერ უძლებს, რადგან ქართულმა ღვინოებმა მსოფლიო ბაზარზე სწორედ მაღალი ხარისხითა და სანიტარული უსაფრთხოებით მოიპოვეს პოპულარობა. წერილში ნათქვამია, რომ თუ ეს აკრძალვა გაგრძელდება, ორ ქვეყანას შორის არსებულ ეკონომიკურ კლიმატზე სერიოზულად იმოქმედებს. ქართული ღვინის წარმოებაში, ინვესტორების და მფლობელების სახით, რუსული კომპანიებიც გვევლინებიან, რომელთაც რუსეთის მხარის ეს გადაწყვეტილება ნაკლებ ზარალს არ მოუტანს. **"მაშინ, როცა რუსეთ-საქართველოს საგარეო ვაჭრობაში შარშან არნახული, თითქმის 50-პროცენტიანი ზრდა მოხდა, დღეს რუსეთის სახელისუფლებო შტოს მოქმედება ლახვარს სცემს არა მხოლოდ ამ დინამიკას, არამედ საერთოდ ორ ქვეყანას შორის დამყარებულ ტრადიციულ ეკონომიკურ კავშირებს,"** - ნათქვამია წერილში.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ ინიციატივით მიმართა რუსეთის სავაჭრო პალატას, ქართული ღვინის მაღალხარისხიანობისა და სანიტარული უსაფრთხოების ერთიან გარანტებად დამდგარიყვნენ. **24 საათი.**

## სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ინდექსი

საქართველოში 2006 წლის თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსმა 101,1 პროცენტი შეადგინა. სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2006 წლის თებერვალში, იანვართან შედარებით, სამრეწველო პროდუქციის ფასების საერთო დონე, ძირითადად, განსაზღვრა დამამუშავებელ მრეწველობაზე მწარმოებელთა ფასების 1,9 პროცენტით ზრდამ. მათ შორის, საკვები პროდუქტების წარმოებაზე, სასმელების ჩათვლით, ფასები გაიზარდა 2,6 პროცენტით, რაც სასმელებზე მწარმოებელთა ფასების 6,6-პროცენტიანმა მატებამ განაპირობა; რეზინისა და პლასტმასის ნაწარმის წარმოებაზე 5,5 - პროცენტით, ხოლო მეტალურგიულ მრეწველობასა და ლითონის მზა ნაწარმის წარმოებაზე - 2,9 პროცენტით, მათ შორის, უშუალოდ მეტალურგიულ მრეწველობაზე - 3,1 პროცენტით, ავეჯის წარმოებაზე - 7,2 პროცენტით, საიუველირო წარმოებაზე - 10,7 პროცენტით, მრეწველობის სხვა დარგების წარმოებაზე - ფასების 9,4 პროცენტით.

ფასები შემცირდა ტანსაცმლის წარმოებაზე 3,4 პროცენტით, მანქანებისა და მოწყობილობების წარმოებაზე კი - 9,9 პროცენტით. სამთომოპოვებით მრეწველობაზე ფასების საერთო დონე შემცირდა 0,6 პროცენტით, რაც, მიუხედავად ნახშირის ლიგნიტისა და ტორფის მოპოვებაზე ფასების 2,5-პროცენტიანი ზრდისა, ლითონის მადნების მოპოვებაზე ფასების 1,0-პროცენტიანმა შემცირებამ განაპირობა. ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოებასა და განაწილებაზე, წინა თვესთან შედარებით, ფასების საერთო დონე უმნიშვნელოდ - 0,1 პროცენტით გაიზარდა, რაც ბუნებრივი აირის წარმოებაზე ფასების ზრდამ გამოიწვია.

2006 წლის თებერვალში, 2005 წლის დეკემბერთან შედარებით, სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსმა 105,7 პროცენტი შეადგინა. სამთომოპოვებით მრეწველობაზე ფასები გაიზარდა 46,3 პროცენტით, რაც გამოიწვია ლითონის მადნის მოპოვებაზე ფასების 71,0-პროცენტიანმა ზრდამ, დამამუშავებელ მრეწველობაზე - 2,1 პროცენტით, ხოლო ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოებასა და განაწილებაზე - 0,2 პროცენტით. **ჯი-ეიჩ-ენი.**

# ახალი სერვისი

### თბილისელ მოსწავლეებს ექსკურსიაზე "უნივერსალთრეველი" წაიყვანს

ნინო ნატროშვილი

საქართველო ტურისტებისათვის მიმზიდველი ქვეყანა ხდება. ადგილობრივ ბაზარს, ცხრა მსხვილ ტურისტულ კომპანიასთან ერთად, ათეულობით მცირე სააგენტო და დაახლოებით ასი ინდივიდუალური მეწარმე ინაწილებს. მსხვილი ტურისტული კომპანიები ბაზარზე, დაახლოებით 10 წელია საქმიანობენ და, ძირითადად, უცხოელებზე არიან ორიენტირებული. კომპანიები მომხმარებელს, ვიპ-ტურების გარდა, ბიზნეს-ტურებს და სხვა სახის მომსახურებას სთავაზობენ. უცხოელები საქართველოში მთიანი რეგიონებით ინტერესდებიან. ტურისტული სააგენტოები უცხოელი ტურისტების მოზიდვას პირადი კავშირების წყალობით ახერხებენ, რადგან ქვეყნის გეოგრაფიული და რეკრეაციული ხიბლის შესახებ ინფორმაცია არც ერთ სოლიდურ ინტერნეტ-საიტზე არ არსებობს. "სიენ-ენ"-ის არხზე კი საქართველოს შესახებ ინფორმაციული დოკუმენტური ფილმის გაშვება მხოლოდ იდეად დარჩა, რადგან სათანადო სახსრები ამ პროექტის დასაფინანსებლად არავინ გაიღო.

საქართველოს ტურიზმის ბაზარზე მძაფრი კონკურენცია არ იგრძნობა, რადგან კომპანიების და სააგენტოების სერვისი ერთმანეთისაგან, ფაქტობრივად, არ განსხვავდება. ძირითადად, ათვისებულია მთიანი რეგიონები - სვანეთი, ხევსურეთი და თუშეთი. 2005 წელს საქართველოს ბაზარზე გაჩნდა ტურისტული კომპანია უნივერსალთრეველი, რომელიც მომხმარებელს ტურისტული მომსახურების ახალ სერვისს სთავაზობს. კომპანიის დირექტორი კობა ქურდაძე: "ჩვენმა კომპანიამ გადაწყვიტა, ბაზრის თავისუფალი ნიშა აეთვისებინა და მომხმარებელს სრულიად ახალი სერვისი შესთავაზა. კომპანია თბილისის სკოლების მოსწავლეებისათვის საქართველოს რეგიონებში ექსკურსიების განხორციელებას უზრუნველყოფს. კერძოდ, იგეგმება ერთ, ორ და სამდღიანი ტურები ოცდაათკაციანი ჯგუფებისათვის, საქართველოს ისტორიულად მნიშვნელოვანი რეგიონების მიმართულებით. ტურისტულ ჯგუფებს ორი კვალიფიციური გიდი მოემსახურება. სერვისით გათვალისწინებულია კვება, გასართობი და ინტელექტუალური თამაშები. სერვისის ღირებულება 14 ლარიდან 30 ლარამდე მერყეობს." "უნივერსალთრეველი" ასევე ახორციელებს ერთობლივ პროექტს განათლების სამინისტროსთან ერთად, რომელიც ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეების დამეგობრებას ემსახურება. კერძოდ, კომპანია ამ მოსწავლეებს ექსკურსიებზე ერთად წაიყვანს. აღნიშნული პროექტი 2006 წლის 5 აპრილიდან იწყება და ოქტომბერში დასრულდება. როგორც "24 საათს" კობა ქურდაძემ განუცხადა, აქცენტი თუშეთზე კეთდება: თუშეთი ისეთი რეგიონია, სადაც მნიშვნელოვანი ძეგლებია თავმოყრილი. მაგრამ ეს მხარე, მძიმე სოციალური პირობების გამო, მოსახლეობისაგან ცარიელდება. კომპანია დაეხმარება ადგილობრივ მოსახლეობას, თავისივე რესურსი გამოიყენოს და დასაქმდეს. ჩვენი მიზანია, განვახორციელოთ ჯანსაღი ტურიზმი და მასში ადგილობრივი რესურსი ჩავდოთ. ტურიზმი ერთ-ერთი სფეროა, რომელიც ვითარდება და, პარალელურად, სხვა დარგების განვითარებას ემსახურება. ჩვენი მიზანია, რეგიონში განვითარდეს აგროტურიზმი და ექსტრემალური ტურიზმი. აღნიშნულ პროექტში კომპანიამ საკუთარი სახსრები ჩადო. "უნივერსალთრეველს" თუშეთში პარტნიორები ჰყავს, რომლებიც ტურისტებს მთის პირობებში სასტუმროთი და კვებით უზრუნველყოფენ.

## საქართველოში "ტურიზმის პროფესიათა სკოლა" გაიხსნება

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში "ტურიზმის პროფესიათა სკოლის" პრეზენტაცია გაიმართა.

როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ თეიმურაზ სამადაშვილმა განაცხადა, საქართველოში პირველად საშუალო და ქვედა რანგის პროფესიონალები (შეფ-მზარეულები, ოფიციანტები, მეტრდოტელები) მომზადდებიან.

პროექტში აქტიურად მონაწილეობს საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, რომლის ხელმძღვანელის საბა კიკნაძის თქმით, საბერძნეთის ტურიზმის სამინისტროსა და განათლებისა და ტრენინგების ორგანიზაციის დახმარებით საქართველოს "ტურიზმის პროფესიათა სკოლა" სპეციალური ინვენტარით აღიჭურვება.

ახალი სკოლის პრეზენტაციას საბერძნეთის ტურიზმის ექსპერტებიც ესწრებოდნენ, რომლებიც სკოლის ფუნქციონირების სამოქმედო გეგმას შეიმუშავებენ.

ბერძნული მხარე უზრუნველყოფს ასევე ქართველი მასწავლებლების საბერძნეთში გადამზადებას.

თემურ სამადაშვილის განცხადებით, 2006 წელს საქართველოში პროფესიული სწავლებისა და მომზადების სულ 10 პროფესიული ცენტრი ჩამოყალიბდება, სადაც სპეციალისტები სხვადასხვა მიმართულებით მომზადდებიან.

სასწავლებლებში პრიორიტეტული იქნება: მომსახურების სფერო, ტექნიკური სფერო, სოფლის მეურნეობის სფერო. მინისტრის მოადგილის ცნობით, ამისათვის ბიუჯეტში 4 000 000 ლარია გამოყოფილი. **24 საათი.**

# "ეისითი ჯგუფი" საქართველოში მოღვაწე ბრიტანელ ბიზნესმენს თაღლითობაში ადანაშაულებს

კომპანია "ეისითი ჯგუფის" ხელმძღვანელობა საქართველოში მოღვაწე ბრიტანელ ბიზნესმენს დევიდ მეიფლის თაღლითობაში ადანაშაულებს. როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მარკეტინგული კვლევისა და საკონსულტაციო კომპანიის "ეისითი ჯგუფის" ხელმძღვანელმა თინათინ რუხაძემ განაცხადა, დევიდ მეიფლი კომპანია "ეისითი ჯგუფის" და, კონკრეტულად, მისი ხელმძღვანელობის დისკრედიტაციას და რეპუტაციის შელახვას ცდილობს.

როგორც თინათინ რუხაძე აცხადებს, მეიფლისა და "ეისითის" ურთიერთობა 2005 წლის იანვარში დაიწყო, როდესაც მეიფლი კომპანიის საქმიანობით დაინტერესდა და "ეისითის" ბიზნეს-პარტნიორობა შესთავაზა. თინათინ რუხაძის განცხადებით, მათ მეიფლის საქმიანობა არ შეუსწავლიათ და თანამშრომლობას ისე დასთანხმდნენ, ცოტა ხანში კი კომპანიის ქართველ ხელმძღვანელებსა და ბრიტანელ პარტნიორს შორის კონფლიქტი დაიწყო.

თინათინ რუხაძე კონფლიქტის მიზეზად მეიფლის ერთ-ერთ ინიციატივას ასახელებს. რუხაძის განცხადებით, ბრიტანელმა ბიზნესმენმა პარტნიორებს "ეისითი ინტერნეშენელის" ოფშორულ ზონაში გადატანა შესთავაზა, თუმცა პარტნიორებისგან უარის მიღების შემდეგ, მეიფლიმ ქართველი პარტნიორების რეპუტაციის შელახვის მიზნით, საგანგებო განცხადებები გააკეთა და მათ კორუფციულ გარიგებებში ჩართვის ბრალდებები წაუყენა. როგორც თინათინ რუხაძე აცხადებს, მეიფლიმ მათ ფინანსურ პოლიციაშიც კი უჩივლა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქართველმა პარტნიორებმა "ეისითი ინტერნეიშენელის" ლიკვიდაცია განახორციელეს და ხელახლა ჩამოაყალიბეს მარკეტინგული კომპანია "ეისითი ჯგუფი".

თუმცა, რუხაძე ამტკიცებს, რომ მეიფლი "კლიენტების წართმევას და მათი რეპუტაციის შელახვას" კვლავაც განაგრძობს. ამასთან დაკავშირებით, თინათინ რუხაძემ მეიფლის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი უკვე შეიტანა. რუხაძე ქართველ ბიზნესმენებს მოუწოდებს, არ ენდონ დევიდ მეიფლის და მის მსგავს უცხოელ ინვესტორებს.

**"ჩვენ მიერ მოძიებულ იქნა 20-მდე კომპანია, რომლის დირექტორი, მფლობელი ან ერთ-ერთი პარტნიორი დევიდ მეიფლია. აღნიშნული კომპანიები არ წარმოადგენენ ინტერნეტ-კომპანიებს და, მათი საქმიანობიდან გამომდინარე, ფიზიკური მისამართი, საოფისე ფართი და ადამიანური რესურსი ესაჭიროებათ. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ კომპანიებს, ძირითადად, ერთი და იგივე მისამართი, ტელეფონის, ფაქსის ნომრები და ინტერნეტ-სერვერი (mapley.org) აქვთ. ამ კომპანიათა დიდი ნაწილი დარეგისტრირებულია ოფშორულ ზონებში,"** - აცხადებდა გუშინ "ეისითი ჯგუფის" ხელმძღვანელი თინათინ რუხაძე. **24 საათი**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ს/ს "ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ერთეტაპიან ტენდერს ინსტიტუტის საჭიროებისათვის მედიკამენტების, რეაქტივებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. *შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი:* მედიკამენტები, რეაქტივები და სამედიცინო დანიშნულების საგნები

*ლოტი 1. მედიკამენტები*

| | | |
|---|---|---|
| ვინბლასტინი 5 მგ | ფლ | 351 |
| ციკლოფოსფანი 200მგ | ფლ | 5500 |
| ციტოზარი 100მგ | ფლ | 8000 |
| დოქსორუბიცინი | ფლ | 2835 |
| ეტოპროზიდი 100მგ | ფლ | 360 |
| ბლეომიცინი | ფლ | 63 |
| მერკაპტოპურინი N25 | ფლ | 27 |
| ლეიკოვორონი | ამპ | 9 |
| მიტოქსანდრონი 20მგ | ფლ | 27 |
| ზოფრანი 4მგ | ამპ | 820 |
| ზოფრანი 8მგ | ამპ | 54 |
| ზოფრანი 4მგ | ტაბ | 50 |
| ემეტრონი 4მგ | ამპ | 500 |
| მეტოტრექსატი 50მგ | ფლ | 99 |
| ასპარკამი | ტაბ | 36000 |
| პრედნიზოლონი | ტაბ | 90000 |
| პრედნიზოლონი ავს. | ტაბ | 2700 |
| ვინკრისტი 1მგ | ფლ | 500 |
| პრედნიზოლონი | ამპ | 675 |
| დექსამეტაზონი KRKA | ამპ | 225 |
| დიცინონი ტაბ | ც | 990 |
| დიცინონი | ამპ | 585 |
| ლისტენონი 2% 5მლ | ამპ | 270 |
| პანანგინი | ტაბ | 3150 |
| ლიდოკაინი | ამპ | 900 |
| ასკორუტინი | ტაბ | 2250 |
| ალმაგელი A 170 ml | ფლ | 36 |
| ფოლიის მჟავა N28 | კოლ | 90 |
| ჰეპარინი | ფლ | 90 |
| სორბიფერი | ტაბ | 900 |
| გლუკოზა 5% 500 | ფლ | 189 |
| ნატრიუმის ბიკარბონატი 5% 200 | ფლ | 63 |
| რინგერი 500 | ფლ | 162 |
| პოლიგლუკინი 400მგ | ფლ | 10 |
| ნატრიუმის ქლორიდი 0,9% 500 | ფლ | 5940 |
| FCN -200მგ/100მლ | ფლ | 10 |
| FCN -150 | ტაბ | 90 |
| დიფლუკანი 100მგ/50მლ | ფლ | 27 |
| კორდიამინი | ამპ | 270 |
| ვალოკორდინი | ფლ | 18 |
| ვალერიანის ნაყენი | ფლ | 18 |
| მილდრონატი 10% | ამპ | 50 |
| სეპტრიმი 480 | ტაბ | 360 |
| ბისეპტოლი 480 | ტაბ | 180 |
| ომეპრაზოლი 20მგ | კოლ | 1620 |
| გუტალაქსი წვ 7,5მგ | ფლ | 2 |
| ლინექსი N16 | კოლ | 18 |
| გემიკონი ორმაგი 450მგ | ცალი | 4000 |
| ოფლოტასი 200მგ./100მლ | ფლ | 100 |
| ამინოკაპრონი 5% 100მლ. | ფლ | 50 |
| ვიკასოლი | ამპ | 100 |
| ალოპურინოლი | ტაბ | 500 |
| ვიტამინი B 1 5% 1მლ | ამპ | 100 |
| ვიტამინი B 6 5% 1მლ | ამპ | 100 |
| ვიტამინი C 5% 2მლ | ამპ | 100 |
| ამპიოქსი 0,5 | ამპ | 200 |
| ტარტუმ ვერდე | ფლ | 9 |
| რაციოცეფი 1,0 | ფლ | 90 |
| ლიკაცინი 500მგ | ფლ | 90 |
| ფორტუმი | ფლ | 259 |
| ზინაცეფი 750 | ფლ | 180 |
| ფლოქსანი 200მგ. 100მლ. | ამპ | 50 |
| ავექსოპნი 1,0 | ფლ | 254 |
| კეტოლონგი | ამპ | 900 |
| ტორადოლი | ამპ | 90 |
| სისხლის გადასხმის სისტ | ც | 720 |
| შპრიცი 5გ | ც | 900 |
| შპრიცი 10გ | ც | 11700 |
| სისხლის აღების სისტემა | ც | 1350 |
| ერთჯერადი ხელთათმანი (სტრილური) | ც | 550 |
| ერთჯერადი ხელთათმანი (არასტრილური) | ც | 4000 |
| ბინტი არასტერილური 7X14 | ც | 500 |
| ბინტი არასტერილური 5X110 | ც | 500 |
| სამედიცინო სპირტი | ლ | 200 |
| იოდი 5% 10მლ | ც | 200 |
| ბრილიანტის მწვანე | ც | 200 |
| ბამბა | კგ | 76,5 |
| მარლა | მ | 500 |

*ლოტი 2. სამედიცინო დანიშნულების საგნები*

| | | |
|---|---|---|
| აზურეოზინი | ლ | 16 |
| საინვერსიო ზეთი | ლ | 72 |
| მაიგრენვალდი | ლ | 54 |
| შარდის რკინი | ც | 36 |
| გემოგლობინის ნაკრები | ც | 36 |
| თრომსინი | ც | 18 |
| თრომბოპირინი | ც | 90 |
| იმუნოგლობულინი | ც | 90 |
| ათაშანგის ტესტი | ც | 9 |
| ჰეპატიტი B HBSAG | ც | 9000 |
| ჰეპატიტი C HCV | ც | 90 |
| HIV | ც | 90 |
| RPR 100 | ც | 90 |
| ALT 100 | ც | 45 |
| ფილტრის ქაღალდი | ც | 180 |
| საჩხვლატი ნემსი ერთჯერადი (რკინის) | ც | 30000 |

3. *საქონლის მიწოდების პირობები* - საქონლის მიწოდება განხორციელდება ყოველთვიურად შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე 2006 წლის აპრილიდან 2006 წლის დეკემბრის ჩათვლით.

4. *მიწოდების ადგილი:* ქ. თბილისი ალ. ყაზბეგის გამზ. 22 - ს/ს "ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი"

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში), ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის - 19 აპრილის 10 საათიდან 20 აპრილის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ს/ს "ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი" - ქ. თბილისი ალ. ყაზბეგის გამზ. N22, (ბუღალტერიის ოთახში). სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 20 აპრილის 16 საათზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ სტენდერო წინადადებების გახსნას).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**6.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) იურიდული პირის რეგისტრაციის დამდასტურებელი დოკუმენტი;

გ ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

**6.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ინფორმაცია საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი ანგარიშსწორების შესახებ;

გ) ლიცენზია, სატენდერო წინადადებაში მითითებული მასალების რეალიზაციაზე (კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში);

დ) ლიცენზია მედიკამენტებისა და სამკურნალწამლო საშუალებების საბითუმო რეალიზაციაზე (დაურთეთ საჭიროების შემთხვევაში);

ე) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ).

7. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე მონაწილე პირის სუბკონტრაქტორებისათვის.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, (საბანკო ანგარიშზე: მიმღები ს/ს "ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი" ს.ს. "თი-ბი-სი ბანკი" კოდი: 220101830: ა/ა 120467120 (სატენდერო მოსაკრებელი) 2006 წლის 18 აპრილამდე), მისამართზე: ს/ს "ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი" - ქ. თბილისი ალ. ყაზბეგის გამზ. N22, (ბუღალტერიის ოთახში).

10. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, რომლებსაც მიენიჭებათ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ცალკეული ლოტების შესრულების უფლება.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: მარიკა გელენიძე მარიკა კეკელია, მისამართზე: ს/ს "ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი" ტელ: N 39-16-39

## საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის

# განცხადება

კონტრაქტის სარეგისტრაციო N: ARET/CW/NCB/01-2006
გარემოს დაცვის მსოფლიო ფონდის გრანტი N: TF-023752
დაკავშირებული სგა-ს კრედიტთან N3347 GE

1. საქართველომ გარემოს დაცვის მსოფლიო ფონდისაგან მიიღო გრანტი *სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტის* დასაფინანსებლად და განზრახული აქვს სახსრების ნაწილი გამოიყენოს **"ლანჩხუთის, ოზურგეთის, ხობის, ქობულეთის და ხელვაჩაურის რაიონებში 6 მ3 მოცულობის მტკიცეგუმბათიანი ბიოგაზის დანადგარის (შეთავსებული ბიო-მასის საცავით) მშენებლობის"** კონტრაქტით გათვალისწინებული ხარჯების დასაფარავად. საკონკურსო ვაჭრობაზე დაიშვება მსოფლიო ბანკის წესების (შესყიდვები რეკონსტრუქციისა და განვითარებისა საერთაშორისო ბანკის სესხებით და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის კრედიტებით) შესაბამისად უფლებამოსილი ყველა მონაწილე.

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი (PCC) იწვევს საკონკურსო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლების მქონე იურიდიულ პირებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები დალუქულ კონვერტებში, შემდეგი სამუშაოების შესასრულებლად:

**კონტრაქტი N1.** ლანჩხუთის რაიონის სხვადასხვა სოფელში 6 $м^3$ მოცულობის 20 ბიოგაზის დანადგარის (შეთავსებული ბიო-მასის საცავით) მშენებლობა.

**კონტრაქტი N2.** ოზურგეთის რაიონის სხვადასხვა სოფელში 6 $მ^3$ მოცულობის 20 ბიოგაზის დანადგარის (შეთავსებული ბიო-მასის საცავით) მშენებლობა.

**კონტრაქტი N3.** ხობის რაიონის სხვადასხვა სოფელში 6 $მ^3$ მოცულობის 10 ბიოგაზის დანადგარის (შეთავსებული ბიო-მასის საცავით) მშენებლობა.

**კონტრაქტი N4**. ქობულეთის რაიონის სხვადასხვა სოფელში 6 $მ^3$ მოცულობის 10 ბიოგაზის დანადგარის (შეთავსებული ბიო-მასის საცავით) მშენებლობა.

**კონტრაქტი N5** - ხელვაჩაურის რაიონის სხვადასხვა სოფელში 6 $მ^3$ მოცულობის 10 ბიოგაზის დანადგარის (შეთავსებული ბიო-მასის საცავით) მშენებლობა.

დაინტერესებულ იურიდიულ პირებს საკონკურსო წინადადებების წარმოდგენა შეუძლიათ ნებისმიერი ერთი, ორი, სამი, ოთხი ან ხუთი კონტრაქტისათვის. კონტრაქტი მიენიჭება კონკურსის იმ მონაწილეს, რომლის საკონკურსო წინადადებაც უპასუხებს ყველა წაყენებულ მოთხოვნებს და რომლის წინადადებაც შეფასდება ყველაზე დაბალი ფასის მქონედ თითოეული კონტრაქტისათვის.

3. საკონკურსო დოკუმენტაციის (და დამატებითი ასლების) შეძენა შესაძლებელია საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის (PCC) ოფისში, საქართველო, თბილისი, კოსტავას 41, ოთახი 327, სამუშაო დღეებში 10 საათიდან 17 საათამდე წერილობითი განაცხადის წარდგენისა და თითოეული კომპლექტისათვის არანაზღაურებადი 40 ლარის გადახდის შემდეგ. გადახდა ხორციელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ანგარიშზე თანხის გადარიცხვით. საბანკო რეკვიზიტები: თბილისი, "ბანკი ქართუ", ბანკის კოდი: 220 101 081; სალარე ანგარიშის ნომერი 13458 (თანხის გადარიცხვისას მითითებული უნდა იყოს "კონტრაქტი N:ARET/CW/NCB/01-2006).

4. საკონკურსო წინადადება ძალაში უნდა იყოს 90 დღე საკონკურსო წინადადების წარდგენის საბოლოო თარიღის შემდეგ და თან უნდა ახლდეს პირველი და მეორე კონტრაქტებისათვის 1250 ლარის (თითოეული კონტრაქტისათვის), ხოლო მესამე, მეოთხე და მეხუთე კონტრაქტებისათვის 600 ლარის (თითოეული კონტრაქტისათვის) საკონკურსო წინადადების გარანტია და მიტანილ უნდა იქნეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის (PCC) ოფისში, მისამართზე თბილისი, კოსტავას ქ. 41, III სართული, ოთახი 327, 2006 წლის 2 მაისის 15 საათამდე, როდესაც მოხდება საკონკურსო წინადადებების გახსნა კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც დასწრებას მოისურვებენ. დაგვიანებული წინადადებები არ მიიღება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი

სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტის გარემოს დაბინძურების შემცირების კომპონენტი

საქართველო, თბილისი, 0123, კოსტავას ქ. 41, III სართული, ოთახი 327
ტელ: (99532) 922041/922038
საკონტაქტო პირი: თეა ტორიაშვილი
ელ-ფოსტა: Thea.Toriashvili@adpcc.org.ge

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აცხადებს ტენდერს საოფისე ტექნიკის სახარჯი მასალების (კარტრიჯები, ტონერები) შესყიდვაზე და მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირს.

საოფისე ტექნიკის სახარჯი მასალების შესყიდვა განხორციელდება შემდეგი ლოტის შესაბამისად:

**ლოტი N1**
**საოფისე ტექნიკის სახარჯი მასალები**

| პრინტერების, ფაქსების და ასლგადამღები აპარატების დასახელება | რაოდენობა |
|---|---|
| **HP 1100 Laser Jet -**თან თავსებადი კარტრიჯი (მაქსიმალური ტევადობით) | 73 ცალი |
| **HP Lasrer Jet 1010-** თან თავსებადი კარტრიჯი (მაქსიმალური ტევადობით) | 127 ცალი |
| **HP1200 Laser Jet-** თან თავსებადი კარტრიჯი (მაქსიმალური ტევადობით) | 75 ცალი |
| **HP 1020 Laser Jet-** თან თავსებადი კარტრიჯი (მაქსიმალური ტევადობით) | 23 ცალი |
| **HP Laser Jet 6L-** თან თავსებადი კარტრიჯი (მაქსიმალური ტევადობით) | 8 ცალი |
| **HP color Laser Jet (xerox)-** თან თავსებადი კარტრიჯი (მაქსიმალური ტევადობით) | 1 ცალი |
| **HP color Laser Jet imaging drum-** თან თავსებადი კარტრიჯი (მაქსიმალური ტევადობით) | 1 ცალი |
| **HP Laser Jet allinone 3015-** თან თავსებადი კარტრიჯი (მაქსიმალური ტევადობით) | 4 ცალი |
| **1300 HP Laser Jet-** თან თავსებადი კარტრიჯი (მაქსიმალური ტევადობით) | 1 ცალი |
| **Xerox Phaser 3130-** თან თავსებადი კარტრიჯი (მაქსიმალური ტევადობით) | 24 ცალი |
| **Xerox Workcentre pro 420-** თან თავსებადი კარტრიჯი (მაქსიმალური ტევადობით) | 6 ცალი |
| **Xerox 5837-** თან თავსებადი კარტრიჯი (მაქსიმალური ტევადობით) | 2 ცალი |
| **Xerox Phaser 3450-** თან თავსებადი კარტრიჯი (მაქსიმალური ტევადობით) | 1 ცალი |
| **HP Desk Jet 9650-** თან თავსებადი კარტრიჯი (მაქსიმალური ტევადობით) | 10 ცალი |
| **Panasonic kxfl 153(fax)-** თან თავსებადი კარტრიჯი (მაქსიმალური ტევადობით) | 1 ცალი |
| **Panasonic kx-f780(fax)-** თან თავსებადი კარტრიჯი (მაქსიმალური ტევადობით) | 4 ცალი |
| **Canon 6317-** თან თავსებადი ტონერი | 15 ცალი |
| **Canon LBP 810-** თან თავსებადი კარტრიჯი (მაქსიმალური ტევადობით) | 2 ცალი |
| **Canon Laser Shot LBP1210-** თან თავსებადი კარტრიჯი (მაქსიმალური ტევადობით) | 5 ცალი |
| **Canon fc 128-** თან თავსებადი კარტრიჯი (მაქსიმალური ტევადობით) | 56 ცალი |
| **Lexmark E323-** თან თავსებადი კარტრიჯი (მაქსიმალური ტევადობით) | 17 ცალი |
| **Panasonic KX-FP143(fax) -** თან თავსებადი კარტრიჯი (მაქსიმალური ტევადობით) | 3 ცალი |
| **HP Desk Jet 3325-** თან თავსებადი კარტრიჯი (მაქსიმალური ტევადობით) | 8 ცალი |
| **Canon Fc 226-** თან თავსებადი კარტრიჯი (მაქსიმალური ტევადობით) | 5 ცალი |

ტენდერში გამარჯვებულის მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ქ. თბილისში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შენობაში (მის: რუსთაველის გამზ. N30) და იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შენობაში (მის: ჟორესის ქ. 10) 2006 წლის აპრილიდან 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობის და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად.

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ **2006 წლის 19 აპრილის 17 საათამდე.** შემდეგ მისამართზე: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი N30 საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, მე-2 სართული, ოთახი N101.

სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:
მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში
ანგ. N200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, საოფისე ტექნიკის სახარჯი მასალები, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **2006 წლის 20 აპრილის 14 საათამდე,** ზემოაღნიშნულ მისამართზე.

პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადებასთან ერთად, დახურულ კონვერტში წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიულ პირთათვის:**
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა. (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტოდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

**ფიზიკურ პირთათვის:**
- ინდივიდუალური მეწარმის მოწმობა;
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- პირადობის მოწმობის ქსეროასლი;

**ამ დოკუმენტებთან ერთად, როგორც ფიზიკურმა ისე იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:**
- ცნობა შსს-დან ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის ხელმძღვანელის ნასამართლობის შესახებ;
- ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა);
- ინფორმაცია უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს და ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

**შენიშვნა:** ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს საქონლის მიწოდების პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში. საკვალიფიკაციო მონაცემების შემცველი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის (ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის) სახით.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე 75-82-89. საკონტაქტო პირი: ქეთევან სირაძე

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" აცხადებს ღია ტენდერს ლობე კონსტრუქციების შეძენაზე (ერთი ლოტი)

| დასახელება | ერთი სექციის სიგრძე | ერთი სექციის სიმაღლე | სულ სექციების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| ლობე-კონსტრუქციები | 2.9 მეტრი | 2.6 მეტრი | 690 |

საქონლის მოწოდების სასურველი ვადა არის 2006 წლის 10 ივლისი.

მოთხოვნილი საქონლის მოწოდება მიმწოდებლის ტერიტორიიდან ყველა გადასახადების და შემსყიდველის ტრანსპორტზე დატვირთვის გათვალისწინებით.

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" ანგარიშზე: ბანკი „რესპუბლიკა", ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ა/ა 334030001 და მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა და წარმოადგინონ გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღების საბოლოო ვადაა 2006 წლის 20 აპრილი.

დაფინანსების წყარო ---- საზოგადოების სახსრები.

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 21 აპრილის 15:00 საათამდე (თბილისის დროით), ქ. თბილისი ბარათაშვილის ქ. N2. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" შენობა.

სატენდერო წინადადებების გახსნა პრეტენდენტების თანდასწრებით მოხდება 2006 წლის 21 აპრილის 15:00 საათზე (თბილისის დროით) შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი ბარათაშვილის ქ. N2. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" შენობა --- მე-2 სართული.

საკვალიფიკიციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიულ პირთათვის;

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან,
2. ცნობა საჯარო რეესტრიდან პრეტენდენტის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.
3. ცნობა სასამართლოდან, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ან რეაბილიტაციის საქმის წარმოების პროცესი.
4. პრეტენდენტის რეკვიზიტები: (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები)

ფიზიკური პირებისათვის

1. პრეტენდენტის პირადი რეკვიზიტები (პირადობის მოწმობის ასლი; საკონტაქტო რეკვიზიტები,
2. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.
3. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება

საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.

საქართველოში არ რეგისტრირებულმა პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ მათ ქვეყანაში არსებული შესაბამისი ორგანოებიდან.

ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას დახურულ კონვერტში, შემდეგი აღნიშვნით:

პრეტენდენტის დასახელება, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" სატენდერო კომისიას. ტენდერი N T 0306 G 0156

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის და განცხადების ტენდერის ჩატარების შესახებ მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე:

ტელ: +995 989816; ქ. თბილისი. ბარათაშვილის ქ. N2. შესყიდვების სამსახური.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" აცხადებს ღია ტენდერს ინდუსტრიული ზეთების შეძენაზე (სამი ლოტი)

**ლოტი N1**-ით მოსაწოდებელი 140 ტონა სატრანსფორმატორო ზეთის მიწოდების სასურველი ვადა არის 2006 წლის მაისი. მოწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე DDP (INCOTERMS 2000) პირობით: ქ. თბილისი; ქვესადგური ნავთლუღი 220, ნაკადულის N4.

**ლოტი N2**-ით მოსაწოდებელი 2 ტონა კომპრესორის ზეთის (გერმანული წარმოების კომპრესორებისათვის) მიწოდების სასურველი ვადა არის 2006 წლის მაისი. მოწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე DDP (INCOTERMS 2000) პირობით: ქ. თბილისი; ქინძმარაულის ქ. N29; შპს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის სასაწყობო მეურნეობა

**ლოტი N3**-ით მოსაწოდებელი 1 ტონა კომპრესორის ზეთის (რუსული წარმოების კომპრესორებისათვის) მიწოდების სასურველი ვადა არის 2006 წლის მაისი. მოწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე DDP (INCOTERMS 2000) პირობით: ქ. თბილისი; ქინძმარაულის ქ. N29; შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" სასაწყობო მეურნეობა

საქონლის მოწოდების სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 40 დღე.

მოთხოვნილი საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს DDP პირობით INCOTEMRS 2000, ქ. თბილისის ტერიტორიაზე შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის სასაწყობო მეურნეობამდე, მისამართი ქ. თბილისი, ქინძმარაულის ქ. N29.

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" ანგარიშზე: ბანკი „რესპუბლიკა", ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ა/ა 334030001 და მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა, ტენდერის სარეგისტრაციო ნომერი T-0306-G-0162 და წარმოადგინონ გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაციის მიღების საბოლოო ვადაა 2006 წლის 26 აპრილი.

დაფინანსების წყარო ---- საზოგადოების სახსრები.

მიწოდების სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 40 დღე.

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 27 აპრილის 12:00 საათამდე (თბილისის დროით), ქ. თბილისი ბარათაშვილის ქ. N2. შპს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის შენობა.

სატენდერო წინადადებების გახსნა პრეტენდენტების თანდასწრებით მოხდება 2006 წლის 27 აპრილის 12:00 საათზე (თბილისის დროით) შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი ბარათაშვილის ქ. N2. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" შენობა მე-2 სართული

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიულ პირთათვის;

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან,
2. ცნობა საჯარო რეესტრიდან პრეტენდენტის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.
3. ცნობა სასამართლოდან, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ან რეაბილიტაციის საქმის წარმოების პროცესი.
4. პრეტენდენტის რეკვიზიტები: (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები)

ფიზიკური პირებისათვის

1. პრეტენდენტის პირადი რეკვიზიტები (პირადობის მოწმობის ასლი; საკონტაქტო რეკვიზიტები,
2. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.
3. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება

საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.

საქართველოში არ რეგისტრირებულმა პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ მათ ქვეყანაში არსებული შესაბამისი ორგანოებიდან.

ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას დახურულ კონვერტში, შემდეგი აღნიშვნით:

პრეტენდენტის დასახელება, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" სატენდერო კომისიას. ტენდერი N T 0306 G 0162

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის და განცხადების ტენდერის ჩატარების შესახებ მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე:

ტელ: +995 989816; ქ. თბილისი. ბარათაშვილის ქ. N2. შესყიდვების სამსახური.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" აცხადებს ღია ტენდერს რელეების შეძენაზე (ორი ლოტი)

ლოტი №1

| № | რელეს დასახელება | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | დიფერენციალური რელე I | 10 |
| 2 | დიფერენციალური რელე II | 10 |
| 3 | დიფერენციალური რელე III | 10 |
| 4 | ფაზის დაკარგვის კონტროლის რელე | 6 |
| 5 | მაქსიმალური დენური რელე | 30 |
| 6 | მინიმალური ძაბვის რელე | 6 |
| 7 | მაქსიმალური ძაბვის რელე | 15 |
| 8 | სიხშირის დაწევის რელე | 30 |
| 9 | სინქრონიზმის კონტროლის რელე | 15 |
| 10 | აქტიური სიმძლავრის რელე | 4 |
| 11 | კონდენსატორების ბლოკი | 6 |
| 12 | შუალედური რელე | 20 |
| 13 | ელექტრონული დროის რელე | 12 |
| 14 | ფაზათა ძვრის რელე | 9 |
| 15 | იმპულსური სიგნალიზაციის რელე | 8 |
| 16 | სიხშირის დაცემის სიჩქარის რელე | 2 |
| 17 | ელექტრომექანიკური დროის რელე | 30 |
| 18 | დაცვის კომპლექტები | 3 |
| 19 | დაცვის კომპლექტები | 3 |
| 20 | მაჩვენებლიანი რელე | 305 |

ლოტი №2

კარადაში დასამონტაჟებელი მოწყობილობები და მასალები

პოზიცია 1.1-დან 1.10 მდე მოწყობილობები ჩამონტაჟებული უნდა იყოს პოზიცია 1-ში მითითებულ კარადებში

| № | დასახელება | რაოდე-ნობა |
|---|---|---|
| 1 | 2 | 3 |
| 1 | ძაბვის ავტომატური მიწოდებისა და განაწილების კარადა(300X500X700) | 33 ცალი |
|  | ძაბვის ავტომატური მიწოდებისა და განაწილების კარადა (300X700X1200) | 27 ცალი |
| 1.1 | ძაბვის კონტროლის რელე | 120 ცალი |
| 1.2 | შუალედური ორპოზიციანი რელე | 305 ცალი |
| 1.3 | მაჩვენებლიანი რელე | 120 ცალი |
| 1.4 | ოთხპოლუსა ავტომატური ამომრთველი (4ა) | 230 ცალი |
| 1.5 | ოთხპოლუსა ავტომატური ამომრთველი (2ა) | 515 ცალი |
| 1.6 | სპილენძის სალტეები (სწორკუთხა) (1,5X10) | 100 მ. |
| 1.7 | სალტეების დამჭერი იზოლატორები | 240 ცალი |
| 1.8 | მომჭერები | 900 მომჭ. |
| 1.9 | სამონტაჟო სპილენძის გამტარი (1.5მ$^{2}$) | 2000 მ. |
| 1.10 | სასიგნალო ნათურები (ცოკოლით) 220 ვ. 5 ვატი | 630 ცალი |
|  |  |  |
|  | ცალკე მოსაწოდებელი საქონელი |  |
| 2 | ძაბვის მომჭერების ყუთები ავტომატური ამომრთველით 4 ა | 70 ცალი |
| 3 | დენური მომჭერების ყუთები | 560 ცალი |
| 4 | ორპულუსა ავტომატური ამომრთველი | 65 ცალი |

საქონლის მოწოდების სასურველი ვადა არის 2006 წლის 20 მაისი.

მოთხოვნილი საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს DDP პირობით INCOTEMRS 2000, ქ. თბილისის ტერიტორიაზე შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" სასაწყობო მეურნეობამდე, მისამართი ქ. თბილისი, ქინძმარაულის ქ. N29.

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" ანგარიშზე: ბანკი „რესპუბლიკა", ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ა/ა 334030001 და მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა, ტენდერის სარეგისტრაციო ნომერი T-0306-G-0165 და წარმოადგინონ გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაციის მიღების საბოლოო ვადაა 2006 წლის 19 აპრილი.

დაფინანსების წყარო ---- საზოგადოების სახსრები.

მიწოდების სასურველი ვადა არის 2006 წლის 20 მაისი.

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 20 აპრილის 17:00 საათამდე (თბილისის დროით), ქ. თბილისი ბარათაშვილის ქ. N2. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" შენობა.

სატენდერო წინადადებების გახსნა პრეტენდენტების თანდასწრებით მოხდება 2006 წლის 20 აპრილის 17:00 საათზე (თბილისის დროით) შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" შენობა მე-2 სართული

საკვალიფიკიციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიულ პირთათვის;

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან,
2. ცნობა საჯარო რეესტრიდან პრეტენდენტის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.
3. ცნობა სასამართლოდან, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ან რეაბილიტაციის საქმის წარმოების პროცესი.
4. პრეტენდენტის რეკვიზიტები: (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები)

ფიზიკური პირებისათვის

1. პრეტენდენტის პირადი რეკვიზიტები (პირადობის მოწმობის ასლი; საკონტაქტო რეკვიზიტები,
2. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.
3. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება

საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.

საქართველოში არ რეგისტრირებულმა პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ მათ ქვეყანაში არსებული შესაბამისი ორგანოებიდან.

ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას დახურულ კონვერტში, შემდეგი აღნიშვნით:

